

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
სამეცნიერო ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი
ჟურნალი

N 8 2024

თბილისი 2024

სარედაქციო კოლეგია

ანა ფირსხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

გოდარძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

საშა ფლავინთსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

შოფან შლენაერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

ეპარტი კლანი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

ანდრეა აპოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

ჯოაჰენ ფრანსკე

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

მარკუს პერბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

ედითორები

სერგო ფელიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თეა ჯღელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ბესიკ ლოლაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გიორგი ციხაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თენგიზ თაყაიშვილი

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ლაბა გივივაძე

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი

პაატა შურღია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

დავით ჩახვაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

რუსუდან ბერიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლარისა პატარაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევანი დუნდუა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თამარ კაპუთია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნოდარ სარჯველაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გადონა კიკელია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ინა შანავა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი დონაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლია ქურხული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თინათინ გაქარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ია მახარაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ხათუნა კაჭარავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი აბზიანიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ეკა დარბანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე იორიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ქრისტინე მაჭარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

სტივ შილერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

გაბრიელა შილი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

რუდი მაიერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

ნია ძირია

პრაქტიკოსი, ექსპერტი

ტექნიკური რედაქტორი:

ანა ხეხელაძე

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარჩევი

ლეგან ლაზვიაშვილი	5
ორგანიზაციული განვითარების თანამედროვე ტენდენციები განათლების სფეროში	
ნინო კეკელიძე, ნატალი კვაჭანტირაძე	
შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) კვლევის ანალიზი საქართველოს ტერიტორიისა და მასპინძლობის სექტორში	16
ქეთევან მუსხიძე	
ბრძოლა ნახევარგამდარების ტექნოლოგიებისთვის: ჩინეთი-შვედეთი შტაბები-თაივანის დაქაბული სამკუთხედი და უსკალსაიის ფარული საფრთხე	35
ელისო კერესელიძე, მადონა კეკელია, ინა შანავა, მარიამ გვილავა,	
იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის კვლევა	52
თინათინ ზაქარაშვილი, თამარ ნარინდოშვილი, რუსუდან მაჩაიძე	
გარემოსდაცვითი გამოწვევები და მედიის როლი	76
გიორგი აფხიაური	
პირდაპირი ეთერები	99

ორგანიზაციული განვითარების თანამედროვე ტენდენციები განათლების სფეროში

ლევან ლაზვიაშვილი

პროფესორი
უნივერსიტეტი გეომედი

აბსტრაქტი

თანამედროვე ორგანიზაციები იმყოფებიან გლობალური კონკურენციის გამოწვევის წინაშე, შესაბამისად, მათ მოუწევთ რაციონალიზაციისა და რესტრუქტურირების სისტემური და სიტუაციური იმპლემენტაცია, რაც აისახება სამუშაოს შინაარსზე, საქმიანი ამოცანების დაგეგმვის ახალი მოდელების შემუშავებაზე და პასუხისმგებლობის ხარისხზე. მოტივირებული სამუშაო პირობების შექმნა და თანამშრომლებზე ორიენტირებული კორპორაციული კულტურა არის ორგანიზაციების სამომავლო სიჯანსაღის ცენტრალური საკითხი. პერსონალის იდენტიფიცირება კომპანიის ღირებულებებთან და მიზნებთან გაზრდის მათ ლოიალობას. კულტურული ინტერვენცია ხელს შეუწყობს სასურველი მიმართულებით ცვლილებას. მკაფიო და შთამაგონებელმა ხედვამ უნდა ასახოს სასურველი კულტურა. ეს უნდა იყოს კომუნიკაცია და დემონსტრირება ორგანიზაციის ყველა სფეროში. ღია კომუნიკაცია კულტურის ცვლილების მიზნებისა და პროცესის პროგრესის შესახებ ხელს უწყობს ნდობისა და მხარდაჭერის ჩამოყალიბებას. აქ აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობა და თანამშრომლების გამოხმაურების გათვალისწინება. სკოლის განვითარების პროგრამის მიზნები: ინოვაციური სკოლის განვითარების პროექტების მართვის მოდელის შემუშავება - საგანმანათლებლო სივრცისა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ახალი სოციალურ - კულტურული პროექტების დანერგვის მიზნით; სკოლის ორგანიზაციული კულტურული კომპეტენციის განვითარება სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაყრდნობით; მოსწავლეთა მოტივაციის განვითარება მათი სოციალიზაციისა და კარიერული მართვის მიზნით; სკოლის განვითარების პროგრამის შესრულების მონიტორინგი - თითოეული მოსწავლის წარმატებისა და ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება. ორგანიზაციული განვითარების მართვა უნდა დაუკავშირდეს სოციალური ფაქტორების იდენტიფიკაციას (სოციალური იტერაცია და ჯგუფის დინამიკა დიდ გავლენას ახდენს სამუშაო ქცევასა და მოტივაციაზე; ჯგუფზე ინდივიდუალური ქცევის გავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალი ქცევების ასახვისა და განვითარების მიზნით; ინტერპერსონალური უნარებისა და ჯგუფური დინამიური პროცესების ანალიზი). ორგანიზაციული განვითარება არის სისტემური მიდგომა ორგანიზაციული ცვლილებებისადმი.

საკვანძო სიტყვები: მონაწილეობითი მენეჯმენტი. სიტუაციური ხედვა. პროფესიონალური მართვა. პროცესის ხარისხი.

შესავალი

ინტეგრირებული და ოპერატიული სტრუქტურებისა და საქმიანი პროცესების შემუშავება მიზნად ისახავს ორგანიზაციული ქცევის გაუმჯობესებას, რაც თანაბარ სარგებელს მოუტანს

პერსონალსა და კომპანიას. ორგანიზაციის მდგრადი ფუნქციონირება განპირობებულია ადაპტური ცვლილებების განხორციელებით შემდეგ სფეროებში:

- კორპორაციული ღირებულებები
- მონაწილეობითი მენეჯმენტი
- მოქმედების კომპეტენცია და განვითარების შესაძლებლობა
- ცვლილებების მართვა
- მიზანზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება
- ადამიანური რესურსების სოციალური და პროფესიული მრავალფეროვნების განვითარება

როგორ მივაღწიოთ მდგრადობას ორგანიზაციულ განვითარებაში? საწყის ეტაპზე უმთავრესია ცნობიერების ამაღლება - საერთო ხედვები და ღირებულებები ხელს შეუწყობს პასუხისმგებელი პირების მოტივაციას. შემდეგ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზაციული განვითარების მართვის ჯგუფი, რომელშიც ინტეგრირებული იქნება თანამშრომელთა პროფესიული გამოცდილება. სტრუქტურის განვითარება წარმატებულია, როცა მმართველი ჯგუფი ავითარებს ორგანიზაციის სიჯანსაღის საბაზისო გაგებას. ორგანიზაციულ განვითარებაში მნიშვნელოვანია ანალიტიკის პროცესი. რაც უფრო ზუსტად არის ცნობილი კომპანიაში არსებული ვითარება, რისკები და პოტენციალი, მით უფრო მიზანმიმართულია ღონისძიებების დაგეგმვა. ორგანიზაციული განვითარება არის გრძელვადიანი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას მისი მდგენელების ღირებულებითი ორიენტაციების დაგეგმილი, სისტემატური, გრძელვადიანი ზემოქმედებით, პერსონალური და ჯგუფთაშორისი ურთიერთქმედებით, რაც შექმნის პირობებს ადამიანური პოტენციალის ინტენსიური გამოყენებისთვის. აღნიშნულმა პროცესმა უნდა გაზარდოს ორგანიზაციის უნარი განახლებისა, გადაჭრას წარმოშობილი პრობლემები და სწრაფად უპასუხოს გარე და შიდა ცვლილებებს.

1. განათლების სფეროში სტრატეგიული მართვის მნიშვნელობა

სტრატეგიული მიზნები უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:


- ზრდა და განვითარება; ეფექტურობა
- პროცესების ოპტიმიზაცია; ინოვაცია
- კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფა
- თანამშრომლების განვითარება
- მდგრადობა და სოციალური პასუხისმგებლობა.

სკოლის დემოკრატიული (კოლეგიალური)¹ მართვის სტილი უზრუნველყოფს ისეთ გარემოს, როცა მენეჯერი ყურადღებას ამახვილებს თავისი თანამშრომლების შესაძლებლობებზე, შემოქმედებითი საქმიანობის სურვილზე, ქმნის აუცილებელ პირობებს სამუშაოს დროულად დასრულებისთვის, ახორციელებს. თითოეული თანამშრომლის

¹ ორგანიზაციულ ცვლილებებზე ორიენტირება, ჰონგ-კონგის ღია უნივერსიტეტი. 2014.

მუშაობის შედეგების სამართლიან შეფასებას. ორგანიზაციები, რომლებშიც² ლიდერობის ეს სტილი პრევალირებს, ხასიათდება ავტორიტეტის დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით და თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღებაში. *საკონსულტაციო სტილი* - მენეჯერი გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ დეტალური ინფორმაციის საფუძველზე და ერთობლივი განხილვის შემდეგ. თანამშრომლები ახორციელებენ მხოლოდ გადაწყვეტილებებს, რომლის განვითარებაშიც მონაწილეობდნენ. *ავტონომიური სტილი*, როდესაც თანამშრომლები თავად წყვეტენ ყველა საკითხს, ისინი არ შემოიფარგლებიან საზღვრებით, მაგრამ კონტროლი და პასუხისმგებლობა რჩება მენეჯერთან. *თანამშრომლობითი გადაწყვეტილების მართვის სტილი*: მენეჯერი ადგენს პრობლემას და შეზღუდვებს, ხოლო თანამშრომლები სრულად არიან პასუხისმგებელი შემდგომ ქმედებებზე. ამ შემთხვევაში მენეჯერი³ იტოვებს ვეტოს უფლებას.

სქემა 1. ძლიერი გუნდური მოთამაშე.



ცხრილი 1. ადამიანური რესურსების ჩართულობისა და ორგანიზაციისადმი ერთგულების სტრატეგია.


პერსონალის მართვის მიზნები და ამოცანები	საკადრო პოლიტიკა	პერსონალთან მუშაობის მეთოდები
<p>პარტნიორული ურთიერთობა თანამშრომლებთან.</p> <p>ჩაბმულობა ორგანიზაციულ საქმეებში.</p> <p>ფასეული თანამშრომლის შენარჩუნება.</p> <p>პერსონალის შესაძლებლობის განვითარება.</p>	<p>იმ თანამშრომლების მიღება, რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის ფასეულობებს.⁴</p> <p>დიალოგი.</p> <p>კარიერული ზრდა.</p> <p>წვლილი ორგანიზაციულ განვითარებაში.</p> <p>უწყვეტი სწავლება.</p>	<p>მოტივაციის მხარდაჭერა.</p> <p>მართვაში მონაწილეობა.</p> <p>კვალიფიკაციის ამაღლება.</p> <p>კარიერული განვითარება.</p> <p>გუნდის ფორმირება.</p> <p>შრომითი კმაყოფილების შეფასება.</p>

² ფლორესი, ბ., ორგანიზაციული განვითარება. 2023.

³ შლატმანი, ი. ზაიბელი, ა., განვითარების პროექტის აგება და ორგანიზაცია. 2017.

⁴ ეილერსი, გ., ინტეგრირებული კომუნიკაციების ორგანიზება. 2007.

სქემა 2. მომავლის კომპანიის დამახასიათებელი ნიშნები.



ეფექტური მმართველობითი საქმიანობა გულისხმობს:

- ოპტიმალური სტრატეგიული ვარიანტების შერჩევას
- ხელმძღვანელობის ახალმა მოდელმა ბიძგი უნდა მისცეს პროფესიონალური შესაძლებლობების გაფართოებას და თანამდებობრივი ვალდებულებების განაწილებას პერსონალს შორის
- თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას და ისეთი მოდელის შექმნას, რომელშიც წახალისებული იქნება პერსონალის დამოუკიდებელი ინტერვენცია
- ორგანიზაციული სტრუქტურის რეორგანიზაციას
- შესაბამისობას მართვის პრინციპებსა და ბაზრის მოთხოვნებს შორის
- ეფექტური მმართველობითი გუნდის შექმნას
- ორგანიზაციულ განვითარებაში ცვლილებების შეტანას

2. კვლევის ჰიპოთეზა.

ორგანიზაციული განვითარების თემატიკასთან დაკავშირებით გავეცანი რამდენიმე კერძო სკოლის ორგანიზაციულ ქცევას ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ გუნდთან გასაუბრების საფუძველზე.


კითხვა 1: რა ფორმით ხდება რეგულარული თანამშრომლობა სკოლის კოლეგებს შორის?

- სასწავლო მასალის შემუშავება და გაცვლა
- კოორდინაცია შესრულების შეფასებაში
- გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა
- გაკვეთილების ჩატარება ერთად გუნდში
- ურთიერთ დაკვირვება კლასში
- ერთობლივი აქტივობები

კითხვა 2: არის თუ არა სკოლაში მტკიცედ ინსტიტუციონალიზებული უწყვეტი თანამშრომლობა ეფექტური გუნდის აგების მიზნით?

- დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარება
- კლასის გუნდებს შორის რეგულარული შეხვედრები
- კოლეგიის სამუშაო ჯგუფები ერთობლივი კონცეფციისთვის
- საკოორდინაციო/სამუშაო ჯგუფი სპეციალურად თემაზე გათვლილი

კითხვა 3. რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ღონისძიებები სკოლაში ხარისხის განვითარების უზრუნველსაყოფად?






- ხარისხის ინდიკატორების დადგენა, რომელთა გაზომვაც მოგვცემს ინფორმაციას სამომავლოდ სკოლის მიზნების მიღწევის შესახებ.
- დისკუსია სკოლის მიმდინარე პრობლემებზე, მათ გამოიწვევ მიზეზებზე და გაუმჯობესების შესაძლო წინადადებებზე
- სტანდარტიზებული შესრულების ტესტების გამოყენება მოსწავლის მიღწეული კომპეტენციების შესამოწმებლად (ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები)
- ერთობლივი შეთანხმება სკოლის განვითარების პრიორიტეტებზე

განვითარება პასუხისმგებლიან სკოლაში მოითხოვს მოსწავლეთა და მშობელთა მონაწილეობას სასკოლო კომიტეტში (სკოლით კმაყოფილების შეფასება).


სკოლის წარმატებული განვითარება მოითხოვს, რომ სკოლის მენეჯმენტმა მიიღოს პედაგოგიური და მშობლების ხედვები. ორგანიზაციულ სანდოობას განაპირობებს ღიაობა დამატებითი იდეებისთვის, რაც ქმნის თავისუფლებას საერთო ხედვის განვითარებისთვის.

- მკაფიო და თანმიმდევრული სტრატეგიის მქონე და გარეშე ორგანიზაციებს გადარჩენის თითქმის თანაბარი შანსები აქვთ;
- სტრატეგიული მენეჯმენტი არ იძლევა წარმატებული ორგანიზაციული განვითარების გარანტიას, მაგრამ მოაქვს გარკვეული მიზანშეწონილობა და რაციონალურობა ორგანიზაციის მართვაში;
- ორგანიზაციებში, რომლებსაც არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული საოპერაციო სტრატეგია, განვითარება ხდება ევოლუციურად, ხოლო კომპანიებში, რომლებიც მართულია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, განვითარება ხდება რევოლუციურად;
- წარმატება თან ახლავს იმ ორგანიზაციებს, რომელთა სტრატეგიები მიზნად ისახავს შიდა პოტენციალის აქტიურ გამოყენებას გარე გარემოს შესაცვლელად, ვიდრე მასთან ადაპტაციისთვის;

- თუ ორგანიზაციას არ გააჩნია ორგანიზაციული ცოდნის სწავლისა და მართვის მოქმედი მექანიზმი, ეფექტური სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, ისევე როგორც წარმატებული ორგანიზაციული ცვლილება, შეუძლებელია.



სქემა 4. სკოლის სვოტ-ანალიზი.



ცხრილი 2. შესაბამისობა ხელმძღვანელობის სტილსა და სავარაუდო სიტუაციებს შორის.

ხელმძღვანელობის სტილი	სიტუაციები, როცა მოცემული სტილი არის ყველაზე ეფექტური
დირექტიული სტილი	თანამშრომელს არა აქვს საკმარისი ცოდნა და პროფესიული უნარი დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის. ასეთ შემთხვევაში მენეჯერი აშკარად მოუთითებს, თუ როგორ უნდა იყოს შესრულებული მოცემული დავალებები
შთამაგონებელი სტილი	თანამშრომელი ფლობს პროფესიული განვითარების სათანადო დონეს და საჭიროებს მხოლოდ ჩარევას ხელმძღვანელის მხრიდან - პროფესიონალური რჩევის მიცემის საშუალებით
მხარდამჭერი სტილი	თანამშრომელი დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს მენეჯერის მხრიდან დავალებების რეალიზაციის მიზნით, სადაც მენეჯერი ახორციელებს უკუკავშირს უფრო მეტად მორალური თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ნდობის ატმოსფეროს განვითარებას.
დელეგირების სტილი	თანამშრომელი ფლობს პროფესიული განვითარების მაღალ დონეს და შესაბამისად, მოტივაციას დავალებების განხორციელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მენეჯერი მხოლოდ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის მონიტორინგს და არ ჩაერევა დეტალებში.

3. საკვლევ სფეროში პერსონალის მართვის სისტემის მოდელი

ა) პერსონალის მენეჯერი აქტიურ მონაწილეობას იღებს:

- ბიზნეს-დაგეგმვაში
- პერსონალის მართვის მეთოდის დამუშავებაში
- ფირმის თანამშრომლების ინტერესების გათვალისწინებაში
- გარდაქმნებში

ბ) პერსონალის მენეჯერი დაკავებულია:

- პერსონალის მართვის სტრატეგიის კორპორაციულ სტრატეგიასთან შესაბამისობით
- ადმინისტრაციულ პროცესზე მონიტორინგით
- თანამშრომლების პრობლემატიკით
- კომპანიის კულტურის გარდაქმნით

გ) პერსონალის მენეჯერი ამუშავებს პროგრამას:

- პერსონალისა და ბიზნეს-პროცესების მართვასთან მიმართებაში
- დოკუმენტრუნვის ეფექტიანობის შესახებ
- პერსონალის მოთხოვნილებების უზრუნველყოფის შესახებ
- ფირმის ტრანსფორმაციის შესახებ

დასკვნა

სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით სათანადო ღონისძიებების განხორციელებისა და შეფასების პროცესებში უნდა ჩაერთონ თანამშრომლები, როგორც საკუთარი სამუშაო „სიტუაციური ზონის“ ექსპერტები. ხარისხის წრე არის ეფექტური ინსტრუმენტი სამოქმედო დაგეგმვაში მონაწილეობისთვის. ხარისხის წრე იყენებს თანამშრომლების ექსპერტულ ცოდნას შესაბამის სფეროებში.

მოცემული ჯგუფის მიერ შემუშავებული ორიენტირები უნდა გადაეგზავნოს მაგალითად, ისეთ სტრუქტურულ ერთეულს, როგორცაა: გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი. ანალიზის შედეგები არის კონკრეტული მიზნების განსაზღვრის, პრიორიტეტების დასახვისა და გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვის საფუძველი:

- შეამციროს წარმოების ციკლის დრო, მაგრამ გაზარდოს პროდუქტიულობა; ინფორმაციული უსაფრთხოების გაძლიერება;
- მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობებს, რეალურ უპირატესობას კონკურენტებზე და მოიპოვოს წვდომა ახალ ბაზრებზე;
- პროცესების ოპტიმიზაცია და მეორადი ფუნქციების შესრულების გადაცემა სხვა ორგანიზაციებზე აუთსორსინგის საფუძველზე;
- გრძელვადიანი ინვესტიციების და კაპიტალის ინვესტიციების მოცულობის გაზრდა;
- გაზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება უკეთესი ხარისხის პროდუქტების შეთავაზებით).

ორგანიზაციული ცვლილებებისთვის მენეჯმენტის საქმიანობის წინაპირობები: გარემო, რომელშიც საწარმო მუშაობს, ხასიათდება მუდმივი ცვლილებებით; მენეჯერის მთავარი პასუხისმგებლობაა ორგანიზაციის შენარჩუნების აუცილებლობა ცვალებად გარემოში; ორგანიზაციის შენარჩუნება ხდება გარემოსთან ადაპტაციის გზით; მენეჯერი რეაგირებს მიმდინარე ცვლილებებზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებით თითოეულ კონკრეტულ ცვლილებასთან დაკავშირებით; გადაწყვეტილების მიღება მოქმედებს როგორც მენეჯერის მთავარი ფუნქციური პასუხისმგებლობა და ნიშნავს მისთვის ცვლილებებზე რეაგირების ფორმას.

სინერგია პროცესზე ორიენტირებულ მასწავლებლებსა და მიზანზე ორიენტირებულ მშობლებს შორის საშუალებას იძლევა სკოლის, როგორც სოციალური დაწესებულების სასარგებლო ფუნქციის ოპტიმიზაციისა. მასწავლებელთა ორიენტაცია გუნდურ მუშაობაზე გაზრდის ორგანიზაციული პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას. აქტუალური ხდება მასწავლებელთა ორგანიზაციული პროფესიონალიზმის განვითარება. ორგანიზაციული ცვლილებების პროცესში მნიშვნელოვანია სასკოლო ტრენინგი, რომელიც გულისხმობს ახალ ეკონომიკურ პირობებთან ურთიერთობისა და ადაპტაციის სწავლას (ეკონომიკური აზროვნების მზარდ შედეგებს საგანმანათლებლო პოლიტიკაში).

ორგანიზაციული ცვლილებების ობიექტური წინაპირობები: ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება, კონკურენტუნარიანობის დაქვეითება; კომპანიის არასაკმარისი საინვესტიციო მიმზიდველობა; უთანხმოება მენეჯმენტის უმაღლეს დონეზე ტაქტიკურ და სტრატეგიულ საკითხებზე; კოორდინაციისა და ურთიერთდაკავშირების პრობლემების გაჩენა; ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური პროცესების მრავალფეროვნება, რომლებიც საჭიროებენ კოორდინაციასა და თანმიმდევრულობას; მიმდინარე და სტრატეგიულ საქმიანობას შორის ეკონომიკური ბალანსის დარღვევა; გარე და შიდა ფაქტორების ერთდროული გავლენა.

თანამედროვე ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს სამუშაო ორგანიზაცია, რომელიც თანამშრომლებს სთავაზობს დაბალანსებულ ურთიერთობას სამუშაო მოთხოვნებსა და საკუთარ შესაძლებლობებს შორის. ორგანიზაციული განვითარება არის ქცევითი დისციპლინა, რათა მოერგოს ორგანიზაციები მუდმივ ცვლილებებს. ორგანიზაციული განვითარება მიზნად ისახავს პიროვნული ზრდისა და განვითარების ინდივიდუალური მისწრაფებების ინტეგრირებას. ორგანიზაციული განვითარება სტრატეგიული ხასიათისაა და სკოლაში უნდა მოიცავდეს სკოლის პრობლემური სფეროს ანალიზს. საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანია შექმნას შესაძლებლობები აქტიური სამოქალაქო პოზიციის მქონე ინდივიდის განვითარებისთვის, რომელსაც შეუძლია შემოქმედებითობა და თვითრეალიზება სოციალურად სასარგებლო საქმიანობის პირობებში. სკოლის სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულოს ინტერესთა კლუბების ამოქმედებამ, სადაც თითოეულ ადამიანს შეუძლია კომუნიკაცია და საკუთარი თავის და პირადი უნარების წარმოჩენა.

სკოლებში პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა შესაძლებლობას იძლევა ინდივიდუალური სასკოლო პროფილის განვითარებისა. სკოლის ხარისხის შიდა სტანდარტების შემუშავება ქმნის სიცხადეს და ერთგულებას პროცესის მონაწილე მხარეებს შორის. კონსენსუსი კარგი სწავლების საერთო გაგების აღქმაში არის სკოლის წარმატებული თვითშეფასების წინაპირობა. სკოლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ერთობლივი დისკუსია. სწავლების კოლექტიურ დონეზე განხილვა მოითხოვს ნდობას და უკუკავშირის წესების ცოდნას.

თვითგანვითარებადი ორგანიზაცია:

- ✓ ის ერგება ახალ მიზნებს, როგორც ამას მოითხოვს გარემო პირობების სწრაფი ცვლილებები;
- ✓ მისი წევრები თანამშრომლობენ და მართავენ ცვლილებას, ხელს უშლიან მის დესტრუქციულ გავლენას ორგანიზაციაზე;
- ✓ მას აქვს თავისი წევრების ზრდისა და თვითგანვითარების (თვითაქტუალიზაციის) ხელსაყრელი შესაძლებლობები;

- ✓ მას ახასიათებს თავისუფალი კომუნიკაცია (ღია კომუნიკაციები) და მაღალი ურთიერთნდობა თანამშრომლებს შორის, ამიტომ წინააღმდეგობები წყდება კონსტრუქციულად;
- ✓ მასში ყველას მონაწილეობა მიზნების დასახვასა და გადაწყვეტილების მიღებაში არის წესი, რათა თანამშრომლებმა იგრძნონ მონაწილეობა ცვლილებების დაგეგმვასა და მართვაში.

ორგანიზაციული განვითარების საქმიანობის შედეგებს წარმოადგენენ: საწარმოს ორგანიზაციულ-ფუნქციური და ორგანიზაციულ-მართვითი სტრუქტურების ოპტიმიზაცია, ცვლილებებისა და განვითარებისთვის მზადყოფნის გაზრდა, ადამიანების ქცევის შეცვლა ერთმანეთის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების მიმართ, საწარმოს პერსონალის ინდივიდუალური და ჯგუფური თვითშეფასების უზრუნველყოფა, გუნდის გაერთიანება. (ლიდერების ძალისხმევა, საერთო სამუშაო კმაყოფილება).

ორგანიზაციული განვითარების სპეციალისტი უნდა ფლობდეს შემდეგ კომპეტენციებს:

1. მიღებული ორგანიზაციული და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების პირობებისა და შედეგების შეფასების უნარი.
2. ორგანიზაციული ცვლილებების პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი, ცვლილების მიმართ ადგილობრივი წინააღმდეგობის დაძლევის უნარი.
3. ბაზრის ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და შეფასების და ბიზნეს იდეების ჩამოყალიბების უნარი.
4. ადამიანური რესურსების აუდიტის და ორგანიზაციული კულტურის დიაგნოსტიკის უნარი.

ბიბლიოგრაფია

1. ფლორესი, ბელკის, ორგანიზაციული განვითარება. 2023;
2. ორგანიზაციულ ცვლილებებზე ორიენტირება, ჰონგ-კონგის ღია უნივერსიტეტი. 2014;
3. ანდერსონი, დონალდ, ორგანიზაციული განვითარება. ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესი. 2023;
4. გუმინგსი, თომას, ორგანიზაციული განვითარება და ცვლილება. 2008;
5. გალოსი, ჯონ, შაინი, ედგარ, ორგანიზაციული განვითარება. 2006;
6. ეილერსი, გრიტ, ინტეგრირებული კომუნიკაციების ორგანიზება. 2007;
7. შლატმანი, იოზეფ, საიბელი, არტურ, განვითარების პროექტის აგება და ორგანიზაცია. 2017;
8. გაიგერი, დანიელ, ორგანიზაცია: თანამედროვე ორგანიზაციული მოწყობის საფუძვლები. 2020.

შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) კვლევის ანალიზი საქართველოს ტერიტორიისა და მასპინძლობის საქმეში

ნინო კვეციანი

ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ნატალი კვაჭანტირაძე

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია GTA

აბსტრაქტი

ეს კვლევა აანალიზებს შრომის უფლებებსა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) პრაქტიკას საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე (SME) და სტარტაპებზე, ასევე მათზე, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ახალგაზრდები და/ან ქალები. კვლევა ეფუძნება 41 ბიზნესს შორის ჩატარებულ გამოკითხვას, რომლებიც წარმოადგენენ ტურისტული ბიზნესების სხვადასხვა ტიპებსა და საქართველოს გეოგრაფიულ რეგიონებს. დასკვნები მიუთითებს შრომის უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციების ინფორმირებულობისა და განხორციელების სხვადასხვა დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის უმეტესობა იცნობს ძირითად შრომით უფლებებს, როგორცაა სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დასვენების პერიოდები, მნიშვნელოვანი ხარვეზებია უფრო კომპლექსური უფლებების ცოდნაში, როგორცაა კოლექტიური მოლაპარაკებები და მინიმალური ხელფასის მოთხოვნები.

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) პრაქტიკის თვალსაზრისით, კვლევამ გამოავლინა გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ტარდება საგანგებო ევაკუაციის პროცედურები და ხანძარსაწინააღმდეგო სწავლება, სხვა კრიტიკული ზომები, როგორცაა ეროვნული შეფასებები და სტრესის მართვის პროგრამები ნაკლებად გავრცელებულია. ბიზნესის საკმაოდ დიდი რაოდენობა არ ატარებს რეგულარულ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH)-ის ტრენინგებს და ბევრ მათგანს აკლია სპეციალიზირებული პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების ზედამხედველობაზე.

კვლევა განსაზღვრავს რამდენიმე ძირითად გამოწვევას, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაოს მართვას, არაფორმალურ დასაქმებას და უსაფრთხოების რეგულარული ტრენინგის საჭიროებას. ამ დასკვნებზე დაყრდნობით, ნაშრომი რეკომენდაციას უწევს მიზანმიმართულ ინტერვენციებს, როგორცაა სექტორის სპეციფიკური ტრენინგის პროგრამები, რეგიონული კომუნიკაცია და ქალების მიერ ხელმძღვანელობითი ბიზნესის უფრო ძლიერი მხარდაჭერა. ეს ძალისხმევა არსებითია შრომის კანონმდებლობისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად, საბოლოო ჯამში, საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში უფრო უსაფრთხო და სამართლიანი სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: შრომითი უფლებები, შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა

შესავალი

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ეკონომიკაში, რომელსაც ღირებული წვლილი შეაქვს როგორც დასაქმების სექტორში, ასევე ეროვნულ შემოსავალში.¹ თუმცა, ამ სექტორის სწრაფმა ზრდამ წარმოშვა გამოწვევები, განსაკუთრებით შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OSH) სფეროებში. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესებმა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებმა (SME) და სტარტაპებმა, დაიცვან შრომის რეგულაციები და შეინარჩუნონ სათანადო შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის OSH სტანდარტები მდგრადი განვითარებისა და თანამშრომელთა კეთილდღეობისთვის.

ეს კვლევა იკვლევს შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის OSH პრაქტიკის მიმდინარე მდგომარეობას საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებსა და სტარტაპებზე, ასევე ახალგაზრდებისა და ქალების მიერ მართულ ბიზნესებზე. სხვადასხვა ბიზნესების კვლევის მონაცემთა ანალიზით, ეს კვლევა იძლევა ინფორმაციას ცნობიერების დონის, იმპლემენტაციისა და ბიზნესების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის OSH რეგულაციების დაცვასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები მიზნად ისახავს სამომავლო პოლიტიკის შემუშავებისა და საგანმანათლებლო ძალისხმევის ინფორმირებას სექტორში შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.

1. შრომითი უფლებების ცნობიერება და იმპლემენტაცია საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში

1.1 საქართველოს შრომის კოდექსის მიმოხილვა

საქართველოს შრომის კოდექსი წარმოადგენს მთავარ საკანონმდებლო დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს შრომით ურთიერთობებს ქვეყანაში, განსაზღვრავს როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულების უფლებებსა და ვალდებულებებს.² შრომის კოდექსის ძირითადი ასპექტები მოიცავს დებულებებს სამუშაო საათების, დასვენების შესვენებების, ზეგანაკვეთური ანაზღაურების, სამსახურიდან გათავისუფლების, ავადმყოფობის გამო შვებულებისა და დეკრეტული/მამობის შვებულების შესახებ. ეს რეგულაციები მიზნად ისახავს დაბალანსებული სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც იცავს მუშაკთა უფლებებს და ამავედროულად აძლევს ბიზნესებს ეფექტურად ფუნქციონირების საშუალებას.

მიუხედავად ამ დაცვის მექანიზმებისა, შრომის კოდექსის გამოყენება განსხვავდება სექტორების მიხედვით, განსაკუთრებით ისეთ ინდუსტრიებში, როგორცაა ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა, სადაც გავრცელებულია სეზონური სამუშაო და არაფორმალური დასაქმება. ამ სექტორის ბიზნესები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები და სტარტაპები, ხშირად აწყდებიან გამოწვევებს კოდექსის სრულად გაგებასა და დაცვაში, ნაწილობრივ რესურსებისა და იურიდიული ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო. შრომის კანონმდებლობის შესახებ გაძლიერებული ცნობიერება და იმპლემენტაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია თანამშრომელთა სამართლიანი მოპყრობის

¹ კეკელიძე, ნ., კვაჭანტირაძე, ნ., „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების საჭიროების კვლევა“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 2023. გვ. 52-68.

² მუხლი 14, „საქართველოს შრომის კოდექსი“. 2010.

უზრუნველსაყოფად, დავების პრევენციისა და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობისთვის.

1.2 კვლევის შედეგები შრომითი უფლებების ცნობიერების შესახებ

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში 41 ბიზნესში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შრომის კოდექსის შესახებ ცნობიერების სხვადასხვა დონე. რესპონდენტთა 61%-მა აღნიშნა, რომ ისინი "გარკვეულწილად იცნობენ" შრომის რეგულაციებს, მაშინ როცა მხოლოდ 24.4%-მა განაცხადა, რომ "ძალიან კარგად იცნობს." ეს მიუთითებს ცნობიერების ზომიერ დონეზე, მაგრამ ხაზს უსვამს უფრო ღრმა განათლებისა და ტრენინგის საჭიროებას ყოვლისმომცველი გაგებისა და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კვლევამ შემდგომში შეისწავლა კონკრეტული შრომითი უფლებების ცნობიერება, რამაც გამოავლინა სხვადასხვაგვარი გათვითცნობიერება ძირითად დებულებებში. მაგალითად, ბიზნესებმა აჩვენეს ცნობიერების მაღალი დონე მაქსიმალური სამუშაო საათების, ზეგანაკვეთური ანაზღაურების, დასვენების შესვენებებისა და წლიური შვებულების შესახებ. შრომის კანონმდებლობის ეს ასპექტები შედარებით კარგადაა გაგებული მათ ყოველდღიურ ოპერაციებზე უშუალო გავლენის გამო. თუმცა, მნიშვნელოვნად დაბალი იყო ცნობიერება ისეთი უფლებების შესახებ, როგორცაა კოლექტიური მოლაპარაკებები (მთავარი ინსტრუმენტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუშაკებმა შეძლონ უკეთესი პირობებისთვის მოლაპარაკება) და მინიმალური ხელფასის მოთხოვნები. ეს მიუთითებს, რომ მაშინ როცა ბიზნესები კარგად იცნობენ შრომის კანონმდებლობის უფრო ხილულ და ოპერაციულ ასპექტებს, ისინი ნაკლებად იცნობენ უფლებებს, რომლებიც მოიცავს მუშაკთა გრძელვადიან გაძლიერებასა და იურიდიულ მოლაპარაკებებს.

1.3 შრომითი უფლებების იმპლემენტაცია სექტორში

მაშინ როცა შრომითი უფლებების ზოგადი ცნობიერება იყო საშუალოდან მაღალ დონემდე, ამ უფლებების იმპლემენტაცია ბიზნესებში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბიზნესების 87.8%-ს ჰქონდა შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომლისთვის, რაც შრომის კოდექსის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის პოზიტიური ინდიკატორია. თუმცა, რესპონდენტთა 12.2%-ს არ ჰქონდა შრომითი ხელშეკრულებები ყველა თავის მუშაკთან, რაც მიუთითებს, რომ არაფორმალური დასაქმების პრაქტიკა კვლავ გავრცელებულია სექტორის ნაწილში. არაფორმალურმა დასაქმებამ შეიძლება მუშაკები დაუცველი დატოვოს ექსპლუატაციის მიმართ და უარი უთხრას მათ ფორმალური ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილ სამართლებრივ დაცვაზე.

ფორმალური შრომითი პოლიტიკის თვალსაზრისით, ბიზნესების 63.4%-ს ჰქონდა წერილობითი შრომითი პოლიტიკა, მაშინ როცა 22%-ს არ ჰქონდა ასეთი პოლიტიკა. კიდევ 14.6% იყო მათი შემუშავების პროცესში. ეს სტატისტიკა ავლენს მნიშვნელოვან ხარვეზს სექტორში შრომითი უფლებების ფორმალიზაციის ჭრილში. ფორმალიზებული პოლიტიკა გადამწყვეტია, რადგან ის უზრუნველყოფს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებს როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულებისთვის მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. წერილობითი პოლიტიკის არარსებობა თითქმის ბიზნესების მეოთხედში მიუთითებს არათანმიმდევრული პრაქტიკისა და სამომავლო სამართლებრივი გამოწვევების რისკზე.

1.4 გამოწვევები შრომითი უფლებების იმპლემენტაციაში

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ნახსენები გამოწვევა შრომითი უფლებების იმპლემენტაციაში იყო ზეგანაკვეთური სამუშაოსა და სამუშაო საათების მართვა, განსაკუთრებით იმ ბიზნესებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული სეზონურ ან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლებზე. სამუშაოს მოქნილი ხასიათი ტურიზმის სექტორში ართულებს სტანდარტული სამუშაო საათების რეგულაციებთან შესაბამისობას, და ბევრი დამსაქმებელი ებრძვის ოპერაციული მოთხოვნებისა და სამართლებრივი მოთხოვნების დაბალანსებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა შრომის კანონმდებლობის ცვლილებებთან ნაკლები ნაცნობობა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხშირად თავს გრძობენ მოწყვეტილად ახალი რეგულაციებისა და განახლებებისგან, განსაკუთრებით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პროცედურების, ანაზღაურებისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პოლიტიკის კუთხით. ეს გამოწვევა კიდევ უფრო მწვავედ გამოდის და რესურსების თბილისში გეოგრაფიული კონცენტრაციის გამო, რაც სხვა რეგიონებში არსებულ ბიზნესებს ტრენინგებისა და იურიდიული კონსულტაციების ნაკლებ შესაძლებლობებს უტოვებს.

2. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OSH) პრაქტიკა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში

2.1. OSH რეგულაციები საქართველოში

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OSH) რეგულაციები საქართველოში შექმნილია დასაქმებულების დასაცავად ფიზიკური, ფსიქიკური და გარემოსდაცვითი საფრთხეებისგან სამუშაო ადგილზე. სამართლებრივი ჩარჩო მოიცავს ფართო სპექტრის თემებს, სახანძრო უსაფრთხოებიდან და საგანგებო პროცედურებიდან დაწყებული, საშიში მასალებისა და გრძელვადიანი ჯანმრთელობის რისკების მართვით დამთავრებული, როგორცაა სტრესი და ერგონომიული დაზიანებები. შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვასთან (OSH-თან) შესაბამისობა არა მხოლოდ სამართლებრივი ვალდებულებაა, არამედ მთავარი ფაქტორია თანამშრომელთა კეთილდღეობისა და პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად.

ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ზომების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამუშაოს მრავალფეროვანი და ზოგჯერ ფიზიკურად მომთხოვნი ხასიათის გამო.³ სასტუმროების, რესტორნების, ტურისტული ოპერაციებისა და სხვა სტუმარმასპინძლობის სერვისების თანამშრომლებს ხშირად უწევთ მძიმე ტვირთის გადატანა, სახიფათო გარემოში მუშაობა, ან დიდი რაოდენობით მომხმარებელთან ურთიერთობა, რაც ზრდის მათი დაზარალების ან გონებრივად გადაღლისა და დაზიანების რისკს. ბიზნესებისთვის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH-ის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება არა მხოლოდ სამართლებრივ შესაბამისობას ეხება, არამედ უსაფრთხო და მდგრადი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც იზიდავს და ინარჩუნებს ტალანტებს.

³ ტარტარაშვილი, თ., „შრომის, გარემოსა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკანონმდებლო უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი და ტერმინოლოგია“. 2022.

2.2. კვლევის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ცნობიერებასა და განხორციელებაზე

კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ცნობიერებასა და განხორციელებაში ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში. მაშინ როცა რესპონდენტთა 19.5% აცხადებდა, რომ ძალიან კარგად იცნობს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH რეგულაციებს, ბიზნესების უმრავლესობას ჰქონდა მხოლოდ ზომიერი ან შეზღუდული გაგება. კონკრეტულად, 43.9% იყო "გარკვეულწილად ნაცნობი" შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH რეგულაციებთან, და 31.7% იყო ან "არც ისე ნაცნობი" ან "საერთოდ არ იყო ნაცნობი." ეს მიუთითებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH სტანდარტების შესახებ მეტი განათლებისა და ტრენინგის აშკარა საჭიროებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ბიზნესებმა შეძლონ თავიანთი თანამშრომლების ადეკვატური დაცვა.

განხორციელების თვალსაზრისით, კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესების უმეტესობას გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საგანგებო ევაკუაციის პროცედურები, სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგი და პირველადი დახმარების ყუთების უზრუნველყოფა იყო ყველაზე ხშირად განხორციელებული ზომები. თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა გრძელვადიანი ჯანმრთელობის საკითხებს, როგორცაა ერგონომიული შეფასებები და სტრესის მართვის პროგრამები. მხოლოდ ბიზნესების უმცირესობას ჰქონდა განხორციელებული ზომები სამუშაო ადგილზე სტრესის პრევენციისთვის ან იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამშრომელთა ფიზიკური სამუშაო გარემო აკმაყოფილებდეს ერგონომიულ სტანდარტებს. ეს დისბალანსი მიუთითებს, რომ მაშინ როცა ბიზნესები ფოკუსირდებიან დაუყოვნებელ უსაფრთხოების საკითხებზე, ისინი შეიძლება უგულებელყოფენ გრძელვადიანი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვან ასპექტებს.

2.3. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ტრენინგების სიხშირე და ხარისხი

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ტრენინგი სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების შენარჩუნების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ კვლევამ გამოავლინა შეუსაბამოებები იმაში, თუ რამდენად ხშირად ატარებენ ბიზნესები ასეთ ტრენინგებს. რესპონდენტთა შორის, 41.5% აცხადებდა, რომ ატარებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ტრენინგს ყოველწლიურად, რაც არის მინიმალური სტანდარტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამშრომლები რჩებიან უსაფრთხოების პროცედურების ცოდნის ფარგლებში. თუმცა, ბიზნესების 19.5%-მა აღიარა, რომ არასდროს ჩატარებიათ რაიმე სახის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ტრენინგი, და 17.1% მხოლოდ სამუშაოზე აყვანის პროცესში უზრუნველყოფდა ტრენინგს. ეს არათანმიმდევრულობა განსაკუთრებით საგანგაშოა სექტორში, სადაც რისკები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს წლის დროის, ოპერაციის ტიპის ან სამუშაოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

გარდა ამისა, მხოლოდ რესპონდენტთა 41.5%-ს ჰყავდა დანიშნული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH ოფიცერი ან პირი, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ზედამხედველობაზე, მაშინ როცა დარჩენილ ბიზნესებს ან არ ჰქონდათ ასეთი პოზიცია ან აუთსორსინგით გადაეცათ პასუხისმგებლობა. დანიშნული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH პერსონალის ნაკლებობა,

განსაკუთრებით მცირე ბიზნესებში, ხაზს უსვამს ხარვეზს უსაფრთხოების საკითხებზე ექსპერტიზასა და ლიდერობაში.

2.4. ძირითადი გამოწვევები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH განხორციელებაში

კვლევის რესპონდენტებმა გამოავლინეს რამდენიმე ძირითადი გამოწვევა ეფექტური შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH პრაქტიკის განხორციელებაში. ესენია:

- სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ტრენინგი: ბევრ ბიზნესს უჭირს რეგულარული, მაღალი ხარისხის უსაფრთხოების ტრენინგის უზრუნველყოფა თავიანთი თანამშრომლებისთვის, ხშირად რესურსების შეზღუდვის ან შესაბამის სატრენინგო მასალებზე წვდომის ნაკლებობის გამო. ეს გამოწვევა განსაკუთრებით მწვავეა მცირე და საშუალო საწარმოებისა და სტარტაპებისთვის, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ ბიუჯეტი ან დრო უსაფრთხოების მიმდინარე განათლებისთვის.
- სტრესის მართვა და ფსიქიკური ჯანმრთელობა: ტურიზმის სფეროში მაღალი წნეხის ბუნების გათვალისწინებით, სტრესი და გადაწვა გავრცელებული პრობლემებია. თუმცა, ცოტა ბიზნესს აქვს დანერგილი ფორმალური სტრესის მართვის პროგრამები, და კიდევ უფრო ნაკლებს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სისტემები. ეს მნიშვნელოვანი ხარვეზია სექტორში, სადაც თანამშრომელთა ურთიერთქმედება ტურისტებთან და მომთხოვნი განრიგი შეიძლება უწყობდეს ხელს ფსიქოსოციალურ რისკებს.
- საშიში მასალების მართვა და უსაფრთხოება მგზავრობისას: ზოგიერთი ბიზნესი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ჩართულია სათავგადასავლო ტურიზმში ან ღია ცის ქვეშ აქტივობებში, აწყდება უნიკალურ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საშიშ მასალებთან და ტრანსპორტირების უსაფრთხოებასთან. იმის უზრუნველყოფა, რომ თანამშრომლებს ჰქონდეთ ტრენინგი ამ რისკების სამართავად, მოითხოვს სპეციალიზებულ ტრენინგს, რომელიც ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის.
- ცნობიერებისა და ცოდნის ხარვეზები: შესაძლოა, ყველაზე ფუნდამენტური გამოწვევაა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH რეგულაციების შესახებ ზოგადი ცნობიერებისა და გაგების ნაკლებობა. ბევრი ბიზნესი, განსაკუთრებით მცირე ზომის, ან არ აღიქვამს შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას OSH-ს პრიორიტეტად ან არ არის დარწმუნებული, როგორ განახორციელოს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების ზომები. ცნობიერების ეს ნაკლებობა ხაზს უსვამს სექტორის მასშტაბით საგანმანათლებლო კამპანიებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის OSH შესაბამისობაზე უფრო ხელმისაწვდომი რესურსების საჭიროებას.

რეკომენდაციები

1. მიზნობრივი სატრენინგო პროგრამები:
 - სექტორის სპეციფიკისა და საჭიროების მიხედვით სატრენინგო პროგრამების შემუშავება შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, მორგებული ტურიზმისა და მასპინძლობის დარგში ჩართულ ორგანიზაციებზე.
 - ყურადღების გამახვილება ნაკლებად ცნობილ სფეროებზე, როგორცაა კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები და მინიმალური ხელფასის მოთხოვნები.
2. რეგიონული გავრცელება:
 - მაშინ როცა თბილისში მდებარე ბიზნესები კარგად არიან წარმოდგენილნი, მნიშვნელოვანია საქართველოს სხვა რეგიონებში არსებული ბიზნესების ჩართულობის გაზრდა.
3. მცირე და საშუალო საწარმოებსა და სტარტაპებზე ფოკუსირება:
 - სპეციალური ინიციატივების შემუშავება ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და სტარტაპებისთვის, მათი უნიკალური გამოწვევების გათვალისწინებით შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის დანერგვაში.
4. ქალების მიერ მართული ბიზნესების მხარდაჭერა:
 - მიზნობრივი პროგრამების შექმნა ქალების მიერ მართული ბიზნესების მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად, მათი მნიშვნელოვანი წარმომადგენლობის გათვალისწინებით.
5. თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:
 - უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება ახალი სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად, რომლებიც შრომით უფლებებსა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ სასწავლო კურსებს შეიტანენ ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში.
6. ინდუსტრიაზე მორგებული სპეციფიკური სახელმძღვანელოები:
 - შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმძღვანელოების შექმნა და გავრცელება სხვადასხვა ქვესექტორისთვის (მაგ., ტურ-ოპერირება, სასტუმროს მენეჯმენტი).
7. რეგულარული შეფასება:
 - შემდგომი კვლევების ჩატარება პროგრესის თვალყურის სადევნებლად და სექტორში არსებული ცვალებადი საჭიროებების გამოსავლენად.
8. ცნობიერების ამაღლების კამპანიები:
 - ახალი კამპანიების შემუშავება ნაკლებად ცნობილი შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, განსაკუთრებით კოლექტიური მოლაპარაკების უფლებებისა და მინიმალური ხელფასის მოთხოვნების შესახებ.

9. პოლიტიკის ფორმალიზება:

- ბიზნესების წახალისება და დახმარება წერილობითი შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებაში.

10. თანამშრომელთა ყოვლისმომცველი განათლება:

- პროგრამების შემუშავება თანამშრომლების შრომითი უფლებების შესახებ სრულყოფილად ინფორმირებისთვის.

11. შრომითი უფლებების ტრენინგების გაზრდა:

- უფრო ფართოდ გავრცელებული სატრენინგო პროგრამების დანერგვა შრომით უფლებებზე როგორც დამსაქმებლებისთვის, ისე დასაქმებულებისთვის.

12. შრომის უსაფრთხოების განათლება და იმპლემენტაცია:

- განათლების გაუმჯობესება შრომის უსაფრთხოების რეგულაციების შესახებ და ბიზნესების დახმარება ყოვლისმომცველი შრომის უსაფრთხოების ზომების დანერგვაში, მათ შორის გრძელვადიან ჯანმრთელობაზე ფოკუსირებით.

13. საერთო გამოწვევების მოგვარება:

- სპეციფიკური სახელმძღვანელოს შემუშავება და მხარდაჭერა ზეგანაკვეთური სამუშაოს, სამუშაო საათებისა და სეზონური დასაქმების მართვისთვის შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

14. შრომის უსაფრთხოების ტრენინგების სტანდარტიზება:

- უფრო ხშირი და რეგულარული შრომის უსაფრთხოების ტრენინგების წახალისება მთელს სექტორში, სულ მცირე ყოველწლიური ტრენინგების მიმართულებით.

15. შრომის უსაფრთხოების ექსპერტიზა:

- ბიზნესების დახმარება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების, შრომის უსაფრთხოების ექსპერტიზის მიღებაში, როგორც სპეციალური თანამშრომლების დაქირავებით, ისე საზიარო რესურსებისა და აუტსორსინგის შესაძლებლობების მეშვეობით.

16. სექტორზე მორგებული, სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელო:

- შრომის უსაფრთხოების სახელმძღვანელოების შემუშავება და გავრცელება, რომლებიც შეეხება ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის სპეციფიკურ გამოწვევებს, მათ შორის მოგზაურობის რისკებს, მომხმარებლებთან ურთიერთობის რისკებს და საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებულ გამოწვევებს.

17. შრომის უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანია:

- სექტორის მასშტაბით კამპანიის წამოწყება შრომის უსაფრთხოების საკითხებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, იმ ბიზნესებზე ფოკუსირებით, რომლებიც ამჟამად ვერ ხედავენ მნიშვნელოვან გამოწვევებს ან აკლიათ ცნობიერება.

18. მორგებული შრომითი რეგულაციები:

- პოლიტიკის შემქმნელებთან მუშაობა სპეციალური შრომის სამართლის დებულებების შესაქმნელად, რომლებიც შეეხება ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის უნიკალურ საჭიროებებს, განსაკუთრებით სავლე პერსონალის, გიდების, ტურის ლიდერების, მძღოლებისა და სეზონურად მომუშავე მუშაკებისთვის.

19. არაფორმალური დასაქმების შემცირება:

- ინიციატივების შემუშავება სექტორში არაფორმალურ დასაქმებასთან საბრძოლველად, ფორმალური კონტრაქტების წახალისებითა და ყველა მუშაკის შრომის კანონმდებლობით დაფარვის უზრუნველყოფით.

20. ინსპექტირების შესახებ ცნობიერების ამაღლება:

- საინფორმაციო კამპანიების ჩატარება საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურისა და შესაბამისობის სარგებლის შესახებ ბიზნესების შესაძლო ინსპექტირებისთვის მოსამზადებლად.

21. მენტალურ ჯანმრთელობაზე ფოკუსირება:

- მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამები შემუშავება და წახალისება, სპეციალურად შემუშავებული ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის მაღალი სტრესის ბუნების გათვალისწინებით.

22. ტრენინგების მრავალფეროვანი ფორმატები:

- პირისპირ სემინარების, ონლაინ კურსების, წერილობითი მასალებისა და საკონსულტაციო სერვისების ნაზავის შეთავაზება ბიზნესებისთვის სხვადასხვა სასწავლო პრეფერენციისა და ბიზნეს საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

23. მხარდამჭერი სერვისების პოპულარიზაცია:

- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ხილვადობის გაზრდა, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარდაჭერას შრომით უფლებებსა და შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაში მიზნობრივი მარკეტინგისა და ინდუსტრიის ასოციაციებთან პარტნიორობის მეშვეობით.

24. უსაფრთხოების სტანდარტიზებული პროტოკოლები:

- ინდუსტრიაზე მორგებული, სპეციფიკური სტანდარტიზებული უსაფრთხოების პროტოკოლების შემუშავება და გავრცელება, განსაკუთრებით სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი დახმარებისა და სასტუმრო გარემოში საშიში მასალების მართვისთვის.

25. სავლე უსაფრთხოების სახელმძღვანელოები:

- სპეციალიზებული უსაფრთხოების სახელმძღვანელოების შექმნა სავლე პერსონალისთვის, მოგზაურობისა და ტრანსპორტირების რისკების, და ტურისტებთან ურთიერთობით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკების მიმართ.

დასკვნა

საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის ეს კვლევა აჩვენებს შერეულ სურათს შესაბამისობის, ცნობიერებისა და განხორციელების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პოზიტიური ინდიკატორები, როგორცაა შრომითი ხელშეკრულებების ფართოდ გამოყენება და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ტრენინგების გარკვეული დონე, მნიშვნელოვანი ხარვეზები რჩება, განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების ტრენინგების სიხშირესა და ყოვლისმომცველობაში, შრომის უსაფრთხოების სპეციალური პერსონალის არსებობასა და კონკრეტული შრომის უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ ცნობიერებაში.

სექტორი ავლენს ძლიერ მხარეებს შრომის კანონმდებლობასთან ძირითად შესაბამისობაში, მაგრამ აწყდება გამოწვევებს ისეთ სფეროებში, როგორცაა ზეგანაკვეთური სამუშაოს მართვა, თანამშრომელთა უფლებების ყოვლისმომცველი განათლება და შრომის უსაფრთხოების ზომების თანმიმდევრული განხორციელება. აშკარაა საჭიროება შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ექსპერტიზის უფრო სტანდარტიზებული მიდგომებისა, განსაკუთრებით მცირე ბიზნესებს შორის.

გამოვლენილი კონკრეტული გამოწვევები, დაწყებული სტრესის მართვიდან ტურისტებთან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკებით დამთავრებული, იძლევა მკაფიო მიმართულებას მიზნობრივი ჩარევებისთვის. საგანმანათლებლო დაწესებულებები ასევე სექტორში აწყდებიან უნიკალურ გამოწვევებს, რომლებიც სპეციალურ ყურადღებას საჭიროებს.

ეს ანალიზი უზრუნველყოფს მყარ საფუძველს მიზნობრივი ინტერვენციების, სატრენინგო პროგრამებისა და მხარდაჭერი ინიციატივების შესამუშავებლად საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას, შრომის უსაფრთხოების პრაქტიკის სტანდარტიზებას და კვლევაში გამოვლენილი სექტორზე მორგებული, სპეციფიკური გამოწვევების მოგვარებას. ამ საკითხებზე ფოკუსირებით, სექტორს შეუძლია გახადოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის დარგი საქართველოში მეტად უსაფრთხო, მოთხოვნადი და მდგრადი.

დანართი 1. კვლევის ანალიზი

აღნიშნული დანართი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის ასოციაციის (GTA) წევრებსა და არაწევრებს შორის ჩატარებული შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კვლევის ანალიზს. კვლევის მიზანი იყო საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ცნობიერების, განხორციელებისა და გამოწვევების შეფასებას, განსაკუთრებული ყურადღებით მცირე და საშუალო საწარმოებსა და სტარტაპებზე.

კვლევაში მონაწილეობა სულ გამოკითხულთა რაოდენობა: 41 მონაწილე

ძირითადი მიგნებები

1. მრავალფეროვანი მონაწილეობა:

- კვლევამ მოიცვა მონაწილეები ტურიზმისა და სასტუმრო სექტორის სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის სასტუმროები, ტურ-ოპერატორები, ტურისტული სააგენტოები, უნივერსიტეტები და სხვა დაკავშირებული სერვისის მომწოდებლები.
- ეს მრავალფეროვნება იძლევა სექტორის სრულყოფილ სურათს საქართველოში.

2. გეოგრაფიული განაწილება:

- გამოკითხულთა უმრავლესობა (26 ორგანიზაცია) იყო თბილისიდან, რაც მიუთითებს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ბიზნესების კონცენტრაციაზე დედაქალაქში.
- სხვა ლოკაციები მოიცავდა თელავს, ბაკურიანს, წალკას, ქობულეთს და სხვადასხვა რეგიონს, რაც აჩვენებს გარკვეულ გეოგრაფიულ მრავალფეროვნებას.

3. ბიზნესის ტიპები:

- ტურ-ოპერატორები/ტურისტული სააგენტოები: 22 პასუხი (53.7%)
- სასტუმროები: 8 პასუხი (19.5%)
- უნივერსიტეტები/კოლეჯები: 5 პასუხი (12.2%)
- სხვა (რესტორნები, მარნები, სერვისის მომწოდებლები და ა.შ.): 6 პასუხი (14.6%)

4. ბიზნესების ზომა:

- 1-10 თანამშრომელი: 18 პასუხი (43.9%)
- 11-50 თანამშრომელი: 12 პასუხი (29.3%)
- 51-100 თანამშრომელი: 4 პასუხი (9.8%)
- 100+ თანამშრომელი: 7 პასუხი (17.1%)

ეს განაწილება აჩვენებს მცირე და საშუალო საწარმოების დომინირებას სექტორში.

5. ბიზნესის მახასიათებლები:

- მცირე და საშუალო საწარმოები: 20 პასუხი
- ქალების მიერ მართული: 12 პასუხი
- ახალგაზრდების მიერ მართული (35 წლამდე): 4 პასუხი
- მსხვილი საწარმოები: 7 პასუხი
- სტარტაპები: 2 პასუხი

ეს მიუთითებს მცირე და საშუალო საწარმოებისა და ქალების მიერ მართული ბიზნესების მნიშვნელოვან წარმომადგენლობაზე სექტორში.

6. საკონტაქტო პირის პოზიცია:

- დირექტორი/აღმასრულებელი დირექტორი/გენერალური მენეჯერი: 18 პასუხი
- გაყიდვების/მარკეტინგის როლები: 7 პასუხი
- აკადემიური როლები (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი): 3 პასუხი
- სხვა მენეჯერული როლები: 13 პასუხი

როლების მრავალფეროვნება მიუთითებს მენეჯმენტის სხვადასხვა დონიდან პერსპექტივების კარგ ნაზავზე.

7. საქართველოს შრომის კოდექსთან ნაცნობობა:

- მეტ-ნაკლებად ნაცნობი: 25 პასუხი (61%)
- ძალიან კარგად ნაცნობი: 10 პასუხი (24.4%)
- არ არის კარგად ნაცნობი: 6 პასუხი (14.6%)

ეს მიუთითებს ნაცნობობის ზოგადად კარგ დონეზე, თუმცა არსებობს გაუმჯობესების პერსპექტივა.

8. კონკრეტული შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერება:

- მაღალი ცნობიერება: მაქსიმალური სამუშაო საათები, ზეგანაკვეთური ანაზღაურება, შესვენებები და დასვენების დღეები, წლიური შვებულება
- საშუალო ცნობიერება: ავადმყოფობის გამო შვებულება, დეკრეტული/მამობის შვებულება, შეტყობინების ვადები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას
- დაბალი ცნობიერება: კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები, მინიმალური ხელფასის მოთხოვნები

ეს მიუთითებს სფეროებზე, სადაც დამატებითი განათლება და ცნობიერების ამაღლების კამპანიები შეიძლება სასარგებლო იყოს.

9. წერილობითი შრომითი პოლიტიკა:

- დიახ: 26 პასუხი (63.4%)
- არა: 9 პასუხი (22%)
- შემუშავების პროცესში: 6 პასუხი (14.6%)

ეს მიუთითებს, რომ ბიზნესების უმრავლესობას აქვს ფორმალიზებული შრომითი პოლიტიკა, თუმცა არსებობს გაუმჯობესების პერსპექტივა.

10. შრომითი ხელშეკრულებები:

- 36 ბიზნესს (87.8%) აქვს შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან.
- 5 ბიზნესს (12.2%) არ აქვს ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან.

ეს მიუთითებს ზოგადად კარგ შესაბამისობაზე ფორმალური დასაქმების პრაქტიკასთან.

11. თანამშრომელთა ცნობიერება შრომითი უფლებების შესახებ:

- დიახ, ყოვლისმომცველად: 25 პასუხი (61%)
- დიახ, მაგრამ მხოლოდ ძირითადი: 12 პასუხი (29.3%)
- არ ვარ დარწმუნებული: 4 პასუხი (9.8%)

ბიზნესების უმრავლესობა იუწყება, რომ ინფორმირებას უწევს თანამშრომლებს მათი უფლებების შესახებ, თუმცა არსებობს უფრო ყოვლისმომცველი განათლების პოტენციალი.

12. ტრენინგი შრომით უფლებებზე:

- დიახ: 15 პასუხი (36.6%)
- არა: 25 პასუხი (61%)

ეს მიუთითებს მნიშვნელოვან ხარვეზზე შრომითი უფლებების ფორმალურ ტრენინგში.

13. სამართლებრივი დავები:

- არა: 34 პასუხი (82.9%)
- დიახ: 7 პასუხი (17.1%)

მაშინ როცა ბიზნესების უმრავლესობას არ ჰქონია სამართლებრივი დავები, აღსანიშნავია უმცირესობა რომელსაც ჰქონია.

14. შრომის სამართლის ძირითადი გამოწვევები:

- ხშირად ნახსენები იყო ზეგანაკვეთური სამუშაო და სამუშაო საათები.
- სხვა გამოწვევები მოიცავს სეზონური პერსონალის დაქირავებას, ხელფასებთან დაკავშირებულ საკითხებს, შრომის კანონმდებლობის შესახებ ცოდნის ნაკლებობას და თანამშრომელთა შეტყობინების ვადებს.

15. შრომის უსაფრთხოების რეგულაციებთან ნაცნობობა:

- მეტ-ნაკლებად ნაცნობი: 18 პასუხი (43.9%)
- არ არის კარგად ნაცნობი: 13 პასუხი (31.7%)
- ძალიან კარგად ნაცნობი: 8 პასუხი (19.5%)
- საერთოდ არ არის ნაცნობი: 2 პასუხი (4.9%)

ეს მიუთითებს შრომის უსაფრთხოების რეგულაციებზე მეტი განათლების საჭიროებაზე.

16. წერილობითი შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა:

- არა: 16 პასუხი (39%)
- დიახ: 15 პასუხი (36.6%)
- შემუშავების პროცესში: 10 პასუხი (24.4%)

არის საკმაოდ თანაბარი გადანაწილება, რაც მიუთითებს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმალიზების გაუმჯობესების არეალზე.

17. დანერგული შრომის უსაფრთხოების ზომები:

- ყველაზე ხშირად დანერგილი: საგანგებო ევაკუაციის პროცედურები, სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგი, რეგულარული უსაფრთხოების ტრენინგი და პირველადი დახმარების ნაკრებები.
- ნაკლებად დანერგილი: ერგონომიული შეფასებები და სტრესის მართვის პროგრამები.

ეს მიუთითებს ფოკუსირებაზე დაუყოვნებელ უსაფრთხოების საკითხებზე, მაგრამ ნაკლებ ყურადღებაზე გრძელვადიანი ჯანმრთელობის საკითხებისადმი.

18. შრომის უსაფრთხოების ტრენინგების სიხშირე:

- ყოველწლიურად: 17 პასუხი (41.5%)
- არასდროს: 8 პასუხი (19.5%)
- მხოლოდ სამსახურში მიღებისას: 7 პასუხი (17.1%)
- კვარტალურად: 5 პასუხი (12.2%)
- ყოველთვიურად: 1
- სხვა: წელიწადში ორჯერ, სამუშაოს დასაწყისში: 2 პასუხი (4.9%)

ეს მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესების უმეტესობა ატარებს გარკვეული სახის შრომის უსაფრთხოების ტრენინგებს, არის მნიშვნელოვანი განსხვავება სიხშირეში და ყურადსაღები რაოდენობა რომლებიც საერთოდ არ ატარებენ ტრენინგებს.

19. შრომის უსაფრთხოების დანიშნული ოფიცერი:

- არა: 22 პასუხი (53.7%)
- დიახ: 17 პასუხი (41.5%)
- აუტოსორსინგი: 1 პასუხი (2.4%)

ეს მიუთითებს, რომ ბევრ ბიზნესს, განსაკუთრებით მცირე ზომის, შესაძლოა არ ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

20. მთავარი გამოწვევები შრომის უსაფრთხოების კუთხით:

- ბევრმა რესპონდენტმა (8) აღნიშნა, რომ არ აქვთ მნიშვნელოვანი გამოწვევები ან ვერ დაასახელეს კონკრეტული გამოწვევები.
- ხშირად ნახსენები გამოწვევები მოიცავს:
 - 1) თანამშრომლების რეგულარული უსაფრთხოების ტრენინგები
 - 2) სამუშაო ადგილის უსაფრთხოების შემოწმებები
 - 3) სტრესის მართვა
 - 4) უსაფრთხოება მუშაობისას, პირველადი დახმარებისა და გადარჩენის ჩათვლით
 - 5) მგზავრობისა და ტრანსპორტირების რისკები
 - 6) ჯანმრთელობის რისკები ტურისტებთან ურთიერთობისას
 - 7) ზეგანაკვეთური სამუშაო
 - 8) მძიმე წონების გადატანა

- ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა ცოდნის ან ცნობიერების ნაკლებობა შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.
- საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღნიშნეს სპეციფიკური გამოწვევები, რაც უკავშირდება სტუდენტების დაცვას პოტენციურად სახიფათო სპეციალობებში.

21. შრომის ინსპექცია:

- 29 რესპონდენტს (70.7%) არ ჩატარებია შემოწმება საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ.
- 12 რესპონდენტს (29.3%) ჩაუტარდა შემოწმება.

ეს მიუთითებს, რომ შესაძლოა საჭირო იყოს უფრო ხშირი ან ფართომასშტაბიანი შემოწმებები.

22. საინფორმაციო საჭიროებები შრომის უფლებებზე:

- სფეროები, სადაც მეტი ინფორმაცია ან ტრენინგია საჭირო, მოიცავს:

- 1) ზეგანაკვეთური ანაზღაურება
- 2) კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები
- 3) ავადმყოფობის შვებულების პოლიტიკა
- 4) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცედურები და კომპენსაცია
- 5) დეკრეტული შვებულება
- 6) არასტანდარტული სამუშაო გრაფიკები
- 7) დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებები
- 8) ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა
- 9) გაერთიანების უფლებები

- ზოგიერთმა რესპონდენტმა გამოხატა ინტერესი ზოგადი ინფორმაციის ან ახალი რეგულაციების შესახებ.

23. შრომის უსაფრთხოების თემები, რომლებიც დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს:

- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დაგეგმვა
- ერგონომიული შეფასებები
- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პროგრამები
- სახიფათო მასალების მართვა
- ინციდენტების შეტყობინება და გამოძიება
- სამუშაო საათები მუდმივი და დროებითი პერსონალისთვის
- უსაფრთხოების საკითხები ველზე
- ფსიქოსოციალური რისკები სამუშაო ადგილზე
- სტრესის მართვა და გადაწვის პრევენცია

24. სასურველი ტრენინგების ფორმატები:

- პირისპირ სემინარები, ონლაინ კურსები, წერილობითი მასალები და საკონსულტაციო სერვისები იყო პოპულარული არჩევანი.

- ბევრმა რესპონდენტმა აირჩია რამდენიმე ფორმატი, რაც მიუთითებს მრავალფეროვანი სასწავლო შესაძლებლობების უპირატესობაზე.
25. მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობა:
- პასუხები თითქმის თანაბრად გაიყო:
 - 1) 21 რესპონდენტი (51.2%) არ იყო ინფორმირებული სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარდაჭერას შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების საკითხებში.
 - 2) 20 რესპონდენტი (48.8%) იყო ინფორმირებული ასეთი ორგანიზაციების შესახებ.
- ეს მიუთითებს არსებული მხარდაჭერის სერვისების უკეთესი პოპულარიზაციის საჭიროებაზე.
26. დამატებითი კომენტარები და შემოთავაზებები:
- ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიისთვის სპეციფიკური ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამების გაუმჯობესება.
 - სტანდარტიზებული უსაფრთხოების პროტოკოლების დანერგვა ყველა დაწესებულებაში.
 - თანამშრომლებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამების შემოღება.
 - შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების რეგულაციების უფრო მკაცრი მონიტორინგი და აღსრულება.
 - მუშაკების უკეთესი განათლება მათი უფლებების შესახებ, რაც უკავშირდება სამუშაო საათებს, ხელფასებს და დასვენების პერიოდებს.
 - სექტორში არაფორმალური დასაქმების საკითხის მოგვარება.
 - სასტუმრო სექტორისთვის სპეციალური შრომის სამართლის დებულებების შექმნა, განსაკუთრებით სავალე პერსონალისა და სეზონური მუშაკებისთვის.
 - სასტუმრო პერსონალის, მათ შორის კოლეჯის კურსდამთავრებულების უფლებების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა.
 - სექტორისთვის მეტი მხარდაჭერა, ინფორმაცია და ტრენინგი.

დანართი 2. კვლევის კითხვარი

ნაწილი 1: ზოგადი ინფორმაცია და საკონტაქტო დეტალები

1. ბიზნესის სახელწოდება: _____
2. ქალაქი/დაბა: _____
3. ბიზნესის ტიპი: [] სასტუმრო [] რესტორანი [] ტურ-ოპერატორი [] ტურისტული სააგენტო [] სხვა: _____
4. თანამშრომელთა რაოდენობა: [] 1-10 [] 11-50 [] 51-100 [] 101+

- 5. თქვენი ბიზნესი არის: (მონიშნეთ ყველა შესაბამისი) [] მცირე ან საშუალო საწარმო (SME) [] სტარტაპი [] ახალგაზრდების მიერ მართული (35 წლამდე) [] ქალების მიერ მართული
- 6. ძირითადი საკონტაქტო პირი: _____
- 7. საკონტაქტო პირის თანამდებობა: _____
- 8. ტელეფონის ნომერი: _____
- 9. ელ-ფოსტის მისამართი: _____

ნაწილი 2: შრომის უფლებების ცოდნა

- 10. რამდენად იცნობთ საქართველოს შრომის კოდექსს? [] ძალიან კარგად [] საშუალოდ [] არც ისე კარგად [] საერთოდ არ ვიცნობ
- 11. ქვემოთ ჩამოთვლილი შრომითი უფლებებიდან რომელი იცით? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი) [] მაქსიმალური სამუშაო საათები [] მინიმალური ხელფასის მოთხოვნები [] ზეგანაკვეთური ანაზღაურება [] შესვენებები და დასვენების დღეები [] ყოველწლიური ანაზღაურებადი/აუნაზღაურებელი შვებულება [] ავადმყოფობის შვებულება [] დეკრეტული შვებულება [] შეტყობინების ვადები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას [] კომპენსაცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას [] კოლექტიური მოლაპარაკების უფლებები
- 12. აქვს თუ არა თქვენს ბიზნესს წერილობითი პოლიტიკა შრომით საკითხებზე, როგორცაა შინაგანაწესი? [] დიახ [] არა [] შემუშავების პროცესშია [] არ ვარ დარწმუნებული
- 13. გაქვთ თუ არა დადებული შრომითი ხელშეკრულებები ყველა თანამშრომელთან? [] დიახ [] არა [] არ ვარ დარწმუნებული
- 14. არიან თუ არა თქვენი თანამშრომლები ინფორმირებულები მათი უფლებების შესახებ საქართველოს შრომის კანონმდებლობის მიხედვით? [] დიახ, სრულყოფილად [] დიახ, მხოლოდ ძირითადი საკითხები [] არა [] არ ვარ დარწმუნებული
- 15. გაგივლიათ თუ არა თქვენ ან თქვენს პერსონალს რაიმე ტრენინგი შრომის უფლებებზე ბოლო ორი წლის განმავლობაში? [] დიახ [] არა თუ დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ: _____
- 16. გქონიათ თუ არა რაიმე სამართლებრივი დავა შრომით საკითხებთან დაკავშირებით? _____
- 17. რა არის მთავარი გამოწვევები შრომის სამართლის კუთხით თქვენს ბიზნესში? _____

ნაწილი 3: შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (OSH)

- 18. რამდენად იცნობთ საქართველოს შრომის უსაფრთხოების რეგულაციებს? [] ძალიან კარგად [] საშუალოდ [] არც ისე კარგად [] საერთოდ არ ვიცნობ
- 19. აქვს თუ არა თქვენს ბიზნესს წერილობითი OSH პოლიტიკა? [] დიახ [] არა [] შემუშავების პროცესშია [] არ ვარ დარწმუნებული
- 20. ქვემოთ ჩამოთვლილი OSH ზომებიდან რომელი ხორციელდება თქვენს სამუშაო ადგილზე? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი) [] თანამშრომლების რეგულარული უსაფრთხოების ტრენინგი [] პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE) უზრუნველყოფა [] საგანგებო ევაკუაციის პროცედურები [] პირველადი დახმარების ნაკრებები და გადამზადებული პირველადი დახმარების გამწვევები [] სამუშაო ადგილის რეგულარული უსაფრთხოების შემოწმებები [] ინციდენტების შეტყობინებისა და გამოძიების პროცედურები [] სამუშაო ადგილების ერგონომიული შეფასებები []

სტრესის მართვის პროგრამები [] სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგი და აღჭურვილობა

21. რამდენად ხშირად ატარებთ OSH ტრენინგებს თქვენი თანამშრომლებისთვის? [] ყოველთვიურად [] კვარტალურად [] ყოველწლიურად [] მხოლოდ სამსახურში მიღებისას [] არასდროს
22. გყავთ თუ არა დანიშნული OSH ოფიცერი ან პასუხისმგებელი პირი? [] დიახ [] არა [] არ ვარ დარწმუნებული
23. რა არის მთავარი OSH გამოწვევები თქვენს ბიზნესში? _____
24. ჩაგიტარდათ თუ არა შემოწმება საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ? _____

ნაწილი 4: საჭიროებების შეფასება

25. შრომითი უფლებების რომელ ასპექტებზე გჭირდებათ მეტი ინფორმაცია ან ტრენინგი? _____
26. OSH-ის რომელ თემებზე გსურთ დამატებითი მხარდაჭერა ან რესურსები? _____
27. რა ფორმატში გირჩევნიათ შრომის უფლებებისა და OSH-ის შესახებ ინფორმაციის ან ტრენინგის მიღება? [] პირისპირ სემინარები [] ონლაინ კურსები [] წერილობითი მასალები [] საკონსულტაციო მომსახურება [] სხვა: _____
28. იცით თუ არა რომელიმე სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მხარდაჭერას შრომის უფლებებისა და OSH-ის საკითხებში? [] დიახ [] არა თუ დიახ, გთხოვთ ჩამოთვალოთ: _____

ნაწილი 5: დამატებითი კომენტარები

29. გაქვთ თუ არა რაიმე სხვა კომენტარი ან შემოთავაზება საქართველოს ტურიზმისა და სასტუმრო სექტორში შრომის უფლებებისა და OSH-ის შესახებ? _____

გმადლობთ მონაწილეობისთვის. თქვენი წვლილი მნიშვნელოვანია საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომის უფლებებისა და OSH პრაქტიკების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოებისა და სტარტაპებისთვის.

ეს აქტივობა ხორციელდება CIPE-ისა და Solidarity Center-ის ერთობლივი პროექტის "შრომის კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერება მუშაკებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით" მეორე ფაზის ფარგლებში.

"დაფინანსება უზრუნველყოფილია აშშ-ის შრომის დეპარტამენტის მიერ თანამშრომლობის ხელშეკრულება №IL-32531-18-75 K-ის ფარგლებში, Solidarity Center-ის მიერ კერძო საწარმოების საერთაშორისო ცენტრისთვის (CIPE) გაცემული ქვეგრანტის მეშვეობით. პროექტის ან პროგრამის მთლიანი ხარჯების 100% ფინანსდება ფედერალური სახსრებით, ჯამში 2 მილიონი დოლარის ოდენობით. ეს მასალა არ ასახავს აუცილებლად აშშ-ის შრომის დეპარტამენტის შეხედულებებს ან პოლიტიკას, ასევე სავაჭრო სახელების, კომერციული პროდუქტების ან ორგანიზაციების ხსენება არ გულისხმობს აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერას."

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. 2022. საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარების სტრატეგია 2025. <https://gnta.ge/wp-content/uploads/2018/12/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია-2025-2.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
2. საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=2> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
3. კეკელიძე, ნინო, კვაჭანტირაძე, ნატალი, „ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების საჭიროების კვლევა“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, 2023.
4. ტარტარაშვილი, თამარ, „შრომის, გარემოსა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკანონმდებლო უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხი და ტერმინოლოგია“. 2022.
5. Katie M. Lawson, Kelly D., Davis, Ann C., Crouter, John W. O’Neill. Understanding work-family spillover in hotel managers. *International Journal of Hospitality Management*. Volume 33, June 2013, <https://doi.org/10.1016/j.ijhm.2012.09.003> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
6. Safe and healthy working environments for all. International Labour Organization (ILO). 2023. https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_protect/@protrav/@safework/documents/publication/wcms_906187.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
7. World Employment and Social Outlook, Trends 2020. International Labour Organization (ILO). https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/@public/documents/publication/wcms_734455.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
8. The future of work in the tourism sector: Sustainable and safe recovery and decent work in the context of the COVID-19 pandemic. International Labour Organization (ILO). 2022. https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/%40ed_dialogue/%40sector/documents/meetingdocument/wcms_840403.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
9. Annual report on European SMEs. European Commission. 2024. https://single-market-economy.ec.europa.eu/smes/sme-strategy-and-sme-friendly-business-conditions/sme-performance-review_en [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
10. National Assessment of Women’s Entrepreneurship Development in Georgia, UN Women. 2023. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-05/National%20Assessment%20of%20WED%20in%20Georgia_ENG.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
11. GEORGIA: TOURISM TRENDS ANALYSIS & RECOMMENDATIONS, World Bank. 2024. <https://documents1.worldbank.org/curated/en/099060424183542556/pdf/P5016461c0c9e502818eb419dba3272441a.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024];
12. World Health Organization (WHO). Guidelines on mental health at work: Policy and management practices for mental health in tourism and hospitality. 2022. <https://www.who.int/publications/i/item/9789240053052> [უკანასკნელად გადამოწმდა 11.11.2024].

ბრძოლა ნახევარგამტარების ტექნოლოგიებისთვის: ჩინეთი- შეერთებული შტატები-თაივანის დაძაბული სამკუთხედი და ესკალაციის ფარული საფრთხე

ქეთევან მესხიძე

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

ახალი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ XXI საუკუნე წარმოუდგენელია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის, მობილური ტელეფონებისა თუ „სმარტ ტექნოლოგიების“ გარეშე, რომელთა როლი და მათზე ადამიანთა მზარდი დამოკიდებულება ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო მეტად იზრდება. ასევე, წარმოუდგენელია სამყარო დღეს ფართო განხილვის საგნად ქცეულ 5 G ტექნოლოგიებსა და მათ გავლენაზე ინდუსტრიულ წარმოებასა თუ შრომის ბაზარზე, რაც ადამიანთა საქმიანობის ეკონომიკურ სფეროსთან ერთად, მჭიდროდაა დაკავშირებული სამხედრო ინდუსტრიასთან, რომლის განვითარება მიკროჩიპებსა თუ თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ კომპონენტებზე თავისუფალი წვდომის გარეშე - შეუძლებელია. თუმცა, ამა თუ იმ ტექნოლოგიის გამოყენებისას ნაკლებად ვფიქრობთ იმ ნიუანსებზე, რომელიც მისი შემადგენელი კომპონენტების წარმოებასთან არის დაკავშირებული. არა და თუ ამჟამად არსებულ ბაზარზე შექმნილ ვითარებას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უდიდესი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული დატვირთვის მატარებელია, რომელიც შესაძლოა ნავთობსა და გაზსაც კი შევადაროთ, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ნახევარგამტარების ჩანაცვლება ალტერნატიული წყაროებით - შეუძლებელია. ერთი შეხედვით ამ პატარა კვადრატებში იმალება იდუმალი ძალა, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ცივილიზაციისთვის, რომ რაიმე მიზეზით მათი წარმოების შეწყვეტა მთელ პლანეტაზე ეკონომიკის პარალიზებას იწვევს, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა კოვიდ-19 პანდემიის დასრულების შემდეგ, როდესაც მიკროჩიპების დეფიციტმა საწარმოო პროცესებისა და მსოფლიო მასშტაბით მიწოდების ჯაჭვების შეფერხება გამოიწვია, ხოლო რიგი მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია - სრულად პარალიზებულ იქნა. ამიტომ წამყვანი სახელმწიფოები ძალისხმევას არ იშურებენ და ტექნოლოგიური კონკურენციისა და მართონის პირობებში ცდილობენ ნახევარგამტარებისა და მიკრო თუ ნანოტექნოლოგიების გლობალური წარმოების ჯაჭვში საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოვებას.

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია მსოფლიოში არსებული ვითარება აღნიშნული მიმართულებით და როგორ ცვლის იგი არა მხოლოდ მიკროელექტრონიკის სამყაროს, არამედ პოლიტიკასაც. აქცენტირება ხდება იმაზე, როგორ აქცია პანდემიამ და ჩიპების დეფიციტმა ტაივანის დიდწილად ანონიმური სერვისების კომპანია TSMC (Taiwan Semiconductor Manufacturing Company) - მომავლის ტექნოლოგიებისთვის გლობალური ბრძოლის ცენტრად. აგრეთვე მოცემულია ჩინეთ-შეერთებულ შტატებსა და ტაივანს შორის დაძაბული ვითარება და რაოდენ მწვავე და მგრძობიარეა ჩინეთისთვის ტაივანის „დაბრუნება“, რათა გახდეს აბსოლუტური ლიდერი მიკროჩიპების წარმოებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უსაფრთხოებაზე, რამდენადაც იქ ჩინეთის სამხედრო ბაზების განლაგების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნება კუნძულების მთელი ჯაჭვისა და უახლოესი წყლის სივრცის კონტროლი. თუმცა, გლობალიზაციის თანამედროვე

ტენდენციები, კომპლექსურად ცვლის უსაფრთხოების გარემოს და რა იქნება ხვალ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

საკვანძო სიტყვები: ნახევარგამტარები, „სმარტ ტექნოლოგიები“, ჩინეთი, ტაივანი, მიკროჩიპების წარმოება, „სილიკონის ფარი“.

შესავალი

დაახლოებით ორი წლის წინ მთელმა მსოფლიომ დაიწყო საუბარი ჩინეთს, შეერთებულ შტატებსა და ტაივანს შორის არსებულ დამაბულ ვითარებაზე. ზოგი მალე III მსოფლიო ომის დაწყებას ვარაუდობდა, სხვები - ორ ზესახელმწიფოს ადეკვატურობაზე აპელირებდნენ, ზოგსაც საერთოდ არ ესმოდა რა ხდება. ვითარება მართლაც რთული, ბუნდოვანი და დამაბნეველია. რა შუაშია შეერთებული შტატები და ჩინეთი? როგორ დაიწყო კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის და რატომაა ტაივანი ასეთი მნიშვნელოვანი?

ისტორიას თუ გავიხსენებთ, 1949 წელს ტაივანი გამოეყო კომუნისტურ ჩინეთს და ცხოვრობდა შეერთებული შტატების პატრონაჟის ქვეშ, თუმცა, იგი ტაივანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიად მიიჩნევს და არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა.

80-იან წლებში ტაივანის ხელისუფლებამ მოიფიქრა როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ კუნძულს არავინ დასხმობდა თავს და დაიწყეს ნახევარგამტარების წარმოება, რომ არავისზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

დასავლეთს დიდად წინააღმდეგობა არ გაუწევია, რამდენადაც წარმოება პრობლემური ბიზნესია, ხოლო ტაივანს კონკურენტად არ აღიქვამდნენ, რამდენადაც თვლიდნენ, რომ მან მხოლოდ მიკროჩიპების დამზადება იცის და არ აპროექტებს მათ. ზოგადად, გაჩნდა წარმოების შემდეგი სქემა - დასავლეთი წნებს, ტაივანი აწარმოებს, პროცესი კი ჩინეთში სრულდება.

მთავარი იყო მოგება. ყველას ეგონა, თუ ხალხი გააერთიანებდა სახსრებს, ომი არ იქნებოდა. გულუბრყვილო შეხედულებაა არა?. ასე რომ, ათწლეულების განმავლობაში ტექნოლოგიები, ინჟინრები, უზარმაზარი თანხები გაედინებოდა ტაივანში, სადაც ახლა თავმოყრილია ათობით და ასეულობით მილიარდი დოლარის ღირებულების აღჭურვილობა, რომლითაც ნახევარგამტარები იწარმოება, რაც დღეს-დღეობით უმთავრესი რესურსია ფაქტიურად ყველა პროცესორისა თუ მიკროსქემის წარმოებისთვის. ისინი იმდენად პატარები არიან, რომ ჩვენ ვერც კი ვამჩნევთ. არა და ყველგან გვხვდება: მათ გარეშე არ არსებობს კომპიუტერები, თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკა და მანქანები, თანამგზავრები კოსმოსში, არ არის ტელეკომუნიკაციები - მათ შორის მობილური კავშირგაბმულობა და ინტერნეტი, არ არსებობს თანამედროვე შეიარაღების სისტემები - თვითმფრინავებიდან დაწყებული რაკეტებამდე.

მიკროსქემები - კაპიკები ღირს და მილიონობით ეგზემპლარი იწარმოება. ვის მოუვა თავში აზრად მათ გამო ომის დაწყება? არა და შეერთებული შტატები და ჩინეთი უკვე ჩხუბობენ, თუმცა, ჯერ არ ისვრიან... რამდენადაც ვისაც აქვს მიკროჩიპები - მისია მომავალიც. არასოდეს დაწყებულა ომები ასეთი მიზეზული მიზეზების გამო. არა და, ეს ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი წვრილმანია მსოფლიოში - გამორთე და ყველაფერი ჩერდება.

საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა კოვიდ-19 პანდემიის დასრულების შემდეგ, როდესაც მიკროჩიპების დეფიციტი შეიქმნა, რამაც საწარმოო პროცესებისა და მსოფლიო მასშტაბით მიწოდების ჯაჭვების შეფერხება გამოიწვია, ხოლო რიგი მაღალტექნოლოგიური ინდუსტრია - სრულად პარალიზებულ იქნა. ყველა

მიხვდა, რამდენად ვიწრო და სენსიტიურია ეს მიწოდების ჯაჭვი. ამიტომ წამყვანი სახელმწიფოები ძალისხმევას არ იშურებენ და ტექნოლოგიური კონკურენციისა და მართონის პირობებში ცდილობენ ნახევარგამტარებისა და მიკრო თუ ნანოტექნოლოგიების გლობალური წარმოების ჯაჭვში საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოვებას.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კვლევის თვისებრივ მეთოდზე. კერძოდ, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიზნით კვლევა განხორციელებულ იქნა პროცესის მიდევნების (Process Tracing), შემთხვევის შესწავლისა (Case Study) და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით. აგრეთვე, კვლევის პროცესში მოხდა მეორეული სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროების ანალიზი, რათა შექმნილიყო ბაზისი შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით კვლევის გასაგრძელებლად.

1. ტაივანი - ლიდერი თანამედროვე მსოფლიოს ნახევარგამტარული მიკროჩიპების წარმოების ბაზარზე

მიუხედავად იმისა, რომ მიკროჩიპები - წარმოადგენს საკვანძო კომპონენტს გლობალური ეკონომიკისთვის, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, არ არსებობს ერთი რომელიმე ქვეყანა, ან თუნდაც ძლიერი სახელმწიფო, რომელიც აბსოლუტურად ლიდერობს მიკროჩიპების წარმოებაში.

აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე ძვირი და კომპლექსური დეტალი ამჟამად ლოგიკური ჩიპებია, რომელსაც Qualcomm, Nvidia, Apple და სხვა კომპანიები აწარმოებენ. ეს არის სწორედ ის, რაც „ინტელექტი“ უზრუნველყოფს კომპიუტერებსა თუ სმარტფონებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სილიკონის ველში არსებული ეს კომპანიები თვითონ კი არ არიან დაკავებულნი ამ პროცესორების წარმოებით, არამედ, მხოლოდ მათი დიზაინით შემოიფარგლებიან. ხოლო ფიზიკური წარმოება - საწარმოო საჩამომსხმელო ქარხანა-სამქროებში ხორციელდება. ყველაზე თანამედროვე, მსოფლიოს ნახევარგამტარული ჩიპების დაახლოებით 55 % კი კუნძულ ტაივანზე იწარმოება. მაგალითად, ტაივანის მხოლოდ ერთი ნახევარგამტარებისა და ჩიპების მწარმოებელი კომპანია TSMC (Taiwan Semiconductor Manufacturing Company), აღნიშნულ სექტორში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიაა, რომელიც გლობალური ბაზრის დაახლოებით 60%-ს აკონტროლებს და წარმოადგენს ნახევარგამტარების მთავარ მიმწოდებელს ისეთი კორპორაციებისთვის, როგორებიცაა Huawei, Realtek, AMD, NVIDIA, Qualcomm, Apple, Intel და კიდევ დაახლოებით მსოფლიოს ათამდე უმსხვილესი ბრენდი. აღნიშნული გარემოება ბუნებრივია, ტაივანის ტექნოლოგიურ გიგანტს უდიდეს გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ძალაუფლებას ანიჭებს.

კომპანია TSMC-ის საბაზრო კაპიტალიზაცია თითქმის ნახევარ ტრილიონ დოლარად არის შეფასებული. იგი აკონტროლებს დაახლოებით შეკვეთილი ჩიპების ბაზრის ნახევარს და რაც მთავარია, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მას აქვს კიდევ უფრო მკაცრი კონტროლი ყველაზე მოწინავე პროცესორებზე - ბაზრის წილის 90%-ზე მეტი¹. აღნიშნული გარემოება რა თქმა უნდა, ძლიერ დარტყმას აყენებს მსოფლიოს ყველაზე სენსიტიურ სფეროში და აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული ისტორიის გათვალისწინებით, როდესაც მსოფლიომ გააცნობიერა რა ჩაიდინა რეალურად, ყველას შეეშინდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

¹ Article: „All about chip giant TSMC that crossed \$1 trillion market cap“, The Economic Times, News, 07.2024, rb.gy/ca1nbz [უ.გ.05.08.24].

თუ გავიხსენებთ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომს, პირველი, რის დეფიციტსაც სამხედრო მოსამსახურეები განიცდიდნენ, იყო არა ჭურვები ან რაკეტები, არამედ - მიკროჩიპები. დასავლეთმა და მისმა მოკავშირეებმა მაშინვე შეწყვიტეს რუსეთისთვის მისი მიწოდება, მაგრამ რუსებმა ეშმაკობას მიმართეს და მათ მოპოვებას ყველა ხერხით ცდილობდნენ. სანქციების შემოღებიდან პირველ თვეებში დასავლური პრესა იუწყებოდა, რომ რუსები მასიურად ყიდულობდნენ უცხოურ საყოფაცხოვრებო ტექნიკას - ყავის მადულარებს, სარეცხი მანქანებს, მტვერსასრუტებს, შლიდნენ მათ და საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან ამოღებულ ჩიპებს არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ. კერძოდ, საბრძოლო რაკეტებსა და დრონებზე ამონტაჟებდნენ ². აღნიშნულ მოსაზრებას ზოგი რეალობად, ზოგი კი შეთქმულების თეორიად აღიქვამდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ არაფერი იყო ცნობილი იმასთან დაკავშირებით, როგორ ხდებოდა საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან ამოღებული ჩიპების გადაპროგრამირება ისე, რომ ისინი ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგის გასანადგურებლად ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ, ამავდროულად, საფუძვლიან ეჭვს აჩენდა ის გარემოებაც, რომ 2020 წლის ზაფხულში ყაზახეთისა და სომხეთის მიერ შეძენილ იქნა მეძუძური დედებისთვის განკუთვნილი რეკორდული რაოდენობის მკერდის ტუმბო (რძის გამოსაწოვი), მაშინ, როდესაც არც ერთ ქვეყანაში შობადობის ზრდაა აღვილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, დასავლეთის ვარაუდით, ეს მოწყობილობა ამ გზით გავიდა რუსეთში³, მაგრამ შობადობის ზრდა არც იქ ყოფილა დაფიქსირებული. ამიტომ, დასავლელი ექსპერტები რუსეთის მხრიდან სამხედრო დანიშნულებით მის გამოყენებასთან დაკავშირებით ეშმაკურ მიდგომაზე ალაპარაკდნენ. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც არაერთი კითხვა იჩენს თავს: რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს მას? რისი გაკეთება შეუძლია? მათ არ შეუძლია GPS სიგნალების გადაცემა და რაც მთავარია, არ აქვთ ნავიგაციის უნარი - არ აწვდის ინფორმაციას. აბა რისთვისაა ეს ყველაფერი? რას ემსახურება? ამ კითხვებზე პასუხები არ არსებობს და კვლავ გამოცანად რჩება.

1.1. კომპანია TSMC (Taiwan Semiconductor Manufacturing Company), როგორც მომავლის ტექნოლოგიებისთვის გლობალური ბრძოლის ცენტრი

ასეა თუ ისე, პანდემიამ და ჩიპების დეფიციტმა, ტაივანის დიდწილად ანონიმური სერვისების კომპანია TSMC (Taiwan Semiconductor Manufacturing Company) - მომავლის ტექნოლოგიებისთვის გლობალური ბრძოლის ცენტრად აქცია. ამერიკელები მის პროდუქციას კრიტიკულს უწოდებენ, ხოლო იაპონიასა და სამხრეთ კორეაში, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მთავრობა ბრინჯსაც კი ადარებს. თქმა იმისა, რომ სახელმწიფო 23 მილიონიანი მოსახლეობით ფლობს მსოფლიოს, ნიშნავს იმას, რომ არაფერი თქვა. ტაივანი იყო და კვლავაც რჩება ფორმალურ ლიდერად ელექტრონიკის სფეროში, რომელიც მართალია უშუალოდ არ აწარმოებს საქონელს (საყოფაცხოვრებო/„სამომხმარებლო“), მაგრამ უზრუნველყოფს სხვა მსხვილი კორპორაციების არსებობას. აქედან მომდინარეობს სწორედ ტაივანთან მიმართებაში დაპირისპირებისა თუ მეგობრობისთვის რბოლა. რიგ სახელმწიფოებს სურთ მომგებიანი პოლიტიკური გარიგების დადება არაღიარებულ სახელმწიფოსთან, სხვები კი, რიგი ისტორიული მიზეზებიდან გამომდინარე, მის მითვისებას ცდილობენ.

ამიტომ, ჩინეთისთვის დიდია ომის დაწყების ცდუნება, რამდენადაც იგი რეალურად, ტაივანს საკუთარ მეამბოხე პროვინციად მიიჩნევს და კულუალური ინფორმაციით,

² Tagler, E., „Is Russia Really Buying Home Appliances To Harvest Computer Chips For Ukraine-Bound Weapons Systems?“ 2023, rb.gy/14mijm, [უ.გ.05.08.24].
³ Nardelli, A., Baschuk B., and Champion M., „Putin Stirs Worry that Russia is Stripping Home-Appliance Imports ForArms“, Bloomberg, 2022, https://bitly.cx/o8tyZ [უ.გ.05.08.24].

ამზადებს არმიას კუნძულის დასაბრუნებლად, რათა გახდეს აბსოლუტური ლიდერი მიკროჩიპების წარმოებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უსაფრთხოებაზე, რამდენადაც იქ ჩინეთის სამხედრო ბაზების განლაგების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნება კუნძულების მთელი ჯაჭვისა და უახლოესი წყლის სივრცის კონტროლი, რაც ხელს შეუშლის შეერთებული შტატების ფლოტს მიახლოებაში. ხოლო თუ იქ იქნება განლაგებული შეერთებული შტატების სამხედრო ძალები, ამერიკას შეეძლება ჩინეთის ფლოტისა და სავაჭრო გზების გაკონტროლება. მით უფრო, რომ „მშვიდობიანი გზით“ კუნძულის შემოერთების შესაძლებლობების ამოწურვის შემთხვევაში სამხედრო ინტერვენციის ალბათობა ოფიციალურად გაწერილია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობაში. თუმცა, ჩინეთის თავდასხმას ტაივანზე შესაძლოა ჰქონდეს უმძიმესი შედეგები. კერძოდ, ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ შეერთებულ შტატებთან პოტენციურ შეტაკებასა თუ ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობასთან, არამედ, წარმოუდგენელ ეკონომიურ ზარალთანაც. ჩინეთის მთელი სამხედრო სიძლიერის გათვალისწინებით, ნაკლებ სავარაუდოა მან შეძლოს ტაივანის აღება ერთი გასროლის გარეშე. არა და კუნძულის მჭიდროდ დასახლებულ დასავლეთ ნაწილში ბრძოლამ შესაძლოა მიკროელექტრონიკის ქარხნების განადგურება გამოიწვიოს. მიკროჩიპებზე მოთხოვნა უზარმაზარია და აჭარბებს მიწოდებას. თუ ტაივანის მსგავსი მსხვილი მწარმოებელი მოულოდნელად დატოვებს ბაზარს, დიდი დეფიციტი შეიქმნება.

1.2 მიკროჩიპები, როგორც ტაივანის „სილიკონის ფარი“

როგორ იცავს ეს ჩიპები ტაივანს ომისგან?

მხოლოდ კომპანია TSMC-ის მცირე შეფერხება საკმარისი იქნებოდა მთელი რიგი ინდუსტრიების პარალიზებისთვის (ელექტრონიკიდან და ტელეკომუნიკაციებიდან დაწყებული - ჩარხთმშენებლობით, ჯანდაცვისა და კომუნალური მომსახურებით დამთავრებული), რომელიც ასობით მილიონ ადამიანს უმუშევარს დატოვებს. ამასთან, ბევრი დარგი, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის განვითარება და 5G ქსელის გაშლა, მთლიანად შეჩერდება. გართულდება ახალი მანქანის, სმარტფონის ან საყოფაცხოვრებო ტექნიკის შექმნა. უფრო მეტიც, შეიძლება იყოს შეფერხებები ისეთი მნიშვნელოვანი მოწყობილობების მიწოდებაში, როგორცაა სამედიცინო ტექნიკა და სამრეწველო აღჭურვილობა. ამასთან, სხვა ქვეყნებში ჩიპების წარმოების გამართვას დიდი ფული და ათწლეულები სჭირდება. The Economist-თან ბოლო ინტერვიუში, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანისა და დიპლომატის ჰენრი კისინჯერის განცხადებით, სამხედრო კონფლიქტმა ტაივანის ირგვლივ, შესაძლოა მთელი მსოფლიო ეკონომიკა გაანადგუროს.

2019 წლის პანდემიამ უკვე ნაწილობრივ აჩვენა და წარმოდგენა შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოხდეს, ნახევარგამტარული ინდუსტრიის შეჩერდებით. საზღვრების ჩაკეტვისა და საწარმოების გაჩერების გამო მთელ მსოფლიოში მიკროჩიპების დეფიციტი შეიქმნა, რამაც განსაკუთრებით ძლიერად დაარტყა საავტომობილო ბაზარს. ნაწილობრივ ეს არის მიზეზი იმისა, რატომაც შეერთებული შტატები მხარს უჭერს ტაივანს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად არ ცნობს მის სუვერენიტეტს. ამიტომ, ჩინეთის ლიდერები იძულებულნი არიან თავი შეიკავონ ომზე ფიქრისგანაც კი, რადგან თავად ჩინეთიც დიდად არის დამოკიდებული ტაივანის პროდუქტებზე. იქამდე, ვიდრე ტაივანი რჩება ლიდერი მიკროჩიპების წარმოებაში, ის უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. შემთხვევითი არ არის, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა ცაი ინ-ვენმა ჩიპების წარმოებას „სილიკონის ფარიც“ კი უწოდა.

2. ექსტრემალური ულტრაიისფერი ლითოგრაფი (EUV) - ერთადერთი მანქანა პლანეტაზე, რომლის კოპირება შეუძლებელია

შესაძლებელია თუ არა უფრო მარტივი გზის გამონახვა, მაგალითად, როგორც ტაივანში და თვითონ დაიწყო ქვეყნებმა ნახევარგამტარების წარმოება? შესაძლებელია თუ არა იგივეს განმეორება? აქ ყველაფერი რთულდება. ამჟამად, ტაივანი აწარმოებს ყველაზე მოწინავე 2 ნანომეტრიან ჩიპებს. უფრო გასაგები რომ იყოს, ეს არის ძალიან ვიწრო, ვიდრე ადამიანის თმის ღერი, რომელიც დაახლოებით 50-დან 100 000 ნანომეტრამდე⁴. ტაივანმა იცის როგორ გააკეთოს მიკროჩიპები, სადაც, პირობითად რომ ვთქვათ, ძალიან პირობითად - ტრანზისტორებს შორის მანძილი 2 ნანომეტრია და პლანეტაზე მხოლოდ ერთი მანქანაა, რომელსაც ასეთი მიკროჩიპების გაკეთება შეუძლია. ეს არის ექსტრემალური ულტრაიისფერი ლითოგრაფი (EUV – Extreme Ultraviolet Lithography), რომელიც მზადდება მხოლოდ ნიდერლანდებში ASML ქარხანაში⁵. როგორც ამბობენ, ეს არის ადამიანის ხელით შექმნილი ყველაზე სრულყოფილი ქმნილება ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში, რომლის კოპირება - პრინციპში შეუძლებელია. ეს არის მანქანა, რომელიც ნაწილ-ნაწილაა აწყობილი მსოფლიოს წამყვანი ინჟინრების მიერ. კომპანია ASML-ის განცხადებით, მას ჰყავს 5 000 მომწოდებელი ევროპიდან, აზიიდან და ამერიკიდან⁶. ამასთან, მათგან მზადდება მხოლოდ მანქანის დეტალები და მასალები და ამ ყველაფრის დასაკოპირებლად უნდა შეცვალოთ მთელი მსოფლიო საკუთრი თავით. ASML-ს არ გააჩნია ყველა საჭირო კომპეტენცია. ისინი თითქოს ინტეგრირებულნი არიან. ანუ ისინი იკრიბებიან ცალკეული მოდულებისგან, სადაც თითოეული მათგანი შედგენილია სხვა კომპანიის მიერ, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს მთელი რიგი მომწოდებლები. მაგალითად, კომპანია ASML-მა არ იცის როგორ გააკეთოს ოპტიკა. ამის გაკეთება იცის კომპანია CAIS-მა (Central American Integration System), რომელიც აწვდის ყველაზე ოპტიკურ ნივთს და ა.შ. ფაქტიურად, მსოფლიოში მხოლოდ ერთი კომპანიაა, რომელიც მზადაა მიაწოდოს აღჭურვილობა ნახევარგამტარების წარმოებისთვის ხუთ ნანომეტრიანი ტექნოლოგიებით და ეს არის ნიდერლანდური (არაოფიციალურად ჰოლანდიური) ASML-ი. სწორედ ამ აღჭურვილობას იყენებს TSMC თავისი ხუთ-შვიდ ნანომეტრიანი პროდუქციის წარმოებისას, ისევე, როგორც „Samsung“-ის კორპორაცია.

TSMC-ის მზარდმა დომინირებამ მიიპყრო პოლიტიკოსთა ყურადღება შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. ისინი მოუწოდებენ შიდა ბაზარზე მიკროსქემების წარმოებისკენ, რათა დაიცვან მიწოდების ჯაჭვი გეოპოლიტიკური გავლენისა თუ მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი ფაქტორებისგან, მაგალითად, როგორც იყო პანდემია კოვიდ-19, რამაც მიკროსქემების დეფიციტის პროვოცირება გამოიწვია. ქარხნების უმეტესობა უმოქმედო და გაჩერებული იყო კარანტინის დროს, რომლის მოხსნის შემდეგ შეკვეთების ზვავისებური ნაკადი წარმოიშვა, მაგალითად, ავტომწარმოებლების მხრიდან. აქედან გამომდინარე, მწარმოებლები ვეღარ უმკლავდებოდნენ წარმოების მოცულობას.

2.1. ჩინეთი, როგორც მიკროელექტრონიკის უდიდესი მიმწოდებელი და შეერთებული შტატების სანქციები

ჩინეთი ასევე წარმოადგენს მსოფლიოში ელექტრონიკის უდიდეს მიმწოდებელს. მხოლოდ 2021 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მან შეიძინა მილიონობით მიკროსქემა და შემდეგ

⁴ Gabriele, M., „TSMC: Semiconductors and Borders of Light“, 2022, <https://www.generalist.com/briefing/tsmc>, [უ.გ.05.08.24].

⁵ Gil, D., Tirapu-Azpiroz, J., Deschner R., Brunner T., „Characterization of imaging performance for immersion lithography at NA=0.93“, Fonseca 2006.

⁶ ASML Annual Report 2022, „Small Patterns. Big Impact“, <https://bitly.cx/R8ALfo>, [უ.გ.05.08.24].

წარმატებით გაყიდა იგი უცხოელებზე, როგორც საკუთარი სმარტფონებისა თუ ლეპტოპების ნაწილი. ჩინეთმა ამ წარმოუდგენელი ოდენობის ჩიპების შესაძენად დახარჯა უფრო მეტი თანხა, ვიდრე ნავთობის შესასყიდად⁷. ჩინურმა კომპანია „Huawei“-მ გაანადგურა ისეთი გიგანტები, როგორცაა „Apple“ და „Samsung“-ი სმარტფონების გაყიდვის თვალსაზრისით. 2019 წელს მან პირველი ადგილი დაიკავა და მისი წილი ბაზარზე შეადგენდა 18%-ს. ჩინეთმა გაანადგურა თავისი კონკურენტები რაოდენობით. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ Samsung-მა, Apple-მა და Huawei-მ ჩიპები სწორედ ტაივანში მიიღო. ამდენად, ჩინეთი, უმოწყალოდ ანადგურებდა თავის კონკურენტებს მათივე ტექნოლოგიების გამოყენებით. ბუნებრივია, ამან შეერთებული შტატების შემფოთება გამოიწვია. 2019 წელს პრეზიდენტმა ტრამპმა საშინელი სანქციები დაუწესა ჩინურ კომპანია „Huawei“-ს, რომელიც იმ პერიოდში მსოფლიოში ტელეკომ ალჭურვილობის მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენდა⁸.

„ბევრი ქვეყანა დავარწმუნეთ და პირადად მე ვიყავი ამით დაკავებული, რომ არ გამოეყენებინათ „Huawei“-ს პროდუქცია, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ იგი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს უსაფრთხოებისთვის“ - აცხადებდა ტრამპი⁹. მან აუკრძალა ჩინურ გიგანტს თითქმის ყველაფერი: ჩიპების მიღება, რომელიც ამერიკული ტექნოლოგიების სულ მცირე წილს მაინც შეიცავდა, ჩიპების დაპროგრამება ამერიკული პროგრამების გამოყენებით და ა.შ. ზოგადად, ყველაფერი, რაც ერთი ამერიკული პატენტის შემცველი მაინც იყო, მიუწვდომელი აღმოჩნდა ჩინეთისთვის. ერთი შეხედვით, „Huawei“ განწირული ჩანდა.

პრეზიდენტმა ბაიდენმა განაგრძო ჩინეთის მაღალი ტექნოლოგიების მსხვერვა. 2022 წელს, შეერთებულმა შტატებმა კომპანიებს აუკრძალა ჩინეთისთვის უახლესი ჩიპებისა და მისი წარმოებისთვის საჭირო ალჭურვილობის მიწოდება¹⁰. ასევე ზეწოლას ახდენდა ევროპისა და აზიის მოკავშირეებზე, რათა იგივე გაეკეთებინათ. აგრეთვე, ამერიკის მოქალაქეებს აკრძალული ჰქონდა ჩინეთისთვის რაიმე სახით დახმარება მიკროსქემების წარმოების თვალსაზრისით. 2020 წელს, კომპანია TSMC-იმ შეერთებული შტატების ხელისუფლების ზეწოლიდან გამომდინარე, არიზონაში 12 მილიარდი დოლარის ღირებულების ორი ქარხნის აშენების ვალდებულება აიღო, სადაც 40 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციებიც იქნება ჩადებული¹¹.

„უზარმაზარი თანხებია საჭირო ამ ყველაფრის წარმოებისთვის. მაგრამ ჩენ ვცხოვრობთ ტურბულენტურ სამყაროში და ყველა დიდი მოთამაშე ცდილობს ნახევარგამტარების წარმოება ააწყოს საკუთარ ქვეყანაში. დიახ, ეს უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მათ გარეშე დარჩენა უფრო ძვირი ჯდება“. - განაცხადა ბაიდენმა¹². მისივე თქმით, იაპონიაში კომპანია TSMC-ის შვილობილი კომპანიის დაფუძნებაც იგეგმება, რომელიც ჩართული იქნება ახალი ნახევარგამტარული მასალების კვლევის სფეროში. კერძოდ, კომპანია TSMC იაპონიაში 20 მილიარდად ააშენებს ქარხნებს, მათ შორის პირველი 12 ნანომეტრიან ნახევარგამტარებთან ერთად გამოუშვებს 40 ნანომეტრიან მარტივ ჩიპებს, ხოლო სამ წელიწადში ნავარაუდევია კიდევ ერთი ქარხნის გახსნა, სადაც გამოშვებულ იქნება 7 ნანომეტრიანი ჩიპები, მაგრამ ყველაზე უნიკალურ 2 ნანომეტრიანი ნახევარგამტარების

⁷ Sheng, W., „China spends more importing semiconductors than oil, The Numbers“, 2021, <https://bitly.cx/T6nM/>, [უ.გ.05.08.24].

⁸ Morris, I., „US still makes billions in China chip sales, and it's all at risk“, 2024, <https://bitly.cx/hNDe2> [უ.გ.05.08.24].

⁹ Kimball S., „Trump says he doesn't want to do business with Huawei due to national security concerns“, 2019, <https://bitly.cx/oG1DR>, [უ.გ.05.08.24].

¹⁰ Duffy, C., „Trump said he'd ease up on Huawei. Questions remain about what that means“, 2019, <https://bitly.cx/CLpNS> [უ.გ.05.08.24].

¹¹ Kinery, E., „TSMC to up Arizona investment to \$40 billion with second semiconductor chip plant“, 2022, <https://bitly.cx/XWvRCg> [უ.გ.05.08.24].

¹² Thorbecke, C., „The US is spending billions to boost chip manufacturing. Will it be enough?“, 2022 <https://bitly.cx/q6xCGe>, [უ.გ.05.08.24].

საზღვარგარეთ გატანას კომპანია TSMC ჯერ-ჯერობით არ აპირებს¹³. ამასთან, დარგის ექსპერტების აზრით, ხელისუფლების სურვილი კომპანია TSMC-ის წარმოების გადატანასთან დაკავშირებით, შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს, რამდენადაც ამისთვის საჭირო იქნება მილიარდობით დოლარის ოდენობის მუდმივი ინვესტიცია, პროგრესის მოწინავეთა რიგებში დასარჩენად.

ყველა მოთამაშეს შორის საკუთარი ნახევარგამტარების წარმოების ასაწყობად ყველაზე მეტი თანხები ჩინეთმა დახარჯა. იქ ასობით მილიარდი დოლარია ჩადებული, მაგრამ საქმე მხოლოდ თანხებში როდია. ეს არის აგრეთვე წარმოუდგენლად რთული წარმოება, რომელიც მოითხოვს მაღალი ხარისხის ქიმიას და უმაღლესი ხარისხის დეტალების სტაბილურ მიწოდებას. საჭიროა ათწლეულების გამოცდილება და კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელზეც ნადირობაა გამოცხადებული მსოფლიო მასშტაბით.

2.2. შეერთებული შტატები და ჩინეთი, როგორც მთავარი მოთამაშეები ნახევარგამტარების ტექნოლოგიების მიწოდების ჯაჭვში

შეერთებულმა შტატებმა დაიწყო მაღალტექნოლოგიური პროდუქტებით ვაჭრობის შეზღუდვა ჩინეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაბიჯები მნიშვნელოვნად აზიანებს ამერიკულ კომპანიებს. შეერთებული შტატები და ჩინეთი წარმოადგენენ მთავარ მოთამაშეებს ნახევარგამტარების ტექნოლოგიების გლობალური მიწოდების ჯაჭვში. ჩინეთის გაყიდვების ბაზარი არის ნახევარგამტარების უდიდესი ბაზარი, რომელზეც ამერიკული ნახევარგამტარული ინდუსტრიის ასოციაციის შეფასებით, აშშ-ის კომპანიის გაყიდვების 36% მოდის. მზარდი დამაბულობა აშშ-სა და ჩინეთს შორის ქმნის როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან რისკებს ბაზარზე წვდომის მიწოდების ჯაჭვის მდგრადობისა და, საბოლოო ჯამში, შეერთებული შტატების ნახევარგამტარული სამრეწველო ბაზის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ამერიკული ინდუსტრიის წარმომადგენელთა შეფასებით, დაწესებული შეზღუდვებისა და ასევე განვითარებულ ეკონომიკებში განაკვეთების გაზრდილი მაჩვენებლებიდან გამომდინარე მოთხოვნების შემცირების გამო, ნახევარგამტარების პროდუქტების გლობალური ბაზარი 2023 წელს 10%-ით შემცირდა და მასზე გაყიდვების მოცულობამ დაახლოებით 515 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2022 წლის მაჩვენებლებით იგი 574 მილიარდი დოლარი იყო¹⁴. ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ საკუთარი ნახევარგამტარების ინდუსტრიული ინტერესების მსხვერპლად გაღებისთვის მზადყოფნა იმით აიხსნება, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საკუთარი ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნებას კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს შეერთებული შტატების ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ასეთი ხისტი პოზიცია შესაძლოა დიდწილად მომდინარეობდეს ჩინეთის პოლიტიკიდან, რაც შეერთებული შტატების ისტებლიშმენტის სერიოზულ შემფოთებას იწვევს. ამერიკული ადმინისტრაციის განცხადებით, სამხედრო-სამოქალაქო შერწყმა წარმოადგენს ფართომასშტაბიან ეროვნულ პროექტს, რომლის მიზანია ჩინეთის ტექნოლოგიური და სამეცნიერო დარგის გარდაქმნა ისე, რომ ამ სფეროებში ინოვაციებმა პირდაპირი და მყისიერი გავლენა იქონიოს სამხედრო განვითარებაზე¹⁵. აღნიშნული სტრატეგიის ნაწილია

¹³ Toh M., „TSMC says its \$40 billion chip project in Arizona faces a further delay“, 2024, <https://bitly.cx/9UenE>, [უ.გ.05.08.24].
¹⁴ „Taiwan and The Global Semiconductor Supply Chain: 2023 In Review“, Bumper Issue, April/May 2024, Edited by Chen-Tung, Ph.D. Representative, Taipei Representative Office in Singapore, p.47.
¹⁵ Stone, A., and Wood P., „China’s Military-Civil Fusion Strategy: A view from Chinese strategists,“ (Montgomery AL, China Aerospace Studies Institute, n.d.) p. 36.

იმ ფაქტის გაცნობიერება და გამოყენება, რომ ნახევარგამტარების ტექნოლოგიების დიდი ნაწილი ორმაგი დანიშნულებისაა: ანუ, მას აქვს როგორც თავდაცვითი, ისე კომერციული გამოყენება¹⁶. შესაბამისად, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა საკუთარი ტექნოლოგიური კომპანიების მიღწევების უშუალოდ ეროვნული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის გაძლიერებისკენ მიმართვის საშუალებას იძლევა. საგულისხმოა, რომ ექსპორტის შეზღუდვების პირველი პაკეტი მიღებულ იქნა 2022 წლის ოქტომბერში, ხოლო 2023 წლის მარტში მიწოდების შეზღუდვას ნიდერლანდებიც შეუერთდა, სადაც განთავსებულია მსოფლიოში ლითოგრაფიული მოწყობილობების უდიდესი მწარმოებლის - ASML (Advanced Semiconductor Materials Lithography) ჰოლდინგის სათაო ოფისი. საგულისხმოა, რომ იაპონიაში, სადაც ქიმიური რეაქტივების მნიშვნელოვანი წილი იწარმოება, განთავსებულია კომპანია Canon-ისა და Nikon-ის შტაბ-ბინები, რომლებიც ასევე ლითოგრაფიულ აღჭურვილობას აწარმოებენ.

2.3. შეზღუდვები ლითოგრაფიული აღჭურვილობის ექსპორტზე და მისი შედეგები

შეზღუდვები ნიდერლანდების მხრიდან ითვალისწინებდა ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო 2024 წლის 1 იანვრამდე. წლის პირველ დღეს ჰოლანდიურმა კომპანიამ გამოაქვეყნა პრეს-რელიზი, რომელშიც იუწყებოდა, რომ უწყვედა რიგი მიწოდების გაუქმება, რამდენადაც ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ ლითოგრაფიული სისტემების მიწოდებებზე ლიცენზია 2023 წელს ნაწილობრივ გაუქმებულ იქნა. აღნიშნული გარემოება შეეხო ჩინელ მომხმარებელთა მცირე ნაწილსაც. აქედან გამომდინარე, 2023 წლის განმავლობაში ჩინური კომპანიები ცდილობდნენ განეხორციელებინათ ლითოგრაფიული აღჭურვილობის მასშტაბური შესყიდვები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის ადმინისტრაციის სტატისტიკური მონაცემებით, 2023 წლის ნოემბერში, ქვეყანაში შემოტანილ იქნა დაახლოებით 817 მილიონი დოლარის ღირებულების 42 ერთეული ლითოგრაფიული სისტემა¹⁷. ჩინეთმა მოახდინა 763 მილიონი დოლარის ღირებულების 16 ჰოლანდიური საპროექციო სისტემის ექსპორტი - 10-ჯერ მეტი, ვიდრე 2022 წლის ნოემბერში. შედარებისთვის, 2023 წლის ოქტომბერში ნიდერლანდებიდან ექსპორტირებულ იქნა 6725 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 21 ლითოგრაფიული სისტემა¹⁸. ერთ ერთეულ ლითოგრაფიულ სისტემაზე საშუალო ფასის თითქმის ერთ ნახევარჯერ ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ჩინური ფირმები ცდილობდნენ უფრო მოწინავე საწარმოო ხაზების შექმნას, რამდენადაც ტექნოლოგიური რკინის ფარდა ჩამოიშალა. კიდევ 15 ლითოგრაფიული სისტემა ქვეყანაში შემოვიდა იაპონიიდან 2023 წლის ნოემბერში. ამდენად, ფაქტიურად ჩიპების წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობის თითქმის მთელი იმპორტი ამ ორ ქვეყანაზე მოდიოდა¹⁹.

მიკროჩიპების წარმოება დაუსრულებელი კვანძების გახსნას ჰგავს. გასაგებია, რომ არავის უნდა ვინმეზე დამოკიდებული იყოს, მაგრამ როგორ ააწყობს წარმოებას დამოუკიდებლად? როგორ აწარმოებს ახალი თაობის ნახევარგამტარებს გამოცდილების გარეშე? კარგით, ვთქვათ დაიწყეს მოძველებული, წინა თაობის ნახევარგამტარების წარმოება, მაგრამ მათი

¹⁶ „U.S.-China Economic and Security Review Commission“, 2019 Annual Report to Congress (Washington DC, US Government Publishing Office, 2019) Chapter 3 Section 2 “Emerging Technologies and Military Civil Fusion—Artificial Intelligence, New Materials and New Energy” p. 205.

¹⁷ Article: „China's imports of Dutch chip-making equipment surged tenfold in November after Washington tightened restrictions, <https://bitly.cx/mlBFJZ>, [უ.გ.05.08.24].

¹⁸ Trend Force [News] „Surge in Chip Manufacturing Equipment Imports from the Netherlands to China, Soaring Tenfold After U.S. Tightens Restrictions“, 2023, <https://bitly.cx/st7UQ>, [უ.გ.05.08.24].

¹⁹ იხ. სქოლიო 18.

რეალიზაცია იქნება პრობლემებთან დაკავშირებული, რამდენადაც მოძველებული ვერსია აღარავის სჭირდება. საბოლოო ჯამში ვიღებთ წამგებიან წარმოებას. თუ ასეა, როგორ უნდა მოხდეს მათი მოდერნიზაცია? რა თანხებით? ეს არის რბოლა ბრუნვისთვის. თუ ყველაფერი ერთი ქვეყნით შემოიფარგლება, საიდან მივიღებთ წარმოების მასშტაბებს? რაც შეეხება ჩინეთს - იქ ყველაფერი სხვაგვარადაა. მას ქვეყნის შიგნით მილიარდი მომხმარებელი ჰყავს. ამიტომ, ჩინეთმა შეძლო საკუთარი ერთ-ერთი კომპანია „ჰუავეის“ გამოყვანა რთული ვითარებიდან, რომელიც კვლავ ინარჩუნებს თავის ადგილს. უფრო მეტიც, 2023 წლის ბოლოს მან წარმოადგინა ახალი სმარტფონი Mate 60 Pro 7 ნანომეტრიანი პროცესორით²⁰, რამაც უსიამოვნოდ განაცვიფრა შეერთებული შტატები, რამდენადაც ვარაუდობდნენ, რომ სანქციებიდან გამომდინარე, ჩინეთი ვერ შეძლებდა ამ ტექნიკურ პროცესზე გადასვლას. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩინელებმა შეცვალეს მათ ხელთ უკვე არსებული ASML ლითოგრაფი. მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია ის, რომ ამერიკულ ტექნოლოგიებს მოწყვეტილმა „Huawei“-მ დღის სინათლეზე გამოიყვანა ჩინელი მომწოდებლები, რომლებიც ოდესღაც უცხოელებით შეცვალეს და შექმნეს მთლიანად ჩინური სმარტფონი. დააინსტალირეს მასზე ოპერაციული სისტემა harm-ი, რამდენადაც Android-ი მათთვის უკვე არ იყო ხელმისაწვდომი და 300 მილიონ მოწყობილობაზე ეს სისტემა იქნა ჩატვირთული. კომპანიამ ეს ერთი წლის მანძილზე გააკეთა და სადღაც მოიძია 24 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხა კვლევისთვის.

ამიტომ, საექსპორტო შეზღუდვების გამკაცრებასთან დაკავშირებით 2023 წლის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილების მიზეზიც სწორედ Huawei Mate 60 Pro სმარტფონთან დაკავშირებული ინციდენტი გახდა. კერძოდ, აღნიშნული მოდელის გაყიდვების დაწყება 2023 წლის 29 აგვისტოს დაემთხვა შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელის ჯინა რაიმონდოს ვიზიტს პაკისა და შანხაიში. Mate 60 Pro ორი კვირის განმავლობაში დომინირებდა ამერიკულ საინფორმაციო ციკლში მას შემდეგ, რაც ტელეფონის დაშლის შედეგად აღმოჩნდა, რომ იგი აღჭურვილი იყო Kirin 9000s ჩიპით²¹, რომელიც დამზადებულია ჩინეთში ნახევარგამტარების წარმოების საერთაშორისო კორპორაციის SMIC-ის (Semiconductor Manufacturing International Corporation) მიერ. Huawei-მ აჩვენა, რომ ჩინეთს შეუძლია ჩიპების წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით, შეერთებული შტატების შეზღუდვების მიუხედავად. ამ მოვლენამ ვაშინგტონში პანიკა გამოიწვია და ეჭვქვეშ დააყენა ამერიკული ძალისხმევის ეფექტურობა ჩინეთში მიკროელექტრონული ინდუსტრიის განვითარების შეზღუდვებთან დაკავშირებით. თუმცა, ალბათობა იმისა, რომ ჩინური კომპანია შეძლებს ასეთი ჩიპების მასიურ წარმოებას - დაბალია, რასაც ადასტურებს აღნიშნული მოდელის სმარტფონის - Mate 60 Pro-ს გაყიდვები, რომელიც თითქმის მაშინვე გაიყიდა და როგორც ჩანს, შეზღუდული რაოდენობით იყო ხელმისაწვდომი, რაც თავისთავად გულისხმობს შეზღუდულ მარაგს.

პრესაში გაჟღერებული ბოლოდროინდელი ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოდ, Huawei აპირებს საკუთარი ფლაგმანური p70 სერიის სმარტფონის წარმოდგენას მოგვიანებით, წლის ბოლოს, ახალ kirin 9010 ჩიპთან ერთად²². თუმცა, არსებობს ნიშნები იმისა, რომ ძველი Kirin 9000s შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეულ მოდელებში. ამასთან, ტექნიკური ანალიზის მკვლევარებმა ასევე დაადგინეს, რომ Kirin 9000s-ის გარდა, Huawei-ის მიერ ახალ ტელეფონებში გამოყენებული ჩიპების ნახევარი და ორი მესამედი წარმოებული იყო ჩინეთში. 2021 წელს ეს წილი მხოლოდ მესამედს შეადგენდა. ანალოგიურად, ოთხი - რვა ცენტრალური პროცესორიდან - გრაფიკული და ნეირონული პროცესორის Mate 60 Pro-ს

²⁰ იხ. სქოლიო 14.

²¹ იქვე.

²² Li D., „Huawei launches Kirin 9010 chipset with optimized performance“, 2024, <https://bitly.cx/E7TLQo> [უ.გ. 05.08.24].

სისტემა გადაკეთებულ და ადაპტირებულ იქნა Huawei-ს მიერ საკუთარი საჭიროებისამებრ. ადრე, ყველა აღნიშნული კომპონენტი მთლიანად დაფუძნებული იყო ბრიტანულ კომპანია ARM-ზე (Advanced RISC Machines and originally Acorn RISC Machine), რომელიც სპეციალიზირდება ნახევარგამტარების შემუშავებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

3. ჩინეთის მიერ მიკროჩიპების საკუთარი წარმოების დაფუძნების მცდელობა, შეერთებული შტატების სანქციების ახალი ტალღა და მისი შედეგები

უახლესი თაობის ლითოგრაფიების მიწოდება ჩინეთში აკრძალულია. ასე, რომ ჩინეთი იძულებული გახდა თვითონ დაეფუძნებინა საკუთარი წარმოება, მაგრამ როგორ? იმპორტირებულ ლითოგრაფზე? თუმცა, მან მოახერხა წინა თაობის მანქანების შეძენა და ცდილობს მათ კოპირებას. მართალია, მისი დიდი გამოცდილებისა და ძალისხმევის მიუხედავად არაფერი გამოუვიდა, მაგრამ აშკარაა, რომ ჩინეთი სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება და სწრაფი ტემპით ახდენს ნახევარგამტარების წარმოების საკუთრი შესაძლებლობების განვითარებას.

ნახევარგამტარების წარმოების საერთაშორისო კორპორაცია SMIC-ის (Semiconductor Manufacturing International Corporation) მიერ შვიდ ნანომეტრიანი ტექნოლოგიის გამოყენებით ნახევარგამტარების წარმოების შესაძლებლობების შენარჩუნებამ აიძულა შეერთებული შტატები საექსპორტო შეზღუდვების ახალი პაკეტი შემოეღო, რომელსაც უნდა უზრუნველყო, რომ არ მოხდებოდა ჩინური კომპანიების შესაძლებლობების შემდგომი ზრდა. სამ ნანომეტრიანი ტექნოლოგია დიდი ალბათობით, ჩინეთისთვის მიუღწეველი დარჩება, რამდენადაც მას ეკრძალება ექსტრემალური ულტრაიისფერი ლითოგრაფიის აპარატების შეძენა კომპანია ASML-სგან, რომელიც მათი ერთადერთი მწარმოებელია მსოფლიოში.

ექსპორტზე კონტროლის შემოღებიდან ერთი წლის შემდეგ და მას მერე, რაც აღმოჩნდა, რომ გატარებული ზომები სათანადოდ არ მუშაობს, შეერთებული შტატების სამრეწველო უსაფრთხოების ბიუროს მიერ 2023 წლის 17 ოქტომბერს გამოცემულ იქნა რეგულაციების ახალი პაკეტი, რომლის მიზანს წარმოადგენს 2022 წლის კონტროლის ზომების გაძლიერება მათი პარამეტრების დაზუსტების გზით²³. რაც გულისხმობს წარმოქმნილი „გასაძრომების“ დახურვასა და ზოგიერთ შემთხვევაში იმ ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალის გაფართოვებას, რომელიც ექვემდებარება ლიცენზირების მოთხოვნებსა და შეზღუდვებს.

მეორე ახალშემოღებული წესი დაკავშირებულია ნახევარგამტარების წარმოების აღჭურვილობასთან. კონტროლირებადი წარმოების სისტემების თავდაპირველ ჩამონათვალს დაემატა მრავალი ახალი ელემენტი. მათ შორის სპეციალიზებული აღჭურვილობა ლოგიკური მიკროსქემების წარმოებისთვის 16 ნანომეტრზე ნაკლები პროცესებისთვის. გარდა ამისა, 20-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება უშუალოდ პირდაპირი უცხოური პროდუქციის წესები. ამასთან, სანქცირებულთა ჩამონათვალში დაემატა 13 ახალი ჩინური კომპანია, რომლებთანაც ამერიკულ იურიდიულ სუბიექტებს არ შეუძლიათ ბიზნესის წარმოება. ეს კომპანიები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის Beijing Biren Technology development და Light Cloud (Hangzhou) Technology, შეერთებული შტატების კანონმდებელთა განცხადებით, ჩართულნი არიან ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში სამხედრო მიზნებისთვის, რითაც საფრთხეს უქმნიან აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას.

²³ Rajagopalan R., „AI Chips for China Face Additional US Restrictions“, 2024, <https://bitly.cx/JoGgNX> [უ.გ. 05.08.24]

უახლესი ოფიციალური მონაცემებით, ჩინეთში ნახევარგამტარების იმპორტი საგრძნობლად დაეცა, რაც შეერთებული შტატების მიერ ექსპორტზე დაწესებული კონტროლის მექანიზმების ეფექტურობასა და აგრეთვე ჩინეთის მიერ მიკროელექტრონიკის სფეროში თვითკმარობის გაზრდის ძალისხმევაზე მიუთითებს.

3.1. ჩინეთის ნაბიჯები აშშ-ის შეზღუდვების საპასუხოდ

ნახევარგამტარებზე ჩინეთის მხრიდან მოთხოვნების შემცირების ფონზე, ტაივანის ოფიციალური მონაცემებით, მათი ჩიპების ექსპორტი ჩინეთში თითქმის 18%-ით დაეცა და 2023 წელს 50 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს არ უცდია საკუთარი კონკურენტის - შეერთებული შტატებისთვის შესაბამისი მასშტაბის შეზღუდვების დაწესება, იგი ამერიკულ ინდუსტრიაზე მხოლოდ რამდენიმე საკვანძო სანქციით შემოიფარგლა. 2023 წლის მაისში, ჩინეთმა აკრძალა Micron-ის ჩიპების გამოყენება ქვეყნის ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებში, უსაფრთხოების რისკების მოტივით. ჩინეთის კიბერსივრცის ადმინისტრაციის განცხადებით, Micron-ის პროდუქცია წარმოადგენს სერიოზულ რისკებს ქსელის უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც საფრთხეს უქმნის ჩინეთის კრიტიკული ინფრამაციული ინფრასტრუქტურის მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებას და გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სულ რაღაც 2 თვის შემდეგ, ივლისში, ჩინეთმა განაცხადა, რომ აგვისტოდან აწესებს შეზღუდვებს 38 საქონლის ექსპორტზე, მათ შორის ორ ქიმიურ ელემენტზე: - გალიუმსა (Gallium) და გერმანიუმზე (Germanium), რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნახევარგამტარების წარმოების პროცესში²⁴. ნებისმიერ ჩინურ საწარმოს, რომელსაც სურს ამ ნივთიერებების ექსპორტი, უნდა მიიღოს ლიცენზია ჩინეთის ვაჭრობის სამინისტროსგან. ამასთან, საგულისხმოა, რომ პოტენციური ექსპორტიორებისგან ნებართვის მისაღებად საჭიროა განაცხადებში საბოლოო მომხმარებლის მითითება.

ოქტომბერში, ჩინეთმა ასევე დააწესა კონტროლი გრაფიტის ექსპორტზე, რომელიც წარმოადგენს მთავარ მასალას ელექტრო მანქანების აკუმულატორებისთვის. გერმანიუმში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და ასევე გამოიყენება მაღალსიჩქარიანი კომპიუტერის ჩიპებსა და პლასტმასებში. ლითონი და მისი ოქსიდები გამოიყენება სამხედრო მიზნებისთვის. მაგალითად, ღამის ხედვის ხელსაწყოებში, აგრეთვე სადაზვერვო თანამგზავრებისთვის განკუთვნილ ინფრაწითელ სენსორებში. იგი ასევე მნიშვნელოვანია დაბალი ნახშირბადის ტექნოლოგიებში, მაგალითად, როგორცაა მზის ელემენტები. მაშინ, როდესაც ისეთი მოწინავე ნახევარგამტარები, როგორცაა 8 ნანომეტრიანი ან უფრო მცირე ჩიპები, რომლებიც გამოიყენება სმარტფონებში, სუპერკომპიუტერებსა და მონაცემთა დამუშავების ცენტრებში, ძირითადად იწარმოება ტაივანსა და სამხრეთ კორეაში, ჩინეთი მიმართავს ძალისხმევას საბაზისო ჩიპების წარმოების გაძლიერებისკენ, რომელიც ასევე ცნობილია როგორც „მოწიფული“ ჩიპები. მათში გამოიყენება 10-20 წლის წინანდელი ტექნოლოგიები, მაგრამ ისინი კვლავ გამოიყენება პროდუქციის ფართო სპექტრში, მათ შორის რიგი სამხედრო ტექნიკის ჩათვლით.

3.2. ჩინეთის ამბიციური გეგმები ნახევარგამტარების წარმოების ახალი საწარმოო ხაზების დანერგვასა და ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით

2023 წლის აპრილში Rhodium Group-ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, აღნიშნულ იქნა, რომ ჩინეთი და ტაივანი ერთად მსოფლიო ჩიპების წარმოების სიმძლავრის დაახლოებით

²⁴ „Deloitte. Tax Newsflash, China imposes export controls on gallium and germanium related Items“, 2023, <https://bitly.cx/zhXo>, [უ.გ. 05.08.24].

80%-ს შეადგენს 20-45 ნანომეტრიანი სტანდარტებით მომდევნო 3-5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ჯგუფის ანგარიშის თანახმად, 50-დან 180 ნანომეტრამდე დიაპაზონში, ჩინეთი ამჟამად აკონტროლებს ბაზრის დაახლოებით 30%-ს და ათწლეულის განმავლობაში შეუძლია საკუთარი წილის გაზრდა მსოფლიო წარმოების სიმძლავრის თითქმის ნახევარამდე²⁵. ნახევარგამტარების მწარმოებელთა საერთაშორისო ასოციაციის ვარაუდით, 2024 წელს ჩინეთში 18 ახალი ქარხანა ამოქმედდება. არსებობს უფრო აგრესიული პროგნოზებიც. შეისწავლეს რა ჩინეთში ჩიპების 48 მწარმოებლის გეგმები, Barclays-ის ანალიტიკოსები თვლიან, რომ ჩინეთს შეუძლია ჩიპების წარმოების შესაძლებლობების გაფართოვება 60%-ით მომდევნო 3 წლის განმავლობაში²⁶.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მედია იუწყება ისეთი კომპანიების გაფართოების გეგმებზე, როგორცაა SMIC, Nexchip და CXMT, ახალი სიმძლავრეების უმეტესი ნაწილი ექსპლუატაციაში შეყვანილ იქნება მეორე დონის ჩინური კომპანიების მიერ. ახალ საწარმოთა სიმძლავრის უმეტესი ნაწილი ფოკუსირებული იქნება ძველ ტექნოლოგიებზე, როგორცაა 28 ნანომეტრი და ზემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წარმოება არ არის ინოვაციების ავანგარდში, პროდუქცია გამოიყენება საქონლის ფართო ასორტიმენტში - საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან დაწყებული - მანქანებამდე. შესაბამისად, მათზე მოთხოვნა მაღალი დარჩება. ნახევარგამტარების წარმოების მოსალოდნელი ზრდა მოძველებული პროცესების გამოყენებით იწვევს შემფოთებას ბაზარზე პოტენციური ჭარბი მიწოდების გაჩენის ალბათობიდან გამომდინარე. Barclays-ის ანალიტიკოსების აზრით, ამან შესაძლოა სერიოზული პრობლემა შეუქმნას ჩიპების არსებულ მწარმოებლებს, მაგრამ არა 2026 წლამდე, ვიდრე ახალი ქარხნები არ ჩადგება მწყობრში და დაამტკიცებენ, რომ მათ შეუძლიათ მაღალი ხარისხის ჩიპების წარმოება.

ჩინეთი ჯერ-ჯერობით განაგრძობს იმპორტირებული ლითონგრაფიული აპარატების გამოყენებას თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებით ნახევარგამტარების შესაქმნელად. ჩინური კომპანიები ამლიერებენ ძალისხმევას უცხოელი სპეციალისტების გადმოსაბირებლად. ძალისხმევის უმეტესი ნაწილი უპირველეს ყოვლისა, მიმართული იქნება შეერთებული შტატებიდან და ევროპის ქვეყნებიდან ეთნიკურად ჩინელ ელექტრონიკის დარგის სპეციალისტთა გადასახლებაზე. ჩინეთის მთავრობა, ქვეყნის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებებით, ქვეყანა მზადაა კიდევ უფრო გაამკაცროს კონტროლი იშვიათ მიწა-ლითონებზე - გრაფიტსა და სხვა ნედლეულის ექსპორტზე, რომელიც აუცილებელია ნახევარგამტარებისა და სხვა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის საწარმოებლად²⁷.

4. ტაივანი, როგორც შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაძაბულობის მთავარი წყარო და დაპირისპირების გლობალურ კონფლიქტში გადაზრდის საფრთხე

კომპანია TSMC-ი არ წარმოადგენს ერთადერთ მიზეზს, რის გამოც კუნძული ასე მნიშვნელოვანია ჩინეთისთვის. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული იგი უდიდეს როლს ასრულებს მისი უსაფრთხოებისთვის, ამიტომ, მას სურს კუნძულ ტაივანის დაბრუნება საკუთარ შემადგენლობაში „ერთი ქვეყანა - ორი სისტემის“ პრინციპით, რაც

²⁵ Klein Hans, J., P., Goujon R., Hess J., and Dudley L., Running on Ice: „China’s Chipmakers in a Post-October 7 World“, Rhodium Group, 2023, <https://rhg.com/research/running-on-ice/>, [უ.გ. 05.08.24].
²⁶ News: „China’s Chip Production Capacity Reportedly Set to Grow 60% in 3 Years, Doubling in 5 Years“, 24.01.15, <https://bitly.cx/Pn7IKa>, [უ.გ. 05.08.24].
²⁷ Umbach, F., „The Escalating Chip war Between China and the West“, 2024, <https://www.gisreportsonline.com/r/escalating-chip-war/>, [უ. გ. 05.08.24].

უზრუნველყოფდა ტაივანის თვითმმართველობასა და ფართო ავტონომიას²⁸. საგულისხმოა, რომ ადრე, ჩინეთმა იგივე გააკეთა ჰონგ-კონგთან მიმართებაში, თუმცა, მოვლენების ასე განვითარება რა თქმა უნდა, არ შედის შეერთებული შტატების ინტერესებში, სადაც ჩინეთს მთავარ კონკურენტად მიიჩნევენ მსოფლიო ასპარეზზე. აქედან გამომდინარე, არ სურთ ჩინეთის გაძლიერება მის შემადგენლობაში განვითარებული ეკონომიკისა და მიკროჩიპების მსოფლიო ბაზარზე წამყვანი პოზიციის მქონე ტაივანის შეყვანით. გარდა ამისა, შეერთებული შტატებისთვის ეს არახელსაყრელია იდეოლოგიური თვალსაზრისითაც. ტაივანი იმყოფება მისი მფარველობის ქვეშ და წარმოადგენს ჩინეთის განვითარების ალტერნატიული გზის მაგალითს. ამიტომ, ვაშინგტონმა დაადო ფარული აკრძალვა ტაივანსა და ჩინეთს შორის გაერთიანების შესახებ ნებისმიერ მოლაპარაკებას. ტაივანს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისთვის²⁹. ამიტომ, ვაშინგტონი უკვე დაჰპირდა მას, რომ არ მიატოვებს ტაივანელებს. ბოლოს და ბოლოს, ტაიბეის ჩიპების გარეშე ამერიკა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში დაბრუნდება. ამიტომ, შეერთებულმა შტატებმა დღის წესრიგში დააყენა კუნძულის ახალ დონეზე შეიარაღების საკითხი. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა აპირებს ტაივანისთვის იარაღის მიწოდების შესახებ კანონპროექტის წარდგენას. ხოლო რესპუბლიკელები გეგმავენ ტაივანისთვის „ლენდ ლიზი“-ის პროგრამის ფარგლებში იარაღისა და აღჭურვილობის მისაწოდებლად პრეზიდენტისთვის უფლება-მოსილების მინიჭებას³⁰. მედიის მიერ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციით, ინიციატივას ორივე პარტია უჭერს მხარს.

დარგის ექსპერტთა აზრით, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის პირდაპირი შეტაკება ტაივანისთვის ბრძოლაში, გლობალურ სამხედრო კონფლიქტში გადაზრდის საფრთხეს ქმნის, რამდენადაც პეკინი კუნძულს საკუთარ სეპარატისტულ ტერიტორიად მიიჩნევს. შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკებები ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული გაფრთხილებით დასრულდა - „ის, ვინც ცეცხლს ეთამაშება - აუცილებლად დაიწვება“ - განაცხადა სი ძინპინმა³¹. მანამდე მედიაში განიხილებოდა ჩინეთის სამხედრო მოქმედებების რამდენიმე სცენარი - ტაივანში შორეული კუნძულების დაკავებიდან, ბლოკადამდე - დახურული ცა ან ტოტალური თავდასხმა³². ამასთან, ჩინეთის ხელისუფლების მიერ არაერთხელ იქნა გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკელი პოლიტიკოსებისა და ოფიციალური პირების ვიზიტები კუნძულზე ძირს უთხრის ერთი ჩინეთის პოლიტიკას და მსგავსი ნაბიჯები პეკინის სუვერენიტეტის დარღვევად იქნება შეფასებული. ჩინელი ჟურნალისტები კი ომისთვის მზადების შემოთავაზებასაც აღარ ერიდებიან. იაპონიის თავდაცვის სამინისტროში ვარაუდობდნენ, რომ ჩინეთს შეუძლია ტაივანში სადესანტო სამხედრო ოპერაციის განხორციელება ტაივანის სრუტეში მრავალჯერადი სარაკეტო სისტემების მასიური გამოყენების ფონზე, რამდენადაც ასეთი სისტემების გამოყენება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ ტაივანის მისადგომებთან განხორციელებული რიგგარეშე სამხედრო წვრთნების ნაწილი იყო.

თუ კონტინენტური ჩინეთი როგორღაც მოიპოვებს კონტროლს ტაივანის ფაბრიკებზე, სავარაუდოდ, ის მოიპოვებს ძალაუფლებას გლობალურ ეკონომიკაზე. ამიტომ,

²⁸ Malinowski, H., „Why Can't We Be Friends: The Significance of Sovereignty and China's "One Country, Two Systems"“, New York, 2020.

²⁹ Yang, P., „Doubly Dualistic Dilemma: US strategies towards China and Taiwan“, Published By: Oxford University Press, 2006, pp 209-225.

³⁰ Abramson, J., „Arms Control Today, U.S. Offering More Arms To Taiwan“, 2022, <https://bitly.cx/qB3Xza> [უ. გ. 05.08.24].

³¹ Article: „Xi warns Biden against 'playing with fire' over Taiwan, Two hour call between the two leaders comes amid escalating tensions over a potential Taiwan visit by US House Speaker Nancy Pelosi“, News/Politics, Al Jazeera and news agencies, <https://bitly.cx/ZUmM>, [უ. გ.05.08.24].

³² იხ. სქოლიო 27.

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები არასოდეს დაუშვებენ, რომ ეს ქარხნები ჩინელების ხელში მოხვდნენ“ - განაცხადა ტრამპის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რობერტ ო ბრაიანმა 2023 წელს³³. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კომუნისტები კუნძულზე დაეშვებიან და აიღებენ მასზე კონტროლს, შეერთებული შტატები მზადაა გაანადგუროს ყველაზე მაღლტექნოლოგიური წარმოება დედამიწაზე, რათა იგი არ აღმოჩნდეს ჩინეთის ხელში. მსგავსი განცხადება გააკეთა დემოკრატიული პარტიის კონგრესმენმა მოულტონმა: „ჩვენ მკაფიოდ უნდა განუცხადოთ ჩინეთს, რომ თუ თქვენ შეიჭრებით ტაივანში, ჩვენ ავაფეთქებთ TCMS-ს“³⁴.

სააგენტო ბლუმბერგის განცხადებით, ჩინეთის მიერ ტაივანში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში, შეერთებული შტატები გეგმავს ინჟინრების გაყვანას მიკროჩიპების ქარხნიდან³⁵ და სავარაუდოდ, ასეთი წვრთნებიც კი ჩაატარა. ტაივანში ამ ყველაფერს უარყოფენ. მათი თქმით, მაშინაც კი, თუ პეკინი ქარხნებს უვნებლად დაიპყრობს, წარმოება შეჩერდება, რადგან მომწოდებლები შეწყვეტენ მასალების გადმოტვირთვას და მათ შემცვლელი არავინაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ტაივანში მიკროჩიპების სამხედრო კამპანია მიკროჩიპების წინააღმდეგ კამპანიადა იქცევა და ნადავლი არავის დარჩება.

დასკვნა

ამდენად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიკროჩიპები - წარმოადგენს საკვანძო კომპონენტს გლობალური ეკონომიკისთვის, რომელიც ამჟამად ტაივანში იწარმოება და თუ ჩინეთი დაიწყებს ომს ტაივანისთვის, დიდი ალბათობით, გაანადგურებს ქარხნებს და რაც უფრო ადრე დაიწყება ეს პროცესი, მით უფრო ძლიერი იქნება დარტყმა გლობალურ ეკონომიკაზე, რამდენადაც ნახევარგამტარების გარეშე დარჩება ყველა. დიახ, მსოფლიო უკვე მიხვდა და გააცნობიერა, რომ უდიდესი შეცდომა იყო, ამ უმნიშვნელოვანესი წარმოების მხოლოდ ერთი კუნძულისთვის გადაცემა. ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი იმას, რომ ტაივანისთვის ომი არ იქნება? რა თქმა უნდა, არა. ჩინეთს სხვა მიზეზებიც აქვს კუნძულზე ჯარების გადმოსხმისთვის. ვითარება დენტის კასრს ჰგავს, რომელიც არავინ იცის როდის აფეთქდება.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, კომპლექსურად ცვლის უსაფრთხოების გარემოს და რა იქნება ხვალ, ამას მომავალი გვიჩვენებს. გვინდა გვჯეროდეს, რომ აღნიშნულ პროცესებში ჩართული ყველა ქვეყანა ყველაფრის მიუხედავად მაინც შეძლებს ერთმანეთთან შეთანხმებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ახალი სამხედრო კონფლიქტისა და უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან აცილებას. ტაივანი კი თავისი უნიკალური იდენტობით, დიდი ხანია იმსახურებს დამოუკიდებლობის სტატუსის საყოველთაოდ აღიარებას. ხოლო ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს სავარაუდოდ, საკუთარი მოთხოვნების გადახედვა მოუწევს.

³³ Clemons, S., „The U.S. would destroy Taiwan’s chip plants if China invades, says former Trump official“, SEMAFOR, 2023, <https://bitly.cx/LOG2>, [უ. გ. 05.08.24].

³⁴ McKinney, J.M., „TSMC’s fate will indeed be at stake if China attacks Taiwan“, 2023, <https://bitly.cx/gXnjA> [უ. გ. 05.08.24].

³⁵ „US Threatens to Shut Down TSMC’s EUV if China Reunifies with Taiwan by Force“, The China Academy, 2024, <https://bitly.cx/glaSZ> [უ. გ. 05.08.24].

ბიბლიოგრაფია

1. Abramson, Jeff. Arms Control Today, U.S. Offering More Arms To Taiwan, 2022. <https://bitly.cx/qB3Xza>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
2. Article: „All about chip giant TSMC that crossed \$1 trillion market cap“, The Economic Times, News, 07.2024, [rb.gy/ca1nbz](https://bitly.cx/ca1nbz) [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
3. Article: China's imports of Dutch chip-making equipment surged tenfold in November after Washington tightened restrictions, South China Morning Post, 2023; <https://bitly.cx/mlBFJZ>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
4. Article: Xi warns Biden against ‘playing with fire’ over Taiwan, Two hour call between the two leaders comes amid escalating tensions over a potential Taiwan visit by US House Speaker Nancy Pelosi, 2022, News/Politics, Al Jazeera and news agencies, <https://bitly.cx/ZUmM>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
5. ASML Annual Report 2022, Small Patterns. Big Impact, <https://bitly.cx/R8ALfo.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
6. Clemons, Steve. The U.S. would destroy Taiwan’s chip plants if China invades, says former Trump official, SEMAFOR, 2023, <https://bitly.cx/LOG2>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
7. Duffy, Clare. Trump said he’d ease up on Huawei. Questions remain about what that means, 2019, <https://bitly.cx/CLpNS>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
8. Deloitte. Tax Newsflash, China imposes export controls on gallium and germanium related Items, 2023, <https://bitly.cx/zhXol>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
9. Gabriele, Mario. TSMC: Semiconductors and Borders of Light, 2022, <https://www.generalist.com/briefing/tsmc>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
10. Gil, Dario. Jaione Tirapu-Azpiroz, Ryan Deschner, Timothy Brunner, Carlos Fonseca, Jennifer Fullam, Dan Corliss, K. Auschnitt, Peter Vanoppen. Characterization of imaging performance for immersion lithography at NA=0.93, 2006;
11. Hans, Klein. Goujon, Jan-Peter. Reva. Hess, Lauren, Julia. and Dudley. Running on Ice: China’s Chipmakers in a Post-October 7 World, Rhodium Group, 2024, <https://bitly.cx/92MC>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
12. Kinery, Emma. TSMC to up Arizona investment to \$40 billion with second semiconductor chip plant, 2022, <https://bitly.cx/XWvRCg>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
13. Li, Deng. Huawei launches Kirin 9010 chipset with optimized performance, 2024, <https://bitly.cx/E7TLQo> [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
14. Malinowski, Harry. Why Can’t We Be Friends: The Significance of Sovereignty and China’s “One Country, Two Systems”, New York, 2023;
15. Morris, Iain. US still makes billions in China chip sales, and it's all at risk, 2024, <https://bitly.cx/hNDe2>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
16. McKinney, Jared M. TSMC's fate will indeed be at stake if China attacks Taiwan, 2023, <https://bitly.cx/gXnjA>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
17. News: China’s Chip Production Capacity Reportedly Set to Grow 60% in 3 Years, Doubling in 5 Years. 24.01.15 <https://bitly.cx/Pn7IKa/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
18. Nardelli, Alberto. Baschuk, Bryce. and Champion, Marc. Putin Stirs Worry that Russia is Stripping Home-Appliance Imports For Arms, Bloomberg, 2022, <https://bitly.cx/o8tyZ>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
19. Rajagopalan, Rajeswari, Pillai. AI Chips for China Face Additional US Restrictions, 2024, <https://bitly.cx/JoGgNX>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];

20. Sheng. Wei. China spends more importing semiconductors than oil, The Numbers, 2021, <https://bitly.cx/T6nM/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
21. Stone, Alex. and Wood, Peter „China’s Military-Civil Fusion Strategy: A view from Chinese strategists,“ (Montgomery AL, China Aerospace Studies Institute, n.d.), 2020;
22. Spencer, Kimball. Trump says he doesn’t want to do business with Huawei due to national security concerns, 2019, <https://bitly.cx/oG1DR>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
23. Thorbecke, Catherine. The US is spending billions to boost chip manufacturing. Will it be enough? 2022, <https://bitly.cx/q6xCGe>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
24. Toh, Michelle. TSMC says its \$40 billion chip project in Arizona faces a further delay, 2024, <https://bitly.cx/9UenE>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
25. Trend Force [News] Surge in Chip Manufacturing Equipment Imports from the Netherlands to China, Soaring Tenfold After U.S. Tightens Restrictions, 2023, <https://bitly.cx/st7UQ/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
26. Tagler, Eric. Is Russia Really Buying Home Appliances To Harvest Computer Chips For Ukraine-Bound Weapons Systems? 2023 rb.gy/14mijm, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
27. The China Academy. US Threatens to Shut Down TSMC’s EUV if China Reunifies with Taiwan by Force, 2024, <https://bitly.cx/glaSZ/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
28. Taiwan and The Global Semiconductor Supply Chain: 2023 In Review, Bumper Issue, April/May 2024, Edited by Chen-Tung, Ph.D. Representative, Taipei Representative Office in Singapore;
29. Umbach, Frank. The Escalating Chip war Between China and the West, 2024, <https://bitly.cx/ImzGn/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.08.24];
30. U.S.-China Economic and Security Review Commission, 2019 Annual Report to Congress (Washington DC, US Government Publishing Office, 2019) Chapter 3 Section 2 “Emerging Technologies and Military Civil Fusion—Artificial Intelligence, New Materials and New Energy”;
31. Yang, Philip. Doubly Dualistic Dilemma: US strategies towards China and Taiwan, Published By: Oxford University Press, 2006.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის კვლევა

ელისო კერესელიძე,

ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მადონა კველია,

ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ინა შანავა,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ გვილაგა,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი-GIU

აბსტრაქტი

1990 წელს აფხაზეთში და 2008 წელს სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტების შედეგად, ნახევარ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი. შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ადამიანებს მოუწიათ მძიმე სოციო-პოლიტიკურ ვითარებასა და მის თანმდევ კრიზისებთან გამკლავება, რაც მიიჩნევა, რომ უარყოფითად აისახება იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ისინი ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ დისტრესს, რასაც შესაძლოა ხანგრძლივი დესტრუქციული გავლენა ჰქონდეს მათი ცხოვრების ხარისხზე, სოციალური ინტეგრაციისა და ზოგადად, კეთილდღეობის მაჩვენებელზე. კვლევის მიზნად განისაზღვრა შესწავლილიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციული პროცესები და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული ინსტრუმენტების გამოყენებით, კვლევის რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით, მედეგობის, ცხოვრების ორიენტაციის, დეპრესიის, მიგრაციისა და შფოთვის დონის დადგენა გახდა შესაძლებელი. მოცემული კვლევის შედეგები ღირებულ ცოდნას შექმნის დევნილთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის, მიგრაციული პროცესების, სოციალური ინტეგრაციისა და ახალ გარემოში ადაპტაციის სირთულეებთან დაკავშირებით. მიღებული მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით მომუშავე პროფესიონალებსა და ჯგუფებს, რომელთა საქმიანობა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების მხარდაჭერასა და სერვისებით მათ გაძლიერებაზე არის ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: იძულებით გადაადგილება, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მიგრაციული პროცესები, სტრესისადმი მედეგობა.

შესავალი

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში) 1990-იან წლებში დაწყებული კონფლიქტები დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება საქართველოს მოსახლეობისთვის იმის გათვალისწინებით, რომ 30 წელია რუსული ოკუპაციის შედეგად, კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობა დანარჩენ საქართველოს მოწყვეტილია. საცხოვრებელი სახლების დატოვება, ახლობლების დაკარგვა, მძიმე სოციალური პირობები, მიგრაცია, კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული სირთულეები და რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომი რეტრავმატიზაციის განმაპირობებლად შეიძლება იქნას მიჩნეული, რაც თავისთავად, იძულებით გადაადგილებული პირების ფსიქიკურ ჯანმრთელობას უფრო მოწყვლადს ხდის. მსგავსი ტრავმული მოვლენების გადატანის შედეგად. ადამიანებს აწუხებს შფოთვითი სიმპტომები, კონცენტრაციის სირთულეები, ძილის პრობლემები, უმადობა. გადატანილი კრიზისისა და სტრესიდან გამომდინარე, ზოგიერთს შესაძლოა განუვითარდეს: პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დისოციალური, პანიკური, შფოთვითი აშლილობები, ადაპტაციის დარღვევა და სხვა.¹ დევნილი მოსახლეობის წინაშე მდგარი არაერთი მძიმე გამოწვევის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის, თუ რამდენად მედეგია პიროვნება-რამდენად ახერხებს პოზიტიურ ადაპტაციას და შეუძლია სირთულეებთან გამკლავება, რაც, თავის მხრივ, ცხოვრების საზრისის განმსაზღვრელადაც შეიძლება იქნას განხილული. მედეგობის თანამედროვე გაგება მოიაზრებს მას, როგორც პიროვნულ ნიშანს, რომელიც ეხმარება ინდივიდს სირთულესთან გამკლავებასა თუ ადაპტაციაში და ამგვარად, წარმოადგენს ერთგვარ იმუნიტეტს ტრავმული გამოცდილებების წინააღმდეგ.² ასევე, შეიძლება მედეგობა განხილულ იქნას, როგორც სერიოზული დაბრკოლების გადალახვის შედეგი.³ ცხოვრების საზრისი გულისხმობს ცხოვრების მიზნებს, პროცესს და შედეგს. ცხოვრების მიზნები მოიაზრებს სამომავლო მიზნების არსებობას, რის მემშვეობითაც ცხოვრება ხდება გააზრებული და მიზანმიმართული. აწმყოს გააზრება მოიცავს ცხოვრებისადმი ინტერესს, ემოციურ მრავალფეროვნებას, განსაზღვრავს, აღიქვამს თუ არა პიროვნება საკუთარ ცხოვრებას, როგორც საინტერესოს, დინამიურს და გააზრებულს. ცხოვრების შედეგი კი ასახავს ცხოვრების უკვე გავლილი გზის შეფასებას – მისი პროდუქტიულობისა და გააზრებულობის განცდას.

გამყოფი ხაზების ორივე მხარეს „ბორდერიზაციის“ ნეგატიური შედეგები კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებზე მძიმედ აისახა. კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს მრავალი კრიზისისა და ტრავმული მოვლენის-კონფლიქტების გადატანა მოუწიათ. მკვლევართა მიერ ომით გამოწვეული ტრავმის შემდგომი ფსიქიკური დარღვევების (პოსტსტრესული აშლილობა, დეპრესია, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, სოციალური ფუნქციონირების დარღვევა და სხვ.) მიმართულებით ჩატარებული კვლევების გარკვეული ნაწილი, მეორადი ტრავმატიზაციის გზით, სოციალურ გარემოში მისი გავრცელების მექანიზმების შესწავლაზეა მიმართული.⁴ საქართველოში კი, ომის შედეგების კვლევების რაოდენობა საკმაოდ მწირია. საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი

¹ სოლომონია, თ., ფანჯიკიძე, მ., მაყაშვილი, თ., დარჩია, ს., ქარელი, თ., სირაძე, ნ. „ფსიქოლოგიური კრიზისული ინტერვენციის გზამკვლევი“. ღია საზოგადოება საქართველო. 2023.

² Davydov, D. M., Stewart, R., Ritchie, K., Chaudieu, I. “Resilience and mental health”. *Clinical Psychology Review*, Volume 30, Issue 5, 2010, 479-495 p.

³ Connor, K. M., Davidson, J. R. T. “Development of a new resilience scale: The Connor-Davidson Resilience Scale” (CD-RISC). *Depression and Anxiety*, 18(2), 76-82, 2003.

⁴ ფანჯიკიძე, მ. „პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართება“. (2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული ოჯახების მაგალითზე). თსუ [დისერტაცია], 2014.

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) მიერ, ყოველწლიურად გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, 2021 წლის მდგომარეობით, საქართველოში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები შესულია ჰოსპიტალიზაციათა მაღალი რაოდენობით გამორჩეულ დაავადებათა ათ კლასში.⁵ 2021 წლის განმავლობაში, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დიაგნოზით, სულ 13305 ადამიანის ჰოსპიტალიზაცია მოხდა. დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, 2021 წელს დაფიქსირებული ახალი შემთხვევების მიხედვით, რამდენიმე ტიპის ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა ლიდერობს, ესენია: ორგანული ბუნების აშლილობები - 674 ახალი შემთხვევით; ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობები - 799 ახალი შემთხვევით; შიზოფრენია, შიზოტიპური და ბოდვითი აშლილობები - 895 ახალი შემთხვევით და ყველაზე მეტი ინტელექტუალური დარღვევები - 928 ახალი შემთხვევით.⁶

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა, მათთვის აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და საცხოვრებელი უზრუნველყოფა, მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართული საზოგადოებისთვის.

1. მეთოდი

კვლევის მიზანი: შესწავლილ იქნას იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მიგრაციული პროცესები.

შერჩევა: ალბათური-შემთხვევითი შერჩევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000-მა რესპონდენტმა.

საკვლევი კითხვა:

- მიგრაციის რა მაჩვენებელი ვლინდება იძულებით გადაადგილებულ პირებთან?
- როგორია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა ცხოვრების საზრისის, დეპრესიის, შფოთვისა და მედეგობის მიხედვით?

ჰიპოთეზა: კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზები

H1. იძულებით გადაადგილებულ პირებთან დისპოზიციური ოპტიმიზმის, შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებლები უფრო დაბალი იქნება საკონტროლო ჯგუფის წევრებთან შედარებით;

H2. იძულებით გადაადგილებულ პირებთან დისპოზიციური ოპტიმიზმის დაბალი მაჩვენებელი კავშირში იქნება დეპრესიისა და შფოთვის მაღალ მაჩვენებელთან და მედეგობის დაბალ მაჩვენებელთან;

H3. მიგრაციის პრევალენტობა უფრო მაღალი იქნება იძულებით გადაადგილებულ პირებთან საკონტროლო ჯგუფის წევრებთან შედარებით.

1.1. მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000-მა რესპონდენტმა, რომელთაგან 500 რესპონდენტი იძულებით გადაადგილებული პირია (აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებული), ხოლო 500 რესპონდენტი არ ფლობს დევნილის სტატუსს. კვლევაში მონაწილეთა 84.8% მდედრობითი სქესის, ხოლო-15.2% მამრობითი სქესის

⁵ ქოქოსაძე, ნ., ლორთქიფანიძე, ქ. „უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კვლევა“. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2023.

⁶ იქვე.

წარმომადგენელია. რესპონდენტთა 74,5% არასდროს ყოფილა ემიგრაციაში, 8.8% ყოფილა ლეგალურად, 6.7% გეგმავს ემიგრაციაში წასვლას, 3.8% ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში, 3.2% დადის პერიოდულად, 1.8% ამჟამად იმყოფება ემიგრაციაში არალეგალურად და 1.1% არალეგალურად ყოფილა ემიგრაციაში.

1.2. მონაცემების მოპოვების პროცედურა

გამოკითხვა ჩატარდა Google Forms პლატფორმის გამოყენებით. კვლევის მიზნისა და ამოცანების გაცნობის შემდეგ, რესპონდენტები ნებაყოფლობით იღებდნენ მონაწილეობას. კვლევის ეთიკური სტანდარტის თანახმად, დაცული იყო ანონიმურობა. სრულყოფილი ინფორმაციის მიღებისა და ნაკლები მონაცემების თავიდან არიდების მიზნით, ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულოდ იყო მონიშნული.

1.2.1. კვლევის შეზღუდვა

კვლევის მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს რესპონდენტთა შერჩევასთან დაკავშირებული საკითხი. უმჯობესი იქნებოდა, კვლევაში მომხდარიყო ემიგრაციაში მყოფი მეტი რესპონდენტის ჩართვა. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევას მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები დევნილის სტატუსის მქონე რესპონდენტების ჩართვა. შეზღუდვა უკავშირდება ასევე, გენდერული ბალანსის დარღვევას, რომლის თანახმადაც, რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მდედრობითი სქესის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

1.3. ინსტრუმენტები

კვლევის მიზნის მისაღწევად, გამოყენებულ იქნა ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული შემდეგი ინსტრუმენტები:

- მედეგობის საკვლევი ტესტი (the Personal Views Survey III–R (PVS III–R, Maddi, 1998);
- ცხოვრების საზრისის საკვლევი ტესტი (Purpose-in-Life Test, PIL, Crumbaugh and Maholick);
- დეპრესიული აშლილობის სკრინინგის კითხვარი - PHQ-9 – (Patient Health Questionnaire - 9);
- შფოთვის კითხვარი (PROMIS Emotional Distress—Anxiety— Short Form)

2. შედეგების აღწერა

კვლევის მიზნის შესაბამისად, შესწავლილიყო მიგრაცია და ფსიქოლოგიური თავისებურებები იძულებით გადაადგილებულ პირებთან, მიღებული მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა ერთგანზომილებიანი ანალიზი, ორგანზომილებიანი ანალიზი, კროსტაბულაციური ანალიზი, ერთფაქტორიანი ANOVA table, წრფივი რეგრესიული ანალიზი. ასევე, დათვლილ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი და X^2 .

მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის 43.8%-ს, შიდა ქართლიდან დევნილი მოსახლეობის 50%-ს და არაიძულებით გადაადგილებული რესპონდენტების 38.2%-ს შფოთვის საშუალოდ გამოხატული მაჩვენებელი აქვთ, ხოლო სამივე ჯგუფის წარმომადგენელთა თითქმის 11%-ს მწვავედ გამოხატული. იხ. ცხრილი N1.

ცხრილი N1. შფოთვის საზომ სკალაზე განსხვავებები დევნილობის სტატუსის მიხედვით

Crosstab
%within

შფოთვა		დევნილი	დევნილი	არა იძულებით	Total
		აფხაზეთიდან	ქართლიდან	გადაადგილებული პირი	
შფოთვა	არ არის	23.6%	25.0%	24.0%	23.9%
	სუსტად	22.6%	13.1%	27.0%	24.0%
	გამოხატული				
	საშუალოდ	43.8%	50.0%	38.2%	41.5%
	გამოხატული				
	მწვავედ	10.1%	11.9%	10.8%	10.6%
	გამოხატული				
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	9.979 ^a	6	0.126
Likelihood Ratio	10.675	6	0.099
Linear-by-Linear Association	0.552	1	0.457
N of Valid Cases	1000		

a. 0 cells (0.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 8.90.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ აფხაზეთიდან დევნილი რესპონდენტების 31.8% სუსტად გამოხატული დეპრესია აქვს, შიდა ქართლიდან დევნილი რესპონდენტების 36.5% დეპრესიის საშუალო მაჩვენებლები აქვთ, ხოლო არა იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტთა 32.2% სუსტი და საშუალო დეპრესიის მაჩვენებლები აქვთ. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.001$) იხ. ცხრილი N2.

ცხრილი N2. დეპრესიის საზომ სკალაზე განსხვავებები დევნილობის სტატუსის მიხედვით

Crosstab

დეპრესია		დევნილი	დევნილი	არა იძულებით	Total
		აფხაზეთიდან	ქართლიდან	გადაადგილებული პირი	
დეპრესია	არანაირი	22.2%	17.6%	11.4%	16.4%
	სუსტი	31.8%	27.1%	32.2%	31.6%
	დეპრესია				
	საშუალო	26.3%	36.5%	31.0%	29.5%
	დეპრესია				
	საშუალოდ	10.6%	9.4%	15.6%	13.0%
	მწვავე	10.6%	9.4%	15.6%	13.0%
	დეპრესია				
	მწვავე	9.2%	9.4%	9.8%	9.5%
	დეპრესია				
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	25.371 ^a	8	0.001
Likelihood Ratio	25.483	8	0.001
Linear-by-Linear Association	12.395	1	0.000
N of Valid Cases	1000		

a. 0 cells (0.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 8.08.

ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე აფხაზეთიდან (82.9%) და შიდა ქართლიდან (82.1%) დევნილი რესპონდენტების და არაიძულებით გადაადგილებული რესპონდენტების 78.8% დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი დონე გამოუვლინდათ. ($X^2=0.217$) იხ. ცხრილი N3.

ცხრილი N3. ცხოვრების ორიენტაციის საზომ სკალაზე განსხვავებები დევნილობის სტატუსის მიხედვით

Crosstab %within		დევნილი აფხაზეთიდან	დევნილი შიდა ქართლიდან	არა იძულებით გადაადგილებული პირი	Total
ცხოვრების ორიენტაციის სკალა	დაბალი დონე	1.9%	4.8%	2.2%	2.3%
	საშუალო დონე	15.1%	13.1%	19.0%	16.9%
	მაღალი დონე	82.9%	82.1%	78.8%	80.8%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	5.776 ^a	4	0.217
Likelihood Ratio	5.302	4	0.258
Linear-by-Linear Association	2.035	1	0.154
N of Valid Cases	1000		

a. 1 cells (11.1%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.93.

მედეგობის საკვლევ სკალაზე აფხაზეთიდან დევნილი რესპონდენტების 66.3%-ს, შიდა ქართლიდან დევნილი რესპონდენტების 67.9%-ს და არაიძულებით გადაადგილებულ რესპონდენტთა 64.6%-ს მედეგობის საშუალო დონე გამოუვლინდათ. ($X^2=0.168$) იხ. ცხრილი N4.

ცხრილი N4. მედეგობის საზომ სკალაზე განსხვავებები დევნილობის სტატუსის მიხედვით
Crosstab

		დევნილი აფხაზეთიდან	დევნილი შიდა ქართლიდან	არა იძულებით გადაადგილებული პირი	Total
მედეგობა	დაბალი დონე	22.1%	22.6%	27.6%	24.9%
	საშუალო დონე	66.3%	67.9%	64.6%	65.6%
	მაღალი დონე	11.5%	9.5%	7.8%	9.5%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	6.452 ^a	4	0.168
Likelihood Ratio	6.440	4	0.169
Linear-by-Linear Association	6.072	1	0.014
N of Valid Cases	1000		

a. 0 cells (0.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 7.98.

კვლევის მონაცემების დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საშუალოდ გამოხატული შფოთვა აქვთ იმ რესპონდენტების 46.9%-ს, რომლებიც რეგულარულად დადიან ემიგრაციაში, 31.7%-ს, რომლებიც ახლა იმყოფებიან ემიგრაციაში, 41.8%-ს, რომლებიც არასდროს ყოფილან ემიგრაციაში და 57.1%-ს, რომლებიც აპირებენ ემიგრაციაში წასვლას. მწვავედ გამოხატული შფოთვა აქვთ იმ რესპონდენტების 28.6%-ს, რომლებიც არალეგალურად ყოფილან ემიგრაციაში, 18.8%-ს, რომლებიც რეგულარულად დადიან და 17.1%-ს, რომლებიც ახლა იმყოფებიან ემიგრაციაში. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა. ($X^2=0.006$) იხ. ცხრილი N5.

ცხრილი N5. შფოთვის საზომ სკალაზე რესპონდენტების განაწილება ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab
% within

	ემიგრაციაში ყოფნა							Total
	დავდივარ რეგულარულად	ახლა ვიმყოფები ლეგალურად	ახლა ვიმყოფები არალეგალურად	არასდროს ვყოფილვარ	ყოფილვარ ლეგალურად	ყოფილვარ არალეგალურად	ვაპირებ წასვლას	
არ არის	18.8%	34.1%	33.3%	25.1%	15.8%	35.7%	12.7%	23.9%
შფოთვა								
სუსტად გამოხატული	15.6%	17.1%	23.8%	24.3%	30.5%	7.1%	22.2%	23.9%
საშუალოდ გამოხატული	46.9%	31.7%	28.6%	41.8%	36.8%	28.6%	57.1%	41.6%
მწვავედ გამოხატული	18.8%	17.1%	14.3%	8.9%	16.8%	28.6%	7.9%	10.6%
Total	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	36.288 ^a	18	0.006
Likelihood Ratio	35.157	18	0.009
Linear-by-Linear Association	1.616	1	0.204
N of Valid Cases	1000		

a. 6 cells (21.4%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.48.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საშუალოდ გამოხატული შფოთვის დონე აქვთ იმ რესპონდენტებს, რომლებიც ემიგრაციაში ყოფილან მკურნალობის თვალსაზრისით (64.3%), საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ პოლიტიკური დევნის (54.8%) და ეთნიკური ნიშნით დევნის გამო (52%). იმ რესპონდენტების 22%, რომლებიც ემიგრაციაში ყოფილან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო აქვთ შფოთვის მწვავედ გამოხატული დონე. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.000$) იხ. ცხრილი N6.

ცხრილი N6. შფოთვის საზომ სკალაზე რესპონდენტების განაწილება ემიგრაციაში ყოფნის მიზეზების მიხედვით

Crosstab

% within საცხოვრებელი ადგილის ცვლილება

		პოლიტიკური დევნის გამო	ეკონომიკური სიდუხჭირის გამო	სამკურნალოდ	სასწავლებლად	ცხოვ. პირობების გასაუმჯო.	ეთნიკური ნიშნით დევნის გამო	არ შეცვლილა	Total
შფოთვას	არ არის	21.4%	19.2%	21.4%	20.8%	26.3%	8.0%	27.2%	23.9%
	სუსტად გამოხატული	23.8%	18.3%		26.4%	24.6%	22.0%	25.4%	24.1%
	საშუალოდ გამოხატულ	54.8%	40.4%	64.3%	44.7%	42.3%	52.0%	37.1%	41.4%
	მწვავედ გამოხატული		22.1%	14.3%	8.2%	6.9%	18.0%	10.3%	10.6%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	46.102 ^a	18	0.000
Likelihood Ratio	52.251	18	0.000
Linear-by-Linear Association	5.863	1	0.015
N of Valid Cases	1000		

a. 4 cells (14.3%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.48.

კვლევის შედეგების კროსტაბულაციური ანალიზით დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საშუალოდ გამოხატული შფოთვის დონე აქვთ იმ რესპონდენტების 50%,

რომელთა ოჯახის წევრი პერიოდულად დადის ემიგრაციაში, იმ რესპონდენტების 53.5%, რომელთა ოჯახის წევრი ახლა იმყოფება ემიგრაციაში არალეგალურად და 66.7% იმ რესპონდენტებისა, რომელთა ოჯახის წევრი ემიგრაციაში აპირებს წასვლას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 20%, რომელთა ოჯახის წევრი პერიოდულად დადის ემიგრაციაში, აქვს შფოთვის მწვავედ გამოხატული დონე. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.001$) იხ. ცხრილი N7.

ცხრილი N7. შფოთვის საზომ სკალაზე რესპონდენტების განაწილება ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab

% within

		ოჯახის რომელიმე წევრის ყოფნა ემიგრაციაში					Total
		პერიოდულად დადის	ახლა იმყოფება ლეგალ.	ახლა იმყოფება არალეგალ.	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს ემიგრაციაში წასვლას
შფოთვა	არ არის	10.0%	22.3%	16.3%	27.3%	29.0%	23.9%
	სუსტად გამოხატული	20.0%	20.4%	18.6%	26.1%	29.0%	23.8%
	საშუალოდ გამოხატული	50.0%	47.2%	53.5%	36.8%	33.0%	66.7%
	მწვავედ გამოხატული	20.0%	10.0%	11.6%	9.7%	9.0%	9.5%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	38.863 ^a	15	0.001
Likelihood Ratio	43.708	15	0.000
Linear-by-Linear Association	11.479	1	0.001
N of Valid Cases	997		

a. 2 cells (8.3%) have expected count less than 5. The minimum expected count is 2.21.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ შფოთვის საშუალოდ გამოხატული დონე აქვთ იმ რესპონდენტების 84.6 %-ს, რომელთა ოჯახის წევრი აპირებს ემიგრაციაში წასვლას, სუსტად გამოხატული შფოთვა აქვთ იმ რესპონდენტების 29.2%-ს და არანაირი შფოთვა არ აქვთ იმ რესპონდენტების 32.3%-ს, რომელთა ოჯახის წევრები არასდროს ყოფილან მიგრაციაში. მწვავედ გამოხატული შფოთვა აქვთ იმ რესპონდენტების 17.1%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც ახლა იმყოფებიან მიგრაციაში. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.000$). იხ ცხრილი N8.

ცხრილი N8. შფოთვის საზომ სკალაზე რესპონდენტების განაწილება ოჯახის წევრის მიგრაციაში ყოფნის მიხედვით

		ოჯახის რომელიმე წევრის ყოფნა მიგრაციაში (ქვეყნის შიგნით)					Total
		ახლა იმყოფება	პერიოდულად დადის	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს მიგრაციაში წასვლას	
შფოთვა	არ არის	20.2%	12.2%	24.8%	32.3%		23.9%
	სუსტად გამოხატული	18.1%	28.6%	24.9%	29.2%		24.0%
	საშუალოდ გამოხატული	44.6%	49.0%	41.0%	31.5%	84.6%	41.4%
	მწვავედ გამოხატული	17.1%	10.2%	9.3%	6.9%	15.4%	10.6%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

	Value	Df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	39.718 ^a	12	0.000
Likelihood Ratio	44.284	12	0.000
Linear-by-Linear Association	11.387	1	0.001
N of Valid Cases	999		

a. 3 cells (15.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.38.

კვლევის შედეგების კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სუსტი დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 37.9%-ს, რომლებიც ახლა ლეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, სუსტი დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 36.4%-ს და საშუალოდ მწვავე დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 21.2%-ს, რომლებიც პერიოდულად დადიან ემიგრაციაში. მწვავე დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 19%, რომლებიც ახლა იმყოფებიან ემიგრაციაში. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.000$). იხ. ცხრილი N9.

ცხრილი N9. დეპრესიის საზომ სკალაზე რესპონდენტების განაწილება ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

		ემიგრაციაში ყოფნა							Total
		დავდივარ რეგულარულად	ახლა ვიმყოფები ლეგალურად	ახლა ვიმყოფები არალეგალურად	არასდროს ვყოფილვარ	ყოფილვარ ლეგალურად	ყოფილვარ არალეგალურად	ვაპირებ წასვლას	
დეპრესია	არანაირი	3.0%	32.5%	14.3%	16.8%	7.4%	35.7%	18.8%	16.4%
	სუსტი დეპრესია	30.3%	20.0%	33.3%	33.3%	37.9%		15.6%	31.5%
	საშუალო დეპრესია	36.4%	27.5%	19.0%	30.1%	30.5%	35.7%	21.9%	29.5%
	საშუალოდ მწვავე დეპრესია	21.2%	12.5%	14.3%	11.2%	12.6%	14.3%	31.3%	13.1%
	მწვავე დეპრესია	9.1%	7.5%	19.0%	8.6%	11.6%	14.3%	12.5%	9.4%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	58.335 ^a	24	0.000
Likelihood Ratio	59.870	24	0.000
Linear-by-Linear Association	2.522	1	0.112
N of Valid Cases	999		

a. 11 cells (31.4%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.32.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სუსტი დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 50% და მწვავე დეპრესია აქვთ 28%, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ ეთნიკური ნიშნით დევნის გამო. საშუალო დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 36.6%-ს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ პოლიტიკური დევნის გამო. საშუალოდ მწვავე დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 21.2%-21.4%-ს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ მკურნალობისა და სწავლის გაგრძელების მიზნით. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.000$). იხ. ცხრილი N10.

ცხრილი N10. რესპონდენტების განაწილება დეპრესიის საზომ სკალაზე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზების მიხედვით

		საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზები						არ შეცვლილა	Total
		პოლიტიკური დევნის გამო	ეკონომიკური სიდუხჭირის გამო	სამკურნალოდ	სასწავლებლად	ცხოვ. პირობების გასაუმჯო.	ეთნიკური ნიშნით დევნის გამო		
დეპრესია	არანაირი	17.1%	15.4%	28.6%	8.1%	19.0%	10.0%	19.1%	16.5%
	სუსტი დეპრესია	26.8%	26.0%	14.3%	31.9%	31.0%	50.0%	31.8%	31.5%
	საშუალო დეპრესია	36.6%	25.0%	21.4%	34.4%	33.3%	12.0%	28.5%	29.3%
	საშუალოდ მწვავე დეპრესია	19.5%	21.2%	21.4%	20.0%	7.5%		11.6%	13.1%
	მწვავე დეპრესია		12.5%	14.3%	5.6%	9.2%	28.0%	9.0%	9.5%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	79.565 ^a	24	0.000
Likelihood Ratio	85.451	24	0.000
Linear-by-Linear Association	4.191	1	0.041
N of Valid Cases	999		

a. 7 cells (20.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.33.

კვლევის მონაცემების კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სუსტი დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 45%-ს, რომელთა ოჯახის წევრი არასდროს არ ყოფილა ემიგრაციაში, საშუალო დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 33.3%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც აპირებენ ემიგრაციაში წასვლას. საშუალოდ მწვავე დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 25.6%-ს და მწვავე დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 32.6%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც ახლა არააღსაფრთხილად იმყოფებიან ემიგრაციაში. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.000$). იხ. ცხრილი N11.

ცხრილი N11. რესპონდენტების განაწილება დეპრესიის საკვლევ სკალაზე ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

ოჯახის რომელიმე წევრი იმყოფება თუ არა ემიგრაციაში
(საზღვარგარეთ)

	პერიოდულად დადის	ახლა იმყოფება ლეგალ.	ახლა იმყოფება არალეგალ.	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს ემიგრაციაში წასვლას	Total
დეპრესია არანაირი	12.9%	14.9%	4.7%	18.0%	18.8%	23.8%	16.4%
სუსტი დეპრესია	24.3%	27.1%	23.3%	33.9%	45.5%	9.5%	31.6%
საშუალო დეპრესია	22.9%	37.5%	14.0%	28.1%	24.8%	33.3%	29.4%
საშუალოდ მწვავე დეპრესია	21.4%	15.2%	25.6%	10.7%	5.9%	19.0%	13.0%
მწვავე დეპრესია	18.6%	5.2%	32.6%	9.3%	5.0%	14.3%	9.5%
Total	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	86.779 ^a	20	0.000
Likelihood Ratio	79.363	20	0.000
Linear-by-Linear Association	11.827	1	0.001
N of Valid Cases	999		

a. 4 cells (13.3%) have expected count less than 5. The minimum expected count is 2.00.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არანაირი დეპრესია არ აქვს იმ რესპონდენტების 25.2%-ს, რომელთა ოჯახის წევრების არასდროს ყოფილან მიგრაციაში. სუსტი დეპრესია აქვს იმ რესპონდენტების 35.4%-ს, რომელთა ოჯახის წევრები პერიოდულად დადიან მიგრაციაში. საშუალო დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტთა 38.5%-ს და საშუალოდ მწვავე დეპრესია-30.8%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც აპირებენ მიგრაციაში

წასვლას. მწვავე დეპრესია აქვთ იმ რესპონდენტების 12.5%, რომელთა ოჯახის წევრებიც პერიოდულად დადიან მიგრაციაში. განსხვავებები სტატისტიკურად სანდოა ($X^2=0.008$). იხ. ცხრილი N12.

ცხრილი N12. რესპონდენტების განაწილება დეპრესიის საკვლევ სკალაზე ოჯახის წევრის მიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab

% within		ოჯახის რომელიმე წევრი იმყოფება თუ არა მიგრაციაში (ქვეყნის შიგნით)?					Total
		ახლა იმყოფება	პერიოდულად დადის	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს მიგრაციაში წასვლას	
დეპრესია	არანაირი	15.5%	4.2%	16.0%	25.2%	15.4%	16.5%
	სუსტი დეპრესია	26.9%	35.4%	33.1%	32.8%	15.4%	31.7%
	საშუალო დეპრესია	30.1%	33.3%	28.3%	31.3%	38.5%	29.4%
	საშუალოდ მწვავე დეპრესია	18.1%	14.6%	12.5%	4.6%	30.8%	12.9%
	მწვავე დეპრესია	9.3%	12.5%	10.1%	6.1%		9.4%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	32.799 ^a	16	0.008
Likelihood Ratio	36.530	16	0.002
Linear-by-Linear Association	7.615	1	0.006
N of Valid Cases	999		

a. 6 cells (24.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.22.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დისპოზიციური ოპტიმიზმის საშუალო დონე აქვთ იმ რესპონდენტების 33.3%-ს, რომლებიც პერიოდულად დადიან ემიგრაციაში; იმ რესპონდენტების 100%-ს, რომლებიც ახლა არაღეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, 85.4%-ს იმ რესპონდენტების, რომლებიც ახლა ლეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში და იმ რესპონდენტების 66.7%-ს, რომლებიც პერიოდულად დადიან ემიგრაციაში დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი დონე აქვთ. ცხრილი N13.

ცხრილი N13. რესპონდენტების განაწილება ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab

% within		ემიგრაციაში ყოფნა							Total
		დავდი- ვარ რეგულა- რულად	ახლა ვიმყო- ვები ლეგალუ- რად	ახლა ვიმყოფები არალეგა- ლურად	არას- დროს ვიმყოფ- ვარ	ვიყოფი- ლვარ ლეგალუ- რად	ვიყოფი- ლვარ არალეგა- ლურად	ვაპი- რებ წასვ- ლას	
ცხოვრების ორიენტაცია:	დაბალი დონე				2.3%	1.1%		6.3%	2.2%
დისპოზი- ციური ოპტიმიზმი	საშუალო დონე	33.3%	14.6%		17.9%	13.8%		12.7%	16.9%
	მაღალი დონე	66.7%	85.4%	100.0%	79.8%	85.1%	100.0%	81.0%	80.9%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	23.630 ^a	12	0.023
Likelihood Ratio	29.272	12	0.004
Linear-by-Linear Association	0.109	1	0.741
N of Valid Cases	999		

a. 8 cells (38.1%) have expected count less than 5. The minimum expected count is .31.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე, დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი მაჩვენებლები აქვთ იმ რესპონდენტების 90.5%-ს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი შეუცვლიათ პოლიტიკური დევნის გამო და 100%-ს იმ რესპონდენტებისა, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი სამკურნალოდ წასვლის გამო შეუცვლიათ. იხ. ცხრილი N14.

ცხრილი N14. რესპონდენტების განაწილება ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზების განსაზღვრის მიხედვით

Crosstab

% within		საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზები						Total	
		პოლიტიკური დევნის გამო	ეკონომიკური სიდუხჭირის გამო	სამკურნალოდ	სასწავლებლად	ცხოვ. პირობების გასაუმჯო.	ეთნიკური ნიშნით დევნის გამო		არ შეცვლილა
ცხოვრების ორიენტაცია:	დაბალი დონე		1.0%		2.5%	1.7%	8.0%	2.2%	2.2%
დისპოზიციური ოპტიმიზმი	საშუალო დონე	9.5%	13.5%		21.9%	15.5%	16.0%	17.8%	16.9%
	მაღალი დონე	90.5%	85.6%	100.0%	75.6%	82.8%	76.0%	80.0%	80.9%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	19.266 ^a	12	0.082
Likelihood Ratio	20.030	12	0.067
Linear-by-Linear Association	3.105	1	0.078
N of Valid Cases	999		

a. 7 cells (33.3%) have expected count less than 5. The minimum expected count is .31.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე, დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი მაჩვენებლები აქვთ იმ რესპონდენტების 87.0%-ს, რომელთა ოჯახის წევრი არასდროს ყოფილა ემიგრაციაში. იხ. ცხრილი N15.

ცხრილი N15. რესპონდენტების განაწილება ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab

% within ოჯახის რომელიმე წევრი იმყოფება თუ არა ემიგრაციაში (საზღვარგარეთ)?									Total
		პერიოდულად დადის	ახლა იმყოფება ლეგალ.	ახლა იმყოფება არალეგალ.	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს ემიგრაციაში წასვლას		
ცხოვრების ორიენტაცია: დისპოზიციური ოპტიმიზმი	დაბალი დონე	1.4%	1.1%	4.7%	2.6%	1.0%	9.5%	2.2%	
	საშუალო დონე	22.9%	17.8%	20.9%	15.4%	12.0%	33.3%	16.9%	
	მაღალი დონე	75.7%	81.0%	74.4%	82.0%	87.0%	57.1%	80.9%	
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	18.913 ^a	10	0.041
Likelihood Ratio	16.212	10	0.094
Linear-by-Linear Association	0.003	1	0.956
N of Valid Cases	997		

a. 5 cells (27.8%) have expected count less than 5. The minimum expected count is .46.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე, დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი მაჩვენებლები აქვთ იმ რესპონდენტების 82.1%-ს, რომელთა ოჯახის წევრი არ იმყოფება მიგრაციაში; საშუალო მაჩვენებლები აქვთ იმ რესპონდენტების 38.5%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც აპირებენ მიგრაციაში წასვლას. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ იმ რესპონდენტების 4.1%-ს, რომელთა ოჯახის წევრები ახლა არიან მიგრირებული. იხ. ცხრილი N16.

ცხრილი N16. რესპონდენტების განაწილება ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე ოჯახის წევრის მიგრაციაში ყოფნის მიხედვით.

Crosstab

% within ოჯახის წევრის ყოფნა მიგრაციაში (ქვეყნის შიგნით)

							Total
		ახლა იმყოფება	პერიოდულად დადის	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს მიგრაციაში წასვლას	
ცხოვრების ორიენტაცია: დისპოზიციური ოპტიმიზმი	დაბალი დონე	4.1%	2.0%	1.8%	1.5%		2.2%
	საშუალო დონე	18.1%	16.3%	16.2%	17.6%	38.5%	17.0%
	მაღალი დონე	77.7%	81.6%	82.1%	80.9%	61.5%	80.8%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	9.244 ^a	8	0.322
Likelihood Ratio	8.030	8	0.431
Linear-by-Linear Association	1.212	1	0.271
N of Valid Cases	999		

a. 5 cells (33.3%) have expected count less than 5. The minimum expected count is .29.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მედეგობის მაღალი დონე აქვთ იმ რესპონდენტების 28.6%-ს, რომლებიც არალეგალურად ყოფილან ემიგრაციაში, მედეგობის საშუალო დონე აქვთ იმ რესპონდენტების 85.7%-ს, რომლებიც ახლა ლეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, ხოლო მედეგობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ იმ რესპონდენტების 28.6%-ს, რომლებიც არალეგალურად ყოფილან ემიგრაციაში. იხ. ცხრილი N17.

ცხრილი N17

Crosstab

% within ემიგრაციაში ყოფნა

		დავდივარ რეგულარულად	ახლა ვიმყოფები ლეგალურად	ახლა ვიმყოფები არალეგალურად	არასდროს ვყოფილვარ	ყოფილვარ ლეგალურად	ყოფილვარ არალეგალურად	ვაპირებ წასვლას	Total
მედეგობა	დაბალი დონე	31.3%	23.8%	14.3%	25.4%	21.1%	28.6%	26.6%	25.0%
	საშუალო დონე	65.6%	54.8%	85.7%	65.3%	70.5%	42.9%	67.2%	65.6%
	მაღალი დონე	3.1%	21.4%		9.3%	8.4%	28.6%	6.3%	9.4%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	21.843 ^a	12	0.039
Likelihood Ratio	20.931	12	0.051
Linear-by-Linear Association	0.004	1	0.950
N of Valid Cases	1001		

a. 5 cells (23.8%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.31.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მედეგობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ იმ რესპონდენტების 28.6%-ს და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ იმ რესპონდენტების 32.5%, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი სასწავლებლად წასვლის გამო შეუცვლიათ. მედეგობის საშუალო დონე აქვთ იმ რესპონდენტთა 81.0%-ს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი პოლიტიკური ნიშნით დევნის გამო შეუცვლიათ. იხ. ცხრილი N18.

ცხრილი N18. რესპონდენტების განაწილება მედეგობის საკვლევ სკალაზე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თვალსაზრისით

Crosstab
% within

		საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზი							Total
		პოლიტი- კური დევნის გამო	ეკონომი- კური სიდუხ- ჭირის გამო:	სამკურნა- ლოდ	სასწავლე- ბლად	ცხოვ- პირობების გასაუმჯო.	ეთნიკური ნიშნით დევნის გამო	არ შეცვლილა	
მედე- გობა	დაბალი დონე	14.3%	23.8%	7.1%	32.5%	21.1%	32.0%	24.6%	24.9%
	საშუალო დონე	81.0%	70.5%	64.3%	62.5%	65.1%	64.0%	64.6%	65.6%
	მაღალი დონე	4.8%	5.7%	28.6%	5.0%	13.7%	4.0%	10.8%	9.5%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

Chi-Square Tests

	Value	df	Asymptotic Significance (2-sided)
Pearson Chi-Square	28.681 ^a	12	0.004
Likelihood Ratio	28.574	12	0.005
Linear-by-Linear Association	0.206	1	0.650
N of Valid Cases	1001		

a. 4 cells (19.0%) have expected count less than 5. The minimum expected count is 1.33.

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მედეგობის მაღალი დონე აქვთ იმ რესპონდენტების 11.9%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც ახლა ლეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში. საშუალო დონე აქვთ მედეგობის იმ რესპონდენტების 75%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც არასდროს ყოფილან ემიგრაციაში, ხოლო მედეგობის ყველაზე დაბალი დონე აქვთ იმ რესპონდენტების 57.1%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც ემიგრაციაში აპირებენ წასვლას. იხ. ცხრილი N19.

ცხრილი N19. რესპონდენტების განაწილება მედეგობის საკვლევ სკალაზე ოჯახის წევრების ემიგრაციაში ყოფნის მიხედვით

Crosstab

% within		ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნა						Total
		პერიოდულად დადის	ახლა იმყოფება ლეგალ	ახლა იმყოფება არალეგალ	არ იმყოფება	არასდროს ყოფილა	აპირებს ემიგრაციაში წასვლას	
მედეგობა	დაბალი დონე	30.0%	27.1%	38.6%	22.4%	15.0%	57.1%	24.9%
	საშუალო დონე	60.0%	61.0%	56.8%	68.9%	75.0%	42.9%	65.7%
	მაღალი დონე	10.0%	11.9%	4.5%	8.7%	10.0%		9.4%
Total		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

კროსტაბულაციური ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ იმ რესპონდენტების 28%-ს, რომელთა ოჯახის წევრები ახლა იმყოფებიან მიგრაციაში, აქვთ მედეგობის დაბალი მაჩვენებელი. იმ რესპონდენტების 75.5%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც პერიოდულად დადიან მიგრაციაში აქვთ მედეგობის საშუალო მაჩვენებელი. ხოლო, იმ რესპონდენტების 11.1%-ს, რომელთა ოჯახის წევრებიც არ იმყოფებიან მიგრაციაში, აქვთ მედეგობის მაღალი მაჩვენებელი.

იმის დასადგენად, ვლინდებოდა თუ არა გამოყენებულ სკალებზე განსხვავებები იძულებით გადაადგილებულობის ნიშნის მიხედვით, გამოვლინდა, რომ შფოთვის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია აფხაზეთიდან (M= 20.10; SD= 6.21) და შიდა ქართლიდან (M=20.34; SD=7.10) იძულებით გადაადგილებულ პირებთან არაიძულებით გადაადგილებულ (M= 19.55; SD= 6.20) პირებთან შედარებით. დეპრესიის საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალია არაიძულებით გადაადგილებულ პირებთან (M=11.18; SD=5.97), აფხაზეთიდან დევნილ (M= 9.76; SD= 6.04) და შიდა ქართლიდან დევნილ (M=10.32; SD= 6.17) პირებთან შედარებით. დისპოზიციური ოპტიმიზმი უფრო მაღალია აფხაზეთიდან (M=25.21; SD=5.32) და შიდა ქართლიდან (M=25.00; SD=5.95) დევნილ პირებთან, არაიძულებით გადაადგილებულ (M= 24.96; SD= 5.68) პირებთან შედარებით.

მედეგობის საშუალო ქულა თანაბარია აფხაზეთიდან (M=76.08; SD= 19.39) და შიდა ქართლიდან (M= 76.05; SD= 18.90) იძულებით გადაადგილებულ პირებთან და მცირედ დაბალია არაიძულებით გადაადგილებულ პირებთან (M= 72.91; SD= 19.13).

ცხრილი N20. კორელაციური ანალიზი

		შფოთ ვა	დეპრე სია	ცხოვრ ების ორიენ ტაცია	მედევობა (ჩართულობა)	მედევობა (კონტროლი)	მედევობა (რისკის მიღება)	მედევ ობა
შფოთვა	Pearson Correlation	1	.626**	-.286**	-.453**	-.400**	-.411**	-.482**
	Sig. (2-tailed)		0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
დეპრესია	Pearson Correlation	.626**	1	-.431**	-.703**	-.536**	-.506**	-.683**
	Sig. (2-tailed)	0.000		0.000	0.000	0.000	0.000	0.000
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
ცხოვრების ორიენტაციის სკალა	Pearson Correlation	-.286**	-.431**	1	.658**	.572**	.529**	.679**
	Sig. (2-tailed)	0.00	0.00		0.00	0.00	0.00	0.00
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
მედევობა (ჩართულობა)	Pearson Correlation	-.453**	-.703**	.658**	1	.718**	.611**	.927**
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000		0.000	0.000	0.000
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
მედევობა (კონტროლი)	Pearson Correlation	-.400**	-.536**	.572**	.718**	1	.622**	.888**
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000	0.000		0.000	0.000
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
მედევობა (რისკის მიღება)	Pearson Correlation	-.411**	-.506**	.529**	.611**	.622**	1	.797**
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000	0.000	0.000		0.000
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
მედევობა	Pearson Correlation	-.482**	-.683**	.679**	.927**	.888**	.797**	1
	Sig. (2-tailed)	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	
	N	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000

** Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

დასკვნა

კვლევის მიზნის შესაბამისად, შესწავლილიყო იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მიგრაციული პროცესები, მიღებული მონაცემების ანალიზისა და დამუშავების საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ:

- შფოთვის საშუალოდ გამოხატული მაჩვენებელი აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევნილ მოსახლეობასთან უფრო მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.
- დეპრესიის საშუალო მაჩვენებელი მცირედ მაღალია შიდა ქართლიდან დევნილ რესპონდენტებთან.
- ცხოვრების ორიენტაციის საკვლევ სკალაზე დისპოზიციური ოპტიმიზმი აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტებთან მცირედ მაღალია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.
- კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტს მედეგობის საშუალო მაჩვენებელი აქვს.
- საშუალოდ გამოხატული შფოთვა უფრო მაღალია იმ რესპონდენტებთან, რომლებიც რეგულარულად დადიან ემიგრაციაში, ხოლო მწვავედ გამოხატული შფოთვა უფრო მეტად გამოვლინდა იმ რესპონდენტებთან, რომლებიც არაღრმად ყოფილან ემიგრაციაში.

- გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს, რომლებიც ემიგრაციაში მკურნალობის, პოლიტიკური ან ეთნიკური ნიშნით დევნის გამო ყოფილან, საშუალოდ გამოხატული შფოთვის დონე აღენიშნებათ. გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის მესამედს, რომლებიც ემიგრაციაში ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ყოფილან, შფოთვის მწვავედ გამოხატული დონე გამოუვლინდათ.
- კვლევის მონაწილეთა ნახევარზე მეტს, რომელთა ოჯახის წევრები ემიგრაციაში იმყოფებიან ან აპირებენ წასვლას, შფოთვის საშუალოდ გამოხატული დონე აღენიშნებათ. შფოთვის მწვავედ გამოხატული დონე უფრო მეტად გამოვლინდა იმ რესპონდენტებთან, რომელთა ოჯახის წევრებიც ემიგრაციაში პერიოდულად დადიან.
- რესპონდენტთა თითქმის უმრავლესობას, რომელთა ოჯახის წევრიც ემიგრაციაში წასვლას აპირებს, საშუალოდ გამოხატული შფოთვის დონე გამოუვლინდათ. შფოთვა არ აღენიშნება იმ რესპონდენტთა მესამედს, რომელთა ოჯახის წევრი არასდროს ყოფილა მიგრირებული.
- მწვავე დეპრესია უფრო მეტად გამოიკვეთა იმ რესპონდენტებთან, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე იმყოფებიან ან პერიოდულად დადიან ემიგრაციაში.
- მწვავე დეპრესია აღენიშნება კვლევის მონაწილეთა მესამედს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი ეთნიკური ნიშნით დევნის გამო შეუცვლიათ. საშუალოდ მწვავე დეპრესია უფრო მეტად გამოვლინდა იმ რესპონდენტებთან, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი მკურნალობისა და სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით შეუცვლიათ.
- რესპონდენტთა თითქმის ნახევარს, რომელთა ოჯახის წევრები არასდროს ყოფილან ემიგრაციაში სუსტი დეპრესია აქვთ, ხოლო კვლევის მონაწილეთა მესამედს, რომელთა ოჯახის წევრები მიმდინარე ეტაპზე არალეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, მწვავე დეპრესია აღენიშნებათ.
- კვლევის მონაწილეთა მესამედს, რომელთა ოჯახის წევრებიც პერიოდულად დადიან ემიგრაციაში, სუსტი დეპრესია აღენიშნებათ, ხოლო საშუალოდ მწვავე დეპრესია გამოვლინდა იმ რესპონდენტებთან, რომელთა ოჯახის წევრებიც გეგმავენ ემიგრაციაში წასვლას.
- რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს, რომლებიც ლეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, რომლებიც პერიოდულად დადიან ემიგრაციაში და რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც ახლა არალეგალურად იმყოფებიან ემიგრაციაში, დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი დონე გამოუვლინდათ.
- დისპოზიციური ოპტიმიზმი მაღალია იმ რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობასთან, რომლებსაც მკურნალობის მიზნით შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი.
- იმ რესპონდენტების უმრავლესობას, რომელთა ოჯახის წევრი არასდროს ყოფილა ემიგრაციაში, დისპოზიციური ოპტიმიზმის მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებათ.
- დისპოზიციური ოპტიმიზმი მაღალია იმ რესპონდენტებთან, რომელთა ოჯახის წევრი არ იმყოფება ემიგრაციაში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღენიშნებათ იმ რესპონდენტებს, რომელთა ოჯახის წევრებიც ამჟამად არიან მიგრირებული.
- მედეგობა ყველაზე დაბალია იმ რესპონდენტების მესამედთან, რომლებსაც სასწავლებლად გამგზავრების თვალსაზრისით შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი. მედეგობის საშუალო მაჩვენებელი გამოვლინდა იმ რესპონდენტების უმრავლესობასთან, რომლებსაც პოლიტიკური ნიშნით დევნის გამო შეუცვლიათ საცხოვრებელი ადგილი.

- იმ რესპონდენტების ნახევარზე მეტს, რომელთა ოჯახის წევრიც ემიგრაციაში წასვლას აპირებს, მედეგობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოუვლინდათ.
- იმ რესპონდენტების მესამედს, რომელთა ოჯახის წევრებიც ახლა იმყოფებიან მიგრაციაში, მედეგობის დაბალი მაჩვენებელი აღენიშნებათ. რესპონდენტთა უმეტეს ნაწილს კი, რომელთა ოჯახის წევრებიც მიგრაციაში პერიოდულად დადიან, მედეგობის საშუალო მაჩვენებელი აქვთ.
- ასაკის, სქესის, განათლებისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა.
- კორელაციური და ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკვლევ სკალებს შორის არსებობს მაღალი კორელაცია. კერძოდ, შფოთვისა და დეპრესიის მაღალი მაჩვენებლები კავშირშია დისპოზიციური ოპტიმიზმისა და მედეგობის დაბალ მაჩვენებლებთან.

ბიბლიოგრაფია

1. სოლომონია, თინა. ფანჯიკიძე, მარიამ. მაცაშვილი, თეკლე. დარჩია, სესილი. ქარელი, თინათინ. სირაძე, ნინო. ფსიქოლოგიური კრიზისული ინტერვენციის გზამკვლევი. ღია საზოგადოება საქართველო, 2023;
2. ფანჯიკიძე, მარიამ. პოსტტრავმული ზრდის, ოჯახის ფუნქციონირების და ემოციური ინტელექტის ურთიერთმიმართება. (2008 წლის ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული ოჯახების მაგალითზე). თსუ [დისერტაცია], 2014;
3. ქოქოსაძე, ნინო. ლორთქიფანიძე, ქრისტინე. უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2023;
4. Briere, Judith. Elliott, Diane M. Prevalence, characteristics, and factors associated with sexual assault in the refugee population: A systematic review. *Journal of Traumatic Stress*, 27(2), 2014;
5. Connor, Katherine M., Davidson, John R. T. Development of a new resilience scale: The Connor-Davidson Resilience Scale (CD-RISC). *Depression and Anxiety*, 18(2), 2003;
6. Davydov, Dmitry M., Stewart, Robert., Ritchie, Karen., Chaudieu, Isabelle. Resilience and mental health, *Clinical Psychology Review*, Volume 30, Issue 5, 2010;
7. Hofer, Michael. A. Psychobiological perspectives on the development of resilience. *Annals of the New York Academy of Sciences*, 2006;
8. Fazel, Mohammad. Von Hoebel, Jan. Luntamo, Tiina. The mental health of refugees and asylum seekers: A systematic review of the literature. *Psychiatry Research*, 199(3), 2012;
9. Hassan, Ghazi. et. al. Psychological distress among Syrian refugees in Jordan: A cross-sectional study. *Journal of Affective Disorders*, 190, 2016;
10. Kirmayer, Laurence Jacques. Pinder, Kim. *Cultural Psychiatry: A Handbook for Mental Health Professionals*. Wiley-Blackwell, 2011;
11. Lindert, Jürgen., Vasquez, Maria. Luisa., Heinz, Andreas. & Nocon, Michael. Mental health of refugees: A review of the literature. *Journal of Affective Disorders*, 148(1), 2013;
12. López, Raquel M., O'Rourke, Andrew James. Understanding the role of social support in the mental health of migrants: A systematic review. *Psychiatry Research*, 229(1-2), 2015;
13. Miller, Kenneth Edwad., Rasco, Linda Marie. The psychological wellbeing of refugees: A meta-analysis of studies on the psychological health of refugees. *Social Science & Medicine*, 59(1), 2004;
14. Mastrorillo, Marco. *Mental Health and Psychosocial Support for Refugees and Displaced Persons*. Cambridge University Press, 2016;
15. Schmidt, Hans. Melchior, Mathilde. Life satisfaction among refugees: The role of acculturation and perceived discrimination. *International Journal of Intercultural Relations*, 43, 2014;
16. Silove, Derrick. Steel, Zachary. *The Impact of Armed Conflict on Mental Health*. Cambridge University Press, 2006.

გარემოსდაცვითი გამოწვევები და მედიის როლი

თინათინ ზაქარაშვილი

დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

თამარ ნარინდოშვილი

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რუსუდან მაჩაიძე

დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

კვლევაში „გარემოსდაცვითი გამოწვევები და მედიის როლი“ გაანალიზებულია მედიის მნიშვნელობა გლობალური გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაში, ყურადღება მახვილდება მდგრადი განვითარების საჭიროებაზე, როგორც ეს ასახულია გაეროს მიერ 2030 წლისთვის განსაზღვრულ მიზნებში. ნაშრომში, მედიის ეფექტური გაშუქების აქტუალობის საილუსტრაციოდ, განხილული იქნება კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების მნიშვნელოვანი გავლენა ისეთ მოვლენებზე, როგორცაა 2023 წელს მომხდარი მეწყერი შოვში, წყალდიდობა გურიაში და აფეთქება კახოვკის ჰიდროელექტროსადგურზე. სტატია განსაზღვრავს მედიის როლს საზოგადოების ინფორმირებაში კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი კრიზისების შესახებ, გამოავლენს ხარვეზებს გაშუქებაში და მედიის ტენდენციას, რომ ფოკუსირება მოახდინოს უკვე მომხდარ ტრაგედიაზე და არა პრევენციულ ზომებზე. დარგის ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან ჩატარებული ჩადრმავეებული ინტერვიუებით და საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფის გამოკითხვით, კვლევა ცხადყოფს გარემოსდაცვით საკითხებზე უფრო სრულყოფილი, ზუსტი და პრევენციული გაშუქების აუცილებლობას. რეკომენდაციები მოიცავს ჟურნალისტებისათვის ტრენინგების ორგანიზებას, საჯარო განათლების გაუმჯობესებას და მედიის სპეციფიკური სტანდარტების შემუშავებას მოქნილი კომუნიკაციისა და საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების უკეთ გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, გარემოსდაცვითი გამოწვევები, მედიის როლი, მედიის სტანდარტები, საზოგადოების ინფორმირებულობა, გარემოსდაცვითი განათლება

შესავალი

გარემოსდაცვითი პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების ძიება მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. გაეროს მთავარი ამოცანა მდგრადი განვითარების მიღწევას, რაც გარემოში დანაკარგების გარეშე ეკონომიკური სარგებლის მიღებას გულისხმობს. მდგრადი განვითარება დღეს ის ფუნდამენტი არის, რომლის მიღწევის შემთხვევაშიც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლები

გარემოსდაცვითი პრობლემების ფონზე. 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. დღის წესრიგი 17 მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს.¹

ამ მხრივ ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია კლიმატის ცვლილება, ე.წ. გლობალური დათბობა და განვითარებული ბუნებრივი კატასტროფები, მათ შორის, საქართველოში რაჭასა (შოვი) და გურიაში მომხდარი სტიქიური უბედურებები, ასევე, რუსეთ-უკრაინის ომის დროს კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის აფეთქება, რის შედეგადაც გამოწვეულმა კატასტროფამ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. გარემოსდაცვით გამოწვევებთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი განათლება და, ამ პროცესებში, მედიის როლი. მედიამ, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაზე დიდი ეფექტი იქონიოს, გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზება უნდა მოახდინოს. ინფორმაციულ ერაში მედიას უდიდესი როლი ენიჭება, რადგან შეუძლია დროული და ზუსტი ცნობები მიაწოდოს აუდიტორიას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. მედიის ამ უპირატესობის გათვალისწინებით, არსებით მნიშვნელობას იძენს გარესმოდაცვით საკითხებში მისი დროული და ადეკვატური ჩართულობა. გარემოსდაცვითი საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე კი, მნიშვნელოვანია, მედიაში შემუშავდეს აღნიშნული პრობლემატიკის გაშუქების გარკვეული სტანდარტები და გაირკვეს, რა ხარვეზები არსებობს შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სწორედ ამიტომ, საინტერესოა დარგის ექსპერტების, მედიის წარმომადგენლებისა და აუდიტორიის შეხედულება და აზრი იმის შესახებ, თუ როგორ/რამდენად კომპეტენტურად და რელევანტურად ამუშავებს ქართული მედია აღნიშნულ თემებს - უთმობს თუ არა სათანადო ყურადღებას და წარმოაჩენს თუ არა მათ, როგორც მნიშვნელოვან გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემას.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია მედიის როლის სიღრმისეულად წარმოჩენა გარემოსდაცვითი პროცესების გაშუქებისას და აღნიშნულის მედიაში აქტუალიზება; საკითხის გარშემო გარკვეული მედიასტანდარტების შემუშავება და არსებული ნორმების შესრულების ხარისხის დადგენა; ეკოლოგიის სფეროში მომუშავე ექსპერტების რეკომენდაციების გაზიარება, გარემოსდაცვით საკითხებზე მედიის წარმომადგენლების მოსაზრებების და აუდიტორიის დამოკიდებულების წარმოჩენა. დასახული მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია ექსპერტებთან და მედიის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით და საზოგადოების განწყობის შესწავლით, გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში, დარგის სპეციალისტებთან/ეკოლოგიის თემაზე მომუშავე ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები საკითხის გარშემო მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა საკვლევი შეკითხვები:

1. რა როლი აქვს მედიას გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაში;
2. ექსპერტების და მედიის წარმომადგენლების შეფასებით, რა მთავარი გამოწვევები არსებობს გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას;
3. რა არის საზოგადოების მთავარი დაკვეთა გარემოსდაცვით გამოწვევებთან და ამ საკითხების მედიაში გაშუქებასთან დაკავშირებით.

შემუშავდა საკვლევი ჰიპოთეზა:

¹ „მდგრადი განვითარების მიზნები“, გაერო საქართველოში, https://ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals [უ. გ. 10.10.2024].

1. გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაში მედიის, როგორც დიდი გავლენის მქონე ინსტრუმენტის, როლი იმაზე მეტად არის გადამწყვეტი, ვიდრე საკითხის ტირაჟირების რაოდენობაში ჩანს.
2. გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას, მედია, სტიქიური მოვლენის პირველ ეტაპზე, ყურადღებას, ძირითადად, ტრაგედიაზე ამახვილებს, ხოლო პრობლემას პრევენციულ დონეზე ნაკლებად უთმობს დროს.

გარემოს დაცვა არაერთ მიმართულებას მოიცავს, კვლევაში აქცენტი კეთდება გლობალურ გამოწვევებზე, მათ შორის კლიმატის ცვლილებაზე, რაჭაში მომხდარ სტიქიურ უბედურებებსა და, ასევე, ახალ კახოვკაში ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებაზე, რომელიც ამ დროისთვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ამ მაგალითების საფუძველზე კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის მიზანია, დადგინდეს ეკოლოგიის საკითხების გაშუქების სტანდარტები მედიაში, ასევე, გამოირკვეს საზოგადოების დამოკიდებულება მედიის მიმართ გლობალური გარემოსდაცვითი გამოწვევების ფონზე. კატასტროფების დროს მოქალაქეები მიჯაჭვულნი ხდებიან მედიაზე და საინტერესოა, რამდენად დროულ და ზუსტ ინფორმაციას იღებენ. განსაკუთრებით კი, როგორ აფასებენ ამ პროცესს გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე დარგის სპეციალისტები.

1. გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემები

საკმაოდ ვრცელია გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების ჩამონათვალი, რაც ჩვენს თანამედროვეობაში იჩენს თავს, მათ შორის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია კლიმატის ცვლილება, ე.წ. გლობალური დათბობა. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ასევე, ხეტყის/მწვანე საფარის განადგურება, წყლის, გარემოს, ჰაერის დაბინძურება, მავნე ნარჩენები, რასაც სტიქიური მოვლენები ემატება. კვლევის ძირითად ნაწილში აუცილებლად იქნება ხაზგასმული თითოეული პრობლემის გავლენა გარემოზე. ცხადია, აღნიშნულ კვლევაში ვერ გაანალიზდება ყველა ის საკითხი, რომელიც ეკოლოგიას უკავშირდება, თუმცა, აუცილებელია რამდენიმე მათგანზე ძირითადი ინფორმაცია იქნას წარმოდგენილი.

გლობალური დათბობა დღესდღეობით არის ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი პრობლემა, რომლის გარშემო არ წყდება კამათი და დისკუსია.² გლობალური დათბობა შეიძლება განიმარტოს, როგორც დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის უწყვეტი ზრდის პროცესი.³ ნაშრომში „კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობის საფრთხე“ ავტორი აღნიშნავს, რომ გლობალური დათბობის პროცესზე მიუთითებს მსოფლიო ოკეანის დონის აწევა, ასევე თოვლისა და ყინულის საფარის დნობა არქტიკაში.

სათბურის ეფექტი, რომელსაც მოიხსენიებენ როგორც გლობალურ დათბობას ან კლიმატის ცვლილებას, გულისხმობს მეტეოროლოგიური პირობების - ტემპერატურის, ნალექების, ტენიანობის და სხვა მეტეოროლოგიური მახასიათებლების ცვლილებას დროის ხანგრძლივ პერიოდში.⁴ აღნიშნული პროცესების შედეგი კი გარემოპირობების ცვლილება შეიძლება

² Drake, F., „Global Warming“, London, 2014, <https://www.taylorfrancis.com/books/mono/10.4324/9780203785041/global-warming-frances-drake> [უ. გ. 10.10.2024].

³ ხატიაშვილი, თ., „კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობის საფრთხე“, თსუ, 2020.

⁴ კლიმატის ცვლილება, გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები, 2021, https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_ee_climate-change_publication-for-media_2021_geo.pdf [უ. გ. 10.10.2024].

იყოს. გარემო, შესაძლოა, გახდეს უფრო თბილი, მშრალი ან ტენიანი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კლიმატი დედამიწაზე მუდმივად იცვლებოდა, თუმცა, ბოლო 150 წლის განმავლობაში ის სწრაფი ტემპით იცვლება.

საინტერესოა, თუ როგორ შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში კლიმატი საქართველოში. პუბლიკაციაში „კლიმატის ცვლილება, ზემოქმედება, ადაპტაცია“⁵ აღნიშნულია, რომ 1986-2015 წლებში საქართველოში ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 1956-1985 წლებთან შედარებით, თითქმის ყველგან მომატებულია და ეს მატება საშუალოდ 0.25-0.58°C ფარგლებში მერყეობს. როგორც ზემოთ აღინიშნა, გლობალური დათბობის თანმდევი მახასიათებელია ნალექის რეჟიმის ცვლილება, რაც საქართველოშიც ვლინდება. გასული 30 წლის განმავლობაში ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში 5-15%-ით გაიზარდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - დაახლოებით, იგივე პროპორციულობით შემცირდა. ამ ყველაფრის შედეგად კი, საქართველოში ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირე და ინტენსივობა იზრდება, რასაც, შესაძლოა, ბუნებრივი კატასტროფები მოჰყვეს. მოსალოდნელია, ასევე, შემცირდეს მყინვარების ფართობები და რაოდენობა, გააქტიურდეს გაუდაბნოების პროცესი, მოხდეს ტყის დეგრადაცია, გაიზარდოს სითბური ტალღების სიხშირე, რაც უკიდურესად ცხელ ამინდს გულისხმობს.⁶

სათბურის ეფექტი, იგივე გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება, პლანეტაზე მცხოვრებ თითოეულ ადამიანს ეხება – ფიქსირდება ტემპერატურის მატება (G20 and Climate Change). გლობალური დათბობის საკითხის გააქტიურების შემდეგ სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა: რა გავლენას ახდენს ის ბიომრავალფეროვნებაზე და როგორია პროგნოზები?⁷

ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევაში, შესაძლოა საუბარი იყოს გადაშენებაზე, რაც დედამიწის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გადაშენებად შეიძლება ჩაითვალოს.⁸

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ გლობალურ დათბობას გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკაზე, რ. თოლის აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გავლენა ნეგატიური იქნება. მკვლევრის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად რთული გასაზომია გავლენა, მაინც შესაძლებელია მისი დადასტურება.⁹

წინა პლანზე წამოწეული კლიმატის ცვლილების თემა მსოფლიო მედიაშიც აისახა. მედიის მკვლევრები დაინტერესდნენ, რამდენად თანაფარდობითი იყო, მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის მედიაში გაშუქება დარა აქცენტები გაკეთდა თემის ირგვლივ.

კლიმატის ცვლილებების გაშუქების შესახებ საკმაოდ მასშტაბური კვლევა აქვთ ჩატარებული მაქს ბოიკოფსა და ტიმონს რობერტს.¹⁰ მკვლევრებმა შეისწავლეს 17 ქვეყნის 40

⁵ UNDP საქართველო, „კლიმატის ცვლილება, ზემოქმედება, ადაპტაცია“, 2021.

<https://www.undp.org/ka/georgia/publications/klimatis-tsvlileba-zegavlina-adaptatsia> [უ. გ.10.10.2024].

⁶ იბ. სქოლიო 4.

⁷ Botkin, D. B., Saxe, H., Araújo, M.B., Betts, R., Bradshaw, R. H. W., Cedhagen, T., Chesson, P., Dawson, Terry P., Etterson, J. R., Faith, D. P., Ferrier, S., Guisan, A., Hansen, A. S., Hilbert, D. W., Loehle, C., Margules, Ch., New, M., Sobel, M. J., Stockwell D., “Forecasting the Effects of Global Warming on Biodiversity, 2007, <https://academic.oup.com/bioscience/article/57/3/227/268444> [უ. გ.10.10.2024].

⁸ Bellard, C., Bertelsmeier, C., Leadley, P., Thuiller, W., Courchamp, F., “Impacts of climate change on the future of biodiversity”, *Ecology Letters* 15, 2012, 365-377, <https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/j.1461-0248.2011.01736.x> [უ. გ.10.10.2024].

⁹ Tol R., “The Economic Impacts of Climate Change”, Volume 23, # 2, 2009, pp. 29-51, <https://pubs.aeaweb.org/doi/pdfplus/10.1257/jep.23.2.29> [უ. გ.10.10.2024].

¹⁰ Boykoff, M.T., Roberts J.T., “Media Coverage of Climate Change: Current Trends, Strengths, Weaknesses”, https://www.researchgate.net/publication/228637999_Media_coverage_of_climate_change_Current_trends_strengths_weaknesses [უ. გ.10.10.2024].

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები და მიმოიხილეს, თუ რა დამოკიდებულებები არსებობდა და რა აქტივობები ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში საკითხის გარშემო. შესწავლილ ქვეყნებს შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ჰონდურასი, მოზამბიკი, იამაიკა, შრილანკა და ზამბია. ნაშრომში საუბარია მედიის როლზე მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებისას, მათ შორის არის კლიმატის ცვლილება.

კვლევამ ცხადყო, რომ სათბურის ეფექტის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში 1988–2006 წლამდე მედია ყოველწლიურად, აქტიურად ამზადებდა მასალებს, ბოლო წლებში კი მათმა რაოდენობამ უფრო მოიმატა. ე.წ. გლობალური დათბობის - სათბურის ეფექტის საკითხის გააქტიურებისას, მეცნიერებმა დღის წესრიგში ადაპტაციის თემა შემოიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ 1988-1990 წლებში მედია ინტენსიურად აშუქებდა კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციას, ადაპტაციის საკითხს თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. ამას მოწმობს აღნიშნულ სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საგაზეთო მასალები ამერიკის შეერთებულ შტატებისა და დიდი ბრიტანეთში - პუბლიკაციათა მხოლოდ 1% დაეთმო ამ თემას. 3293 სტატიიდან, რომელიც კლიმატის ცვლილებას ეხებოდა, მხოლოდ 0.9% მიეძღვნა ადაპტაციის საკითხს. მკვლევრებმა მიმოიხილეს შემდეგი ბეჭდური მედიები: ლოს ანჯელეს თაიმსი, ნიუ იორკ თაიმსი, USA თუდეი, ვოლ სტრიტ ჯორნალი, ვაშინგტონ პოსტი, გარდიანი, ინდენფენდენტი, თაიმსი და ფაინენშალ თაიმსი.¹¹

გლობალური დათბობის საკითხს, დღის წესრიგში შემოტანისა და თემის გააქტიურებისას, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პოლიტიკურ პროცესებშიც. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯორჯ ბუშის 1988 წლის საპრეზიდენტო კამპანია. ბუშის საარჩევნო კამპანიაში გლობალური დათბობის საკითხს გარკვეული ყურადღება ეთმობოდა.¹²

გარემოსდაცვის პრობლემებზე საუბრისას ამოსავალი წერტილი ადამიანის საქმიანობა და გარემოზე მისი ზემოქმედებაა. სტიუარტ ალანი, ბარბარა ადამი და სინტია კარტერი¹³ გარემოსდაცვითი რისკებისა და მედიის შესახებ საუბრისას, საზოგადოების დამოკიდებულებებზე აკეთებენ აქცენტს. ავტორები, საკითხის განხილვისას, ულრიხ ბეკის შეხედულებებს აანალიზებენ და განმარტავენ – სანამ ჩვენ ვფიქრობთ გლობალურ დათბობაზე, ოზონის შრის რღვევასა თუ სხვა პრობლემებზე, ბუნება დაბინძურებულია სწორედ ადამიანების აქტივობით. ისინი შეგვახსენებენ, ასევე, რომ ულრიხ ბუკი ხაზს უსვამდა ბუნების და კულტურის ერთმანეთთან გაიგივებას. ფაქტობრივად მიუთითებდა, რომ, როდესაც ბუნებაზე ვსაუბრობთ, ესე იგი ვსაუბრობთ კულტურაზე და პირიქით. რომ ბუნება, თავისი მრავალმხრივი კონტექსტით, მრავალფეროვანია და შესაძლოა, იცვლებოდეს საზოგადოების მიდგომების შესაბამისად.

ვინაიდან გლობალური დათბობის პროცესის დაჩქარებას პირდაპირ უკავშირებენ ადამიანის საქმიანობას, ანთროპოგენურ ზემოქმედებას (სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი), მნიშვნელოვანია ამ თემაზე საზოგადოების ინფორმირება და მათი ცნობიერების ამაღლება, რაც მედიის მნიშვნელოვანი ფუნქცია არის.

¹¹ იხ. სქოლიო 10.

¹² Peterson, C., "Experts, OMB spar on global warming: 'greenhouse effect' may be accelerating, scientists tell hearing", The Washington Post, 1989, A1 9 May, <https://www.lyellcollection.org/doi/full/10.1144/sp305.3?frame=sidebar> [უ. გ. 10.2024].

¹³ Adam, B., Allan, S., Carter, C., „Environmental risks and the media“, London: UCL, 2000, https://api.pageplace.de/preview/DT0400.9781134610938_A24508027/preview-9781134610938_A24508027.pdf [უ. გ. 10.10.2024].

2. მედიის როლი გარემოსდაცვით განათლებაში

მაშინ, როცა ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობაზე საუბარი, კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ რამდენად დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მედიას ამ მიმართულებით. მას მძლავრი ბერკეტი გააჩნია, მიაწოდოს საზოგადოებას ადეკვატური ინფორმაცია და განსაზღვროს მოსახლეობის დღის წესრიგი, მიმართოს საზოგადოების ყურადღება მისთვის სასურველ თემებზე და შეცვალოს კიდევ საზოგადოებრივი განწყობა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს მედიის ერთ-ერთი მეტად საჭირო და საინტერესო ფუნქცია - ცნობიერების ამაღლება. უნდა აღინიშნოს, რომ მედიას, ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, განსწავლის ფუნქცია აკისრია, ის უნდა დაეხმაროს აუდიტორიას განათლების მიღებასა და პრიორიტეტების სწორდ განსაზღვრაში. აქვე უნდა შემოვიტანოთ ტერმინი „გარემოსდაცვითი განათლება“. გარემოსდაცვითი განათლების დანერგვაში სწორედ მედიას აკისრია ერთ-ერთი მთავარი როლი, რაც ასევე მდგრადი განვითარების მიღწევაში დაეხმარება საზოგადოებას¹⁴.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს მედიის ფუნქციები ეკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით და ის, თუ რამდენად უთმობს ქართული მედია ამ თემებს ყურადღებას.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭებათ გარემოსდაცვითი განათლების განვითარებასა და გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში.¹⁵ მკვლევრები მოჰამედ საიფუდინი და მოჰამედ სალეჰი მალაიზიის მაგალითზე ასკვნიან, რომ გარემოსდაცვითი გზავნილების მედიასაშუალებებით გადაცემით, საზოგადოებას მთავარი სათქმელი მიეწოდება, რაც ხელს უწყობს ადამიანების ცნობიერების ამაღლებას და გარემოსთან გააზრებულ დამოკიდებულებას.

მედიის როლი განსაკუთრებით დიდია მდგრადი განვითარების მიღწევისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელმისაწვდომობაში. ამის დასადასტურებლად უნგრეთში მკვლევრებმა კალონმა, კარასმა, ლესკომ და კოსაროსმა¹⁶ 13-17 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები გამოკითხეს, რათა გაეგოთ, რამდენად ინტერესდებოდნენ და იყენებდნენ ისინი მედიასაშუალებებს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. ავტორებმა გამოკითხულთა აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი შეგნებულად შეარჩიეს, რადგან, მათივე შეფასებით, ამ პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიღებული ინფორმაცია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოზარდებზე და სწორედ ამ ასაკში უნდა დაიწყოს ახალგაზრდამ გარემოსდაცვითი განათლების მიღება მედიის ხელშეწყობით.

მედია რომ გარემოსდაცვითი რისკებით არც თუ ისე ხშირად ინტერესდება, ამაზე ჯერ კიდევ 1994 წელს წერდა პიტერ სენდმენი.¹⁷ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ გარემოსდაცვით

¹⁴ „მედია გარემოსთვის“, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, თავი 2, 2016, <https://www.eiec.gov.ge/News.aspx/Documents/ViewFile/119> [უ. გ.10.10.2024].

¹⁵ Saifudin, M., Saleh, M., „Media and Environmental Non-Governmental Organizations (ENGOS) Roles in Environmental Sustainability Communication in Malaysia“, vol. 8, no.1, pp.90-101, 2017, https://www.researchgate.net/publication/318147966_Media_and_Environmental_Non-Governmental_Organizations_ENGOS_Roles_in_Environmental_Sustainability_Communication_in_Malaysia [უ. გ.10.10.2024].

¹⁶ Leskó, G., Katona, I., Kárász, I., „Role of Media in Students' Life and Their Environmental Education: A Survey of Students Aged 13 to 17“, Journal of teacher, 2008 <https://www.semanticscholar.org/paper/Role-of-Media-in-Students'-Life-and-Their-A-Survey-Katona-K%C3%A1r%C3%A1sz/dd0c1c69d51a9d5ebc3bf63e659816078ba9aed6> [უ. გ.10.10.2024].

¹⁷ Sandman, PM, Mass media and environmental risk: Seven principles, 1994, <https://scholars.unh.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1198&context=risk> [უ. გ.10.10.2024].

კრიზისზე ჟურნალისტები საკმაოდ მცირე რაოდენობის მასალებს ამზადებდნენ. ავტორი არა მხოლოდ მასალების რაოდენობრივ სიმწირეს, არამედ მათ შინაარსსაც უსვამდა ხაზს. მისი შეფასებით, გარემოსდაცვითი რისკების გაშუქების შემთხვევაში, მედიის წარმომადგენლების მიერ საკითხი ფართოდ არ იყო გაშლილი და მტკიცებულებებსაც ნაკლებად ეყრდნობოდნენ. მსგავს პრობლემაზე მიუთითებდნენ ენი მეჯორი და ერვინ ეტვუდი¹⁸, რომლებიც მედიის კვლევის ჩატარების შემდეგ ამბობდნენ, რომ ჟურნალისტები საკმაოდ მცირე რაოდენობის მასალებს ამზადებდნენ გარემოსდაცვით საკითხებზე. საინტერესოა, რით აიხსნება ეს?! ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ ახალი ამბები, როგორც წესი, ფოკუსირებულია მოვლენაზე და არა ძირითად საკითხსა, თუ მასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.¹⁹

მედიის როლის მნიშვნელობაზე ხაზგასმისას უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების დროს აუცილებელია ტერმინების სიზუსტე. ჟურნალისტი არათუ უნდა ერკვეოდეს საკითხთან დაკავშირებულ რელევანტურ ტერმინებში, არამედ გააზრებული უნდა ჰქონდეს მას შესაბამისი კონტექსტი. მნიშვნელოვანია იმის აღწერაც, თუ როგორ განმარტავს მედია გარემოსდაცვით რისკებს. ენი მეჯორი და ერვინ ეტვუდი²⁰ აღწერდნენ, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება და მედია გარემოსდაცვით რისკებს. ვინაიდან მედიას შეიძლება დრამატული მოვლენები აინტერესებდეს. ისმის კითხვა: საზოგადოება, მედიაზე დაყრდნობით, გადაჭარბებულად ხომ არ აღიქვამს რისკის დადგომის ალბათობას? სამეცნიერო სტატიაში ავტორებს სინგერისა და ენდრენის შეხედულება მოჰყავთ, რომლის მიხედვით, მედია, ზოგადად, ავრცელებს ზიანს - სავარაუდო მოვლენის შედეგს და არა მოვლენის ალბათობას. მათ რისკი განსაზღვრეს, როგორც “ზარალის ალბათობა”. მეჯორი და ეტვუდი კი მიიჩნევენ, რომ ფაქტობრივი მოვლენა ან ზიანი არის რისკის შედეგი და არ არის თავად რისკი, ხოლო რისკი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივი, ასევე პოტენციური ზიანი.

მასშტაბური სტიქიური მოვლენების გაშუქებისას მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა შეინარჩუნოს ნეიტრალური ტონი და ამბის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე მოახდინოს ფოკუსირება, რისი გააზრებაც, ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, შესაძლებელია. ფრეიმს - ჩარჩოს საკმაოდ საინტერესოდ განმარტავს ენტმანი²¹, რომლის აზრით, ფრეიმი გარკვეული მეთოდია, რომლის საშუალებით რეალური ფაქტის რომელიმე საკითხის წინ წამოწევა ხდება, რის შემდეგ საინფორმაციო საშუალებებით შუქდება. ტეუკსბერი და შაუფელე²² ფრეიმინგს განმარტავდნენ როგორც მოვლენას, რომელიც ფოკუსირებულია იმის გარკვევაზე, თუ რა ინტერპრეტაციით არის ამბავი წარმოდგენილი. მკვლევრები თეორიის აღწერისას საზოგადოებრივი აზრის მკვლევრის, ფრენკ ლუნტცის, მესიჯს იშველიებდნენ: „მთავარია არა რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი“.

„გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ მიერ მომზადებულ მასალაში „მედია გარემოსთვის“²³ აღნიშნულია, რომ მედია ნაკლებ ინტერესს იჩენს

¹⁸ Major, A. M., Atwood, L. E., „Environmental risks in the news: issues, sources, problems, and values“, Volume 13, Issue 3, 2004 – <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0963662504044557> [უ. გ. 10.10.2024].

¹⁹ Wilkins, L., Patterson, P., „Risk analysis and the construction of news“. 1987, <https://academic.oup.com/joc/article-abstract/37/3/80/4282979?redirectedFrom=fulltext> [უ. გ. 10.10.2024].

²⁰ იხ. სქოლიო 18.

²¹ Entman, R.M „Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm“, 1993, https://www.researchgate.net/publication/209409849_Framing_Toward_Clarification_of_A_Fractured_Paradigm [უ. გ. 10.10.2024].

²² Scheufele, DA., Tewksbury, D., „Framing, Agenda Setting, and Priming: The Evolution of Three Media Effects Models“, Journal of Communication 57, International Communication Association, 2007, pp. 9–20, <https://fbaum.unc.edu/teaching/articles/J-Communication-2007-1.pdf> [უ. გ. 10.10.2024].

²³ იხ. სქოლიო 14.

ბიომრავალფეროვნების საკითხების მიმართ. პუბლიკაციაში ასევე განმარტებულია, რომ საკითხის გარშემო მედიას ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა აქვს. ასევე ნათქვამია, რომ ქართული ტელეარხები იშვიათად აჩვენებენ ქართულ ენაზე გახმოვანებულ სამეცნიერო პოპულარულ ფილმებს.

ქართული მედია გარემოსდაცვით საკითხებს ნაკლებ ყურადღებას რომ უთმობდა, ეს ჯერ კიდევ 2012 წელს ჩატარებული მედიამონიტორინგით დაადასტურა „მედიის განვითარების ფონდმა“. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, „ქართული მედიის დაინტერესება უფრო ზედაპირულია, ძირითადად რეპორტაჟული ხასიათის და იშვიათად ხდება პრობლემის ღრმად და მრავალმხრივი განხილვა, დარღვეულია მხარეთა ბალანსი, ნათლად ჩანს ჟურნალისტის სუბიექტური პოზიცია, ენა და სტილი არ ჯდება სტანდარტებში“.²⁴

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ დღესდღეობით მედიის მუშაობას ექსპერტები, თავად მედიის წარმომადგენლები და საზოგადოება.

3. კვლევის შედეგები

3.1. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუ და გამოკითხვა, რაც რელევანტურია კვლევის მიზნების მისაღწევად. მნიშვნელოვანია, რომ გლობალურ გარემოსდაცვით პრობლემებზე მედიამ სათანადო პასუხისმგებლობა გააცნობიეროს. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა დარგის ოთხ ექსპერტთან და მედიის ოთხ წარმომადგენელთან, ასევე, გამოიკითხა 300-მდე სხვადასხვა ასაკისა და სქესის მოქალაქე. აღნიშნული რიცხვი რელევანტურია მედიის სფეროში მოსაზრების წარმოსაჩენად.

კვლევის პირველ ეტაპზე გამოიკითხა დარგის სპეციალისტები:

1. ნინო ჩხობაძე – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე; 2. ნოდარ ფოფორაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის ხელმძღვანელი, პროფესორი; 3. მაია ბითაძე – პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსები კომიტეტის თავმჯდომარე, 4. თამარ ალადაშვილი – სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი.

შემდეგ ინტერვიუები მომზადდა იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც აქტიურად აშუქებენ გარემოსდაცვით საკითხებს, მათ შორის სტიქიურ მოვლენებს. რესპონდენტები იყვნენ:

1. „პირველი არხის“ კორესპონდენტი შალვა სუმბაძე, 2. „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი თეა თოფურია, 3. „მთის ამბების“ რედაქტორი გელა მთივლიშვილი,

4. ოლგა ჩაიკო უკრაინიდან.

თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შეირჩენ ის ჟურნალისტები, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობენ და აშუქებენ კატასტროფებს. ვინაიდან, კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ გააშუქა მედიამ ახალ კახოვკაში მომხდარი აფეთქება, ინტერვიუ ჩატარდა უკრაინელ ჟურნალისტთან, რომელიც აღნიშნულ მოვლენას ადგილიდან აშუქებდა. ახალი კახოვკის აფეთქების შემდეგ მედიაში დაისვა კითხვა– დაემუქრებოდა თუ არა საფრთხე შავი ზღვის სანაპიროს. ეს საკითხი განსაკუთრებით

²⁴ იზორია, თ., გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, მედიის განვითარების ფონდი, 2012. https://mdfgeorgia.ge/geo/view_research/97 [უ. გ. 10.10.2024].

აქტუალური გახდა იმ პერიოდში, შესაბამისად, საინტერესოა ამ საკითხზე რესპონდენტების მოსაზრებების გაანალიზება. კვლევის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს რაჭაში მომხდარ სტიქიაზე და ამ თემის მედიაში გაშუქების სპეციფიკაზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხიც კვლევის დღის წესრიგში მოექცა.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გამოიკითხა 303 რესპონდენტი, რომელთაც დაეგზავნათ კითხვარი. შეკითხვების უმეტესობა იყო დახურული, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სადაც საჭიროა იყო ღია პასუხის დაფიქსირება.

3.2 დარგის სპეციალისტები გარემოსდაცვით პრობლემებსა და საჭიროებებზე

ჩაღრმავებულ ინტერვიუებში დარგის სპეციალისტები ყურადღებას ძირითადად კლიმატის ცვლილებაზე ამახვილებდნენ, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემაზე. ექსპერტების ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ მსოფლიოში გადადგმული გარკვეული ნაბიჯების მიუხედავად, კლიმატის ცვლილება რჩება ყველაზე მთავარ გამოწვევად.

კვლევის შედეგებით დგინდება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხი ე.წ. გლობალური დათბობაა. დარგის სპეციალისტები სწორედ ამ საკითხს გამოყოფენ, როგორც მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს მთავარ გარემოსდაცვით გამოწვევას.

საინტერესოა, რაში ხედავენ დარგის სპეციალისტები გამოსავლის გზებს. როგორც ნინო ჩხობაძე განმარტავს, დღეს არაერთი ქვეყანა ცდილობს გაატაროს პრევენციული ღონისძიებები და ზოგს კლიმატის ცვლილებების ადაპტაციისთვის გარკვეული ნაბიჯებიც აქვს გადადგმული. თუმცა, საქართველოში ეს ღონისძიებები ჯერ არ გატარებულა, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია, როგორ უნდა შეეგუონ კლიმატის ცვლილებებს. მისი შეფასებით, მსგავსი ნაბიჯების გადადგმა სხვადასხვა ტრაგედიისგან თავიდან აცილების პრევენცია იქნება, მაგალითად კი მოჰყავს საქართველოში, კერძოდ, შოვში განვითარებული პროცესები.

ცნობისთვის, 2023 წელს შოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, 112, მოსალოდნელი ამინდის გაუარესების შემთხვევაში, მოქალაქეებს სმს შეტყობინების სახით აფრთხილებს. თუმცა, ექსპერტის აზრით, ეს საკმარისი არ არის, რადგან, მისივე თქმით, ყველა სტიქიური მოვლენის დროს მოქალაქეებისთვის განსხვავებული რეკომენდაციები არსებობს. საქართველოში კი აღნიშნულის შესახებ ადამიანებს ინფორმაცია არ აქვთ. ამიტომაც მიაჩნია, რომ სკოლებში სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები სტიქიური უბედურებების დროს და მედიაც უნდა ახდენდეს მსგავსი საკითხების გაშუქებას, რაც, გამოკითხულთა შეფასებით, ხშირ შემთხვევაში არ ხდება. ექსპერტი აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ აუცილებელია, საქართველოს რეგიონებში ჩატარდეს კვლევები, რათა ზუსტად დადგინდეს, თუ რომელ რაიონს რა პრობლემა აქვს ეკოლოგიის კუთხით..

იჩენს თუ არა მედია გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ დიდ ინტერესს?—ამ საკითხზე მედიის წარმომადგენლებსა და გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ მიმართულებით აზრი ორად გაიყო. დარგის სპეციალისტების მოსაზრებით, მედია მსგავსი საკითხებით იშვიათად ინტერესდება, რასაც ჟურნალისტები არ ეთანხმებიან.

თუმცა, მედიას რომ განსაკუთრებულად დიდი როლი აქვს გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაში, ამაზე როგორც მედიის წარმომადგენლები, ისე დარგის სპეციალისტები

თანხმდებიან. ექსპერტების აზრით, მედიამ დეზინფორმაციის გავრცელებით დიდი პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს. მათ ნაწილს ახალ კახოვკაში მომხდარი აფეთქების გაშუქებაც მოჰყავს მაგალითად (ნინო ჩხოზაძე).

ინტერვიუების დროს რესპონდენტთა ნაწილი ღიად ამბობს, რომ მედია გარემოსდაცვით საკითხებს ნაკლები ინტენსივობით აშუქებს (ნინო ჩხოზაძე, ნოდარ ფოფორაძე, მაია ბითაძე), რაც, დარგის სპეციალისტების აზრით, რიგი მიზეზების გამო, იმითაც აიხსნება, რომ მედია უმეტესად ამბავში სენსაციას ეძებს (ნინო ჩხოზაძე).

თამარ ალადაშვილი ყურადღებას ამახვილებს მედიის როლზე გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების დროს. ის მკაფიოდ ამბობს, რომ სწორედ მედიასაშუალებების დახმარებით არის შესაძლებელი საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

მისი თქმით, გასულ წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით დგინდება, რომ საზოგადოება დღეს უკვე თავად ითხოვს, რომ გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ მიიღოს ინფორმაცია. ერთ-ერთი საინტერესო მიგნება ისიც არის, რომ თუკი გარკვეული ტერმინები, მაგალითად, „მდგრადი განვითარება“ ან „კლიმატის ცვლილება“ წლების წინ საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი იყო, დღეს მოქალაქეებმა აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულნი არიან და სურთ, რომ დამატებითი ცნობები მიიღონ.

ნინო ჩხოზაძემ მედიის როლზე საუბრისას, გურიაში მომხდარი სტიქიური მოვლენა გაიხსენა და აღნიშნა, რომ მედიამ ეს თემა გააშუქა. თუმცა, როგორც ახსნა, მსგავსი სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს მედიის ნაწილი არ სვამს კითხვას, თუ რატომ ხდება ესა თუ ის სტიქია, მაგალითად, წყალდიდობა და არ ინტერესდება, უკავშირდება თუ არა ეს მოვლენები კლიმატის ცვლილებებს. მისივე თქმით, საქართველოში ჯერ კიდევ არ სჯერა ბევრს, რომ კლიმატის ცვლილებები უკვე მიმდინარეობს. ერთ-ერთ გამოსავალს კი, დარგის სპეციალისტები, ამ თემის წინა პლანზე წამოწევაში ხედავენ.

ნოდარ ფოფორაძე ინტერვიუში ხაზს უსვამს ადამიანების მხრიდან გარემოსთვის მიყენებული ზიანზე, რაც კატასტროფების რიცხვის ზრდას და საგანგებო მოვლენების განვითარებას იწვევს. გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად, დარგის სპეციალისტების აზრით, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაა საჭირო, მათ შორის მედიასაშუალებების მეშვეობით. სპეციალისტები მნიშვნელოვანად მიიჩნევენ, ასევე, გეოლოგიური სამსახურის გაძლიერებას (ნოდარ ფოფორაძე, მაია ბითაძე).

ნ. ფოფორაძე ინტერვიუში აცხადებს, რომ აუცილებელია, ყველა რეგიონში არსებობდეს გეოლოგების რამდენიმე კაციანი ჯგუფები, რომლების ადგილზე არსებულ სიტუაციას შეისწავლიან და მუდმივ მონიტორინგს გაუწევენ მოვლენებს. ამ ეტაპზე შესაბამისი კადრი არ ჰყავს ყველა რეგიონს და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მათი რაოდენობის გაზრდა. ნოდარ ფოფორაძის განმარტებით, მობილურ ჯგუფებს აქტიური კომუნიკაცია ექნებათ რეგიონების მოსახლეობასთან, აუხსნიან მათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ და რა უნდა მოიმოქმედონ სტიქიური მოვლენების დროს, აუმაღლებენ ცნობიერებას, გაარკვევენ, სად შეიძლება შენობების აშენება და სად კატეგორიულად დაუშვებელია, შემდგომში გართულებების თავიდან ასაცილებლად.

როგორც მაია ბითაძე აღნიშნავს, სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად არის დამოკიდებული უცხოელი ექსპერტების ცოდნაზე. ასევე განმარტავს, იმისთვის, რომ ახალგაზრდები გეოლოგიის მიმართულებით ცოდნის მიღებით დაინტერესდნენ, უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო სტიპენდიებით, გრანტებით თუ გარკვეული ჯილდოებით უზრუნველყოფს სწავლის მსურველებს. დეპუტატმა საკმაოდ საინტერესო საკითხი წამოჭრა პროფესიული განათლების მნიშვნელობის ზრდასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე საჯარო სამსახურში

დასასაქმებლად უმაღლესი განათლების დიპლომია აუცილებელი, მ.ბითაძის აზრით, საჭიროა კონსულტაციების დაწყება, რათა განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები და პროფესიული განათლების მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდეს საჯარო სექტორში დასაქმება კონკრეტული დარგის მიმართულებით.

გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია კანონმდებლობა და საკითხების სამართლებრივი რეგულირება. აღნიშნულ თემაზე დიდი ყურადღება გაამახვილა უმაღლესი საკანონმდებლო საბჭოს დეპუტატმა და თქვა, რომ ბოლო წლებში საკითხთან დაკავშირებით 10-ზე მეტი კანონი იქნა მიღებული და 200-მდე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა.

კანონმდებლობასა თუ ნაკისრ ვალდებულებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს გარემოსდაცვითი დემოკრატია და მისი განვითარება, რომლის დროსაც საზოგადოების პროაქტიული ინფორმირება და მონაწილეობის უფლება გარანტირებულია. როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, გარემოსდაცვითი დემოკრატია მდგრადი განვითარების მიზნების ადეკვატურია. მნიშვნელოვანია ამ დროს სახელმწიფოს ჩართულობა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მაია ბითაძის განმარტებით, სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებს გარკვეულ ღონისძიებებს, რაც მოცემულია ასოცირების ხელშეკრულების დირექტივებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, გარემოსდაცვით ხელშეკრულებებსა თუ მდგრადი განვითარების მიზნებში.

ამ ყველაფრის აღნიშვნის ფონზე, საინტერესოა, სად ხედავენ მთავარ გამოწვევას სახელმწიფოს წარმომადგენლები. მ. ბითაძე მიიჩნევს, რომ ახალი გამოწვევა რაც ამჟამად გვაქვს, არის ეკონომიკისა და ეკოლოგიის მეტი თანხვედრა და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სამომავლო 5-წლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა დაეყრდნობა ციფრული და მწვანე ეკონომიკის განვითარებას. შესაბამისად, მ. ბითაძის თქმით, საქართველოც ცდილობს, რომ ამ ყველაფერს ფეხი აუწყოს.

კვლევისთვის საკმაოდ საინტერესო საკითხი იყო ის, თუ რა ნაბიჯები იდგმება სახელმწიფოს მხრიდან სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის კუთხით. თან იმ ფონზე, როდესაც გასული ერთი წლის განმავლობაში საქართველოში საკმაოდ მასშტაბური სტიქიური უბედურებები დაფიქსირდა – 2023 წლის 3 აგვისტოს რაჭაში, კერძოდ, შოვში მოხდა სტიქიური უბედურება, ჩამოწოლილ ღვარცოფსა და მეწყერს 32 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის იყვნენ ბავშვები. 29 აგვისტოს კი სამაშველო ოპერაციის შესრულების დროს სამხედრო პირი დაიღუპა. 2023 წლის 8 სექტემბერს მეწყერი ჩამოწვა გურიის რეგიონში, ჩოჩხათის თემის რამდენიმე სოფელში. მეწყერის და წყალდიდობის დროს დაიღუპა სამი ადამიანი, მათ შორის ორი მოზარდი, დაინგრა, სულ მცირე, 10 სახლი.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია რამდენიმე სახის სტიქიის კვლევა, ესენია წყალდიდობა, ღვარცოფი, წყალმოვარდნა, მეწყერი, ქვათაცვენა, ზვავი, გვალვა და ქარი. ინტერვიუში მაია ბითაძემ თქვა, რომ, როგორც გაეროს, ასევე კლიმატის სახელმწიფო ცვლილების მწვანე ფონდისა და სახელმწიფო რესურსებით, 15 მილიონი წელს (2023) მხოლოდ სტიქიებთან ბრძოლისა და წინასწარი გაფრთხილების გაუმჯობესების მიზნით დაიხარჯა.

სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ საკმაოდ თვალსაჩინო გახდა, რომ გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გარემოსდაცვითი განათლება და მისი განვითარებაა. კვლევის შედეგების ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებშიც საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ეს საკითხი, როგორც ექსპერტების, ისე სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ მედია ორგანიზაციების მხრიდან. კვლევის შედეგებში ცალკე ქვეთავი ეთმობა საზოგადოების აზრის კვლევის მონაცემებს, რა

დროსაც მოქალაქეები გამოიკითხნენ და თავად დააფიქსირეს გარემოსდაცვითი საკითხებისა და მედიის როლის მიმართ საკუთარი ხედვები.

გარემოსდაცვითი განათლების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია, ტრენინგების ჩატარება, განათლების სისტემის დონეზე გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. თამარ ალადაშვილის თქმით, როგორც სკოლამდელი ასაკის, ასევე სკოლის სახელმძღვანელოებში გარემოს დაცვას და გამოწვევებს გარკვეული თემები ეთმობა. ასევე ტარდება სიმულაციური ტრენინგები, რათა ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში, სკოლას ჰქონდეს ცოდნა და გამოცდილება, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ინტერვიუს დროს თ. ალადაშვილმა ყურადღება ასევე გაამახვილა რეგიონებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. როგორც ირკვევა, იმ მუნიციპალიტეტებში, რომელთაც ჰქონდათ საგანგებო მართვის გეგმა, განხორციელდა პრაქტიკული ტრენინგები.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - აქვს თუ არა საზოგადოებას გაცნობიერებული თავისი როლი გარემოსთან დაკავშირებით, რაშიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, საკმაოდ დიდ როლს მედია თამაშობს.

3.3 მედიის წარმომადგენლები გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების შესახებ

კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც აქტიურად აშუქებენ გარემოსდაცვით საკითხებს, მათ შორის, სტიქიურ მოვლენებს. ერთ-ერთი რესპონდენტი არის უკრაინიდან, ვინაიდან ახალ კახოვკაში მომხდარი აფეთქების შემდეგ, სხვა საკითხებთან ერთად, აქტიურად განხილვობდა და შუქდებოდა ჰიდროელექტროსადგურის აფეთქებით გამოწვეული გარემოსდაცვითი ზიანი. ემუქრებოდა თუ არა რაიმე საფრთხე საქართველოს, შავი ზღვისპირეთს? –საინტერესო იყო ინტერვიუ იმ ჟურნალისტთან, რომელიც ამ მოვლენას უშუალოდ შემთხვევის ადგილიდან აშუქებდა.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქების სიხშირე და საზოგადოების ინტერესი საკმაოდ კომპლექსური და ურთიერთდაკავშირებული თემებია. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ გარემოსდაცვითი საკითხები უკვე მეტ-ნაკლებად შუქდება, განსაკუთრებით წინა წლებთან შედარებით, როცა ამ თემას მედია საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. „მთის ამბების“ ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, რომელსაც გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება თავად უწევს ხოლმე, აღნიშნავს, რომ მედია აღნიშნული საკითხით ძირითადად კატასტროფების დროს ინტერესდება, სხვა შემთხვევაში კი თითქმის არა. თუმცა, გ. მთივლიშვილი ხაზს უსვამს მედიის უმნიშვნელოვანეს როლს გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაში, მით უმეტეს საქართველოს რთული რელიეფური მდგომარეობიდან გამომდინარე. მისი თქმით, მნიშვნელოვანია მედიამ აიღოს პასუხისმგებლობა და პრობლემამდე, კატასტროფის დადგომამდე ესაუბროს მოსახლეობას პრევენციაზე და შეახსენოს ხელისუფლებას, თუ რა არის გასაკეთებელი, გააცნოს საზოგადოებას ინფორმაცია საკითხის სიმწვავის შესახებ. მაგალითად მას შოვში განვითარებული პროცესები მოჰყავს და ამ კონტექსტში ყურადღებას თავდაცვითი ზომების გატარებაზე ამახვილებს.

მედიის ნაწილი, ასევე, მიუთითებს, რომ საზოგადოების დაინტერესებაც ნაკლებია საკითხის მიმართ და უმეტესად ადამიანებს ინფორმაციის მიღება ყველაზე აქტუალურ თემებზე სურთ. ამის მაგალითად „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტს, თეა თოფურიას მის მიერ ერთსა და იმავე თემაზე გაშუქებული მასალები მოჰყავს და აცხადებს, რომ თუ საკითხი გააქტიურებული არ არის, მკითხველი იმ თემით არ ინტერესდება. აქვე იჩენს მეორე საკითხი

თავს – ის რომ მედიას თავად შეუძლია, თემის აქტუალიზება მოახდინოს და დღის წესრიგში შემოიტანოს. თუმცა, ვინაიდან დღეს საზოგადოებას მრავალფეროვან ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, ის თავად წყვეტს, რომელზე შეაჩეროს არჩევანი. სწორედ აქ იჩენს თავს საკითხის კომპლექსურობა. მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები მას ეხება და ის თავად ახდენს გარემოზე გავლენას, ინტერესიც გაეზრდება და სურვილიც, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს გარემოს შესახებ. ამ შემთხვევაშიც, მედია კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს აღნიშნულ თემებს.

მედიის წარმომადგენლები კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში, ასევე, აღნიშნავენ, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობის დროს ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს არ სურდათ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდება. მაგალითად, როდესაც საუბარია მეწყერსაშიშ ზონებში არსებულ სახლებსა ან ევაკუაციის აუცილებლობაზე, მათი ნაწილი საუბრისგან თავს იკავებს. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მოქალაქეთათვის დროული და საჭირო ინფორმაციის მიწოდება, რაშიც დიდი როლი როგორც სახელმწიფოს, ასევე მედიას აკისრია. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესი ხანგრძლივად წარმატებით ხორციელდებოდეს და გათვლილი იყოს გრძელვადიან პერსპექტივაზე.

საზოგადოებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლებაზე საუბრისას, მედიის წარმომადგენლები ინტერვიუებში აღნიშნავენ იმასაც, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სტიქიური მოვლენების დროს, როგორ დაიცვან თავი საფრთხეების შემთხვევაში. გელა მთივლიშვილის თქმით, აღნიშნულის შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციას არ ფლობს. ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ მედიამ მსგავსი საკითხების საზოგადოებამდე მიტანა საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

მედიის წარმომადგენლები, ასევე, ხაზს უსვამენ არა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, არამედ თავად ჟურნალისტების დახელოვნებას აღნიშნულ საკითხებში. ისინი აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანია მათაც ჩაუტარდეთ სემინარები გარემოსდაცვითი გამოწვევების და ბუნებრივი კატასტროფების გაშუქების სპეციფიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ვინაიდან სტიქიური მოვლენების ასახვა დიდ ემოციურ სტრესთან არის დაკავშირებული, სტრესის მართვის ტრენინგებსაც აუცილებლად მიიჩნევენ ჟურნალისტები და აღნიშნავენ, რომ არა მხოლოდ საპრევენციოს, არამედ სტიქიური მოვლენების გაშუქების დასრულების შემდეგაც საჭიროებენ ტრენინგების ჩატარებას (შალვა სუმბაძე, გელა მთივლიშვილი, თეა თოფურია)..

გარდა ამისა, ჟურნალისტები ყურადღებას ერთ-ერთ საინტერესო საკითხზე ამახვილებენ. მათი უმრავლესობის თქმით, მედიაში გამოყოფილი უნდა იყოს გარემოს დაცვის პროფილი და კორესპონდენტები, რომლებიც უშუალოდ მხოლოდ აღნიშნულ თემას გააშუქებენ, მისი სირთულისა და კომპლექსურობიდან გამომდინარე. თუმცა, ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართულ მედიაში ეს მიმართულება განვითარებული არ არის, რაც, მათივე შეფასებით, პრობლემური საკითხია.

მედიის სფეროს წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს მთავარი აქცენტი მახვილდებოდა საქართველოში ბოლო დროს მომხდარ მასშტაბურ –მოვისა და გურიის სტიქიურ მოვლენებზე. მედიის სფეროს წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობა ჟურნალისტის მხრიდან დამატებით რესურსსა და ენერჯიას მოითხოვს, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ზოგი ჟურნალისტების ასეთ პირობებში უკეთესად მუშაობს (შალვა სუმბაძე).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტიქიური მოვლენების დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის გადამოწმებას. ცხადია, ზოგადად მედიისთვის ამბის გადამოწმება ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. თუმცა, ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განსაკუთრებით საგანგებო მოვლენების თუ კატასტროფების დროს ხდება. ჟურნალისტების თქმით კი, კრიზისული სიტუაციების დროს სათანადო უწყებებთან კომუნიკაცია ჭირს, რაც ხელს უშლის მედიის მუშაობას (თეა თოფურია, ოლგა ჩაიკო).

სტიქიური მოვლენებზე საუბრის დროს ჟურნალისტები კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხნენ. მედიის წარმომადგენლების თქმით, აუცილებელია, რომ რესპონდენტებს წარუდგინოთ საკუთარი თავი. ასევე, მათ უნდა იცოდნენ, რომ მის მიერ თქვენთვის მოცემული ინტერვიუ გასაჯაროვდება. შალვა სუმბაძე აცხადებს, რომ სტიქიური მოვლენების დროს ემოციური ფონი იმდენად მაღალია, რომ ადამიანები შესაძლოა ხედავდნენ კამერას, მიკროფონს, მაგრამ მაინც ვერ ითავისებდნენ, რომ შესაძლოა მათი საუბარი იწერებოდეს. ამიტომ, ჟურნალისტის აღნიშნავს, რომ ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა აუხსნას მოქალაქეებს, რომ მათი ინტერვიუები გასაჯაროვდება.

მედიის წარმომადგენლებმა, ასევე, გაამახვილეს ყურადღება სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს შესაბამის ადჟურვილობასა და სპეცტექნიკაზე. ის ჟურნალისტები, რომლებიც სტიქიებსა და კატასტროფებს ხშირად აშუქებენ, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს ამბობდნენ, რომ მათ ყოველთვის აქვთ წინასწარ გამზადებული ჩანთა პირველადი აუცილებელი ნივთებით, რათა მომზადებისთვის დრო არ დაკარგონ (შალვა სუმბაძე).

საინტერესო იყო უკრაინელი ჟურნალისტის ოლგა ჩაიკოს პასუხები ახალ კახოვკაში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით – თუ როგორ შუქდებოდა აღნიშნული საკითხი, ომის პირობებში რამდენად აკეთებდნენ ჟურნალისტები აქცენტს გარემოსდაცვით პრობლემებზე და კონკრეტულად რა თემებს აქცევდნენ ყურადღებას. ო. ჩაიკო მომხდარ ფაქტს ადგილიდან აშუქებდა, თუმცა, მას არ შეეძლო იმ ტერიტორიაზე გადაადგილება, რომელსაც რუსეთი აკონტროლებს. შესაბამისად, ხერსონის ოლქის მარცხენა სანაპიროზე, რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ვითარების, აფეთქებით გამოწვეული ზარალის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან უკრაინელ ჟურნალისტებს და, ასევე, საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს იქ გადაადგილების შესაძლებლობა არ აქვთ.

3.4 მოქალაქეები გარემოსდაცვით პრობლემებსა და მედიის როლზე

კვლევის მიზნებისა და დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით 303 რესპონდენტი გამოიკითხა. მოქალაქეებს კითხვარი ონლაინ დაეგზავნათ, მიღებული პასუხები კი შემდეგ გაანალიზდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რესპონდენტებმა პასუხი გასცეს, როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს, სადაც დააფიქსირეს თავიანთი მოსაზრება გარემოსდაცვით საკითხებზე და ამ თემაზე მედიის მუშაობაც შეაფასეს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18 წლის ზემოთ ყველა ასაკის ადამიანმა, თუმცა, გამოკითხულთა უმეტესობა 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდები იყვნენ, ძირითადად სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ახალგაზრდა თაობის ჩართულობა გარემოზე ზრუნვაში არის გადამწყვეტი ფაქტორი მდგრადი განვითარების მისაღწევად.


გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა იყო ქალი (67.2%, მამაკაცების რაოდენობამ კი 32.8% შეადგინა. ასევე, გამოკითხულთა უმეტესობა იყვნენ დასაქმებულები და სტუდენტები.

კვლევის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პასუხები მიღებულიყო როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების მაცხოვრებლებისგან. ძირითადად, რესპონდენტებმა კითხვარი შეავსეს თბილისში, თუმცა, პასუხები გასცეს რეგიონების მცხოვრებლებმაც.

გამოკითხულთა უმეტესობა ინფორმაციას ძირითადად იღებს სოციალური ქსელებიდან, რასაც მოჰყვება ტელევიზია და ონლაინ მედია. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა უმეტესობას სიახლეების გაცნობის მთავარ საშუალებად სოციალურ ქსელებს ირჩევს და არა ონლაინ მედიას.


კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი შეკითხვა, რაც კითხვარში იყო შეთავაზებული შემდეგია: მოქალაქეების შეფასებით, რამდენად ხშირად აშუქებს მედია გარემოსდაცვით საკითხებს. ამ საკითხზე, სიღრმისეული ინტერვიუების დროს, საკმაოდ აქტიურად საუბრობდნენ როგორც დარგის სპეციალისტები, ასევე მედიის წარმომადგენლები. უმეტესი მათგანი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მედია ნაკლებად ინტერესდება ამ თემის სიღრმისეულად გაშუქებით და, ძირითადად, შემოიფარგლება სტიქიური მოვლენების, ტრაგედიების გაშუქებით. რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა თუ რა პოზიცია აქვს იმ აუდიტორიას, ვინც მედიის მომხმარებელია. რესპონდენტების მცირე რაოდენობა აღნიშნავს, რომ მედია გარემოსდაცვით საკითხებს ძალიან ხშირად აშუქებს. უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ თემას მედია საშუალო სიხშირით ან იშვიათად ეხება (დეტალურად იხ. დიაგრამა 1).

რამდენად ხშირად აშუქებს მედია გარემოსდაცვით საკითხებს?
302 responses




საინტერესოა, ასევე, მოქალაქეების აზრით, რომელი მედიასაშუალებები აშუქებენ გარემოსდაცვით საკითხებს უფრო ხშირად. როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტების უმეტესობა ტელევიზიას და ონლაინ მედიას ასახელებს. თუმცა, აქ ერთი გარემოებაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს – გამოკითხულთა უმეტესობა ბეჭდურ მედიას ნაკლებად ეცნობა, შესაბამისად, რთული იქნებოდა დაზუსტებით ეთქვათ მათ, თუ რა ინტენსივობით აშუქებს ბეჭდური მედია აღნიშნულ საკითხს (დეტალურად იხ. დიაგრამა 2).

რომელი მედიის საშუალებები აშუქებენ გარემოსდაცვით საკითხებს უფრო ხშირად?
302 responses



საკმაოდ საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა შეკითხვაზე: რომელ მედიის საშუალებებს ენდობა მოსახლეობა ყველაზე მეტად გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად? მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ მედიას საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს, გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობების მისაღებად ტელევიზიას უფრო ენდობა (დეტალურად იხ. დიაგრამა 3).

გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად რომელ მედია არხებს ენდობით ყველაზე მეტად?
302 responses




მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვით საკითხებზე მედიის მიმართ სანდოობის მიზეზებზე რესპონდენტებმა ღია პასუხებში აღნიშნეს.. უმეტესობა მიუთითებდა, რომ ტელევიზიას ენდობოდა უფრო მეტად, რადგან მეტად იყო დარწმუნებული, რომ გარემოსდაცვით საკითხზე გადამოწმებულ ინფორმაციას მოამზადებდა. ასევე, საკითხი იქნებოდა უფრო მეტად სიღრმისეული და ინფორმაციული. ონლაინ მედიას კი ასახელებდნენ, როგორც სწრაფად და ოპერატიულად ამბის გამავრცელებელ საშუალებას, რაც მათთვის იყო კომფორტული. თუმცა, ამავდროულად აცხადებდნენ, რომ ონლაინ მედიაში აწყდებოდნენ ყალბ ამბებს, დეზინფორმაციას და მიიჩნევდნენ, რომ ონლაინ მედია გადამოწმების მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა.

ზოგადად, გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად გამოკითხული მოსახლეობის უმეტესობა ტელევიზიას ენდობა, როგორც აღმოჩნდა, სტიქიური მოვლენების დროსაც სიახლეების გასაცნობად და სანდო ცნობების მისაღებად გამოკითხულთა

უმეტესობა კვლავ ტელევიზიას იყენებს. სანდოობის კუთხით მეორე ადგილზეა ონლაინ მედია (დეტალურად იხ. დიაგრამა 4).

სტიქიური მოვლენების დროს რომელ მედია არხებს ენდობით ყველაზე მეტად?
302 responses



სტიქიური მოვლენების გაშუქების სანდოობის შესახებ რესპონდენტებმა საკუთარი პოზიცია ღია პასუხებში დააფიქსირეს. მოქალაქეების უმეტესობა აღნიშნავს, რომ სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს მათ სჭირდებოდათ ინფორმაციის სწრაფად მიღება, თუმცა, ოპერატიულობის ფონზე, ზოგჯერ აწყდებოდნენ ყალბი ამბების გავრცელების პრობლემას, რაც უფრო მეტად, მათი აზრით, ციფრულ მედიაში შეიმჩნეოდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები, სტიქიური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ძალიან დიდ მნიშვნელობას ოპერატიულობას ანიჭებდნენ, რადგან, მათი აზრით, ეს ისეთი საკითხია, რომელზეც ძალიან სწრაფად სურთ სიახლეების გაგება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა ნაწილი ტრაგედიების დროს არცერთ მედიასაშუალებას არ ენდობა, რადგან არაზუსტი ინფორმაციის გავრცელების ტენდენციები შეუმჩნევია ყველა არხზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საზოგადოების მოსაზრება, თუ რამდენად სრულყოფილად აშუქებს მედია გარემოსდაცვით საკითხებს. გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მედია აღნიშნულ საკითხს არასრულყოფილად აშუქებს. ამ პოზიციას იზიარებს გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი.


შეკითხვაზე – რა ხარვეზებს ხედავენ მოქალაქეები მედიის მუშაობაში გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას, – რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ მედია ამ საკითხს სიღრმისეულად არ აშუქებს და უმეტესად ახალი ამბის ფორმატით შემოიფარგლება.

კვლევის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად იცნობენ მოქალაქეები გარემოსდაცვით გამოწვევებს. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა იცნობს ჰაერის დაბინძურების პრობლემას, ყველაზე ნაკლებად კი, ჩამოთვლილი პასუხებიდან, მჟავა წვიმებს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ ერთდროულად.

საკმაოდ საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა პასუხებში შემდეგ კითხვაზე – რომელ გარემოსდაცვით გამოწვევაზე ისურვებდნენ მოქალაქეები დამატებითი ინფორმაციის მიღებას. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს სურთ ჩამოთვლილი გარემოსდაცვითი ყველა პრობლემის შესახებ მიიღონ ინფორმაცია. მონაცემები, თითქმის, თანაბრად გადანაწილდა. აღსანიშნავია, რომ მათ ერთდროულად რამდენიმე პასუხის არჩევა შეეძლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი პრობლემებიდან რამდენიმეს გამოკითხული მოქალაქეები


იცნობენ, მათ შესახებაც სურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების განვითარების კუთხით. კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოებას აინტერესებს გარემოსდაცვითი პრობლემები და მათზე ცნობების მიღების სურვილიც აქვთ (დეტალურად იხ. დიაგრამა 5).

რომელ გარემოსდაცვით გამოწვევაზე ისურვებდით დამატებითი ინფორმაციის მიღებას?
302 responses



კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გამოკითხული მოქალაქეების უმეტესობას აწუხებს ჰაერის დაბინძურების, ასევე, ნარჩენებისა და შემდეგ კლიმატის ცვლილების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები გარემოსდაცვით მთავარ პრობლემად ე.წ. გლობალურ დათბობას მიიჩნევენ, გამოკითხული მოქალაქეების უმეტესობა მას პირველ გამოწვევად არ ასახელებს. ეს ტენდენცია აჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილებაზე, როგორც დიდი საფრთხის გამომწვევ პრობლემაზე, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია, რათა უფრო მასშტაბურად გაანალიზონ საკითხის სიმწვავე (დეტალურად იხ. დიაგრამა 6).

რომელი გარემოსდაცვითი პრობლემა გაწუხებთ ყველაზე მეტად?
302 responses



შეკითხვაზე, თუ რამდენად მაღალია გარემოსდაცვითი განათლება საზოგადოებაში, გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა პასუხობს, რომ გარემოსდაცვითი განათლების დონე საშუალოა. მნიშვნელოვანია, რომ გარემოსდაცვითი განათლება ძალიან მაღალი იყოს საზოგადოებაში, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეების ჩართულობის გაზრდას გარემოზე ზრუნვაში.

დასკვნა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევა. კვლევის მეთოდად სიღრმისეული ინტერვიუები და მოსახლეობის გამოკითხვა შეირჩა. ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ რვა სპეციალისტთან, მათ შორის ოთხი რესპონდენტი მედიის წარმომადგენელი, ხოლო ოთხი – გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები იყვნენ. მედიიდან რესპონდენტებად ის ჟურნალისტები შეირჩნენ, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებზე მუშაობენ. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში კი 303 რესპონდენტი გამოიკითხა. მოქალაქეებს ონლაინ დაეგზავნათ წინასწარ შედგენილი კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს.

კვლევის შედეგად პასუხი გაეცა საკვლევ კითხვას - რა როლი აქვს მედიას გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებაში. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარების შემდეგ, რვავე რესპონდენტი აღნიშნავდა მედიის უდიდეს როლს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ არც მედიის წარმომადგენლებისა და არც დარგის სპეციალისტებისგან ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია არ დაფიქსირებულა. ინტერვიუების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მედია არის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი გარემოსდაცვითი პრობლემების აქტუალიზების კუთხით. თუკი მედია გარემოს შესახებ მეტ მასალას მოამზადებს, საზოგადოების დაინტერესება კიდევ უფრო გაიზრდება. რაოდენობრივი კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოქალაქეების ნაწილს სურს დეტალური და სიღრმისეული ინფორმაციის მიღება მედიისგან გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია, რომ მედიამ უზრუნველყოს. თუმცა, აქ ერთი ნიშანდობლივი დეტალია გასათვალისწინებელი – სიღრმისეული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად, მედიის წარმომადგენელთა ნაწილი ღიად უსვამდა ხაზს, რომ გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ მომზადებულ მასალებს უფრო ცოტა მკითხველი ჰყავს, ვიდრე სხვა თემებს, რაც ზოგჯერ მედიისთვის სიგნალი ხდება, თუ რომელი თემა შემოიტანოს დღის წესრიგში. მაგრამ, სწორედ აქ უნდა იკვეთებოდეს მედიის, როგორც გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი საშუალების მნიშვნელობა, რაზეც რესპონდენტები ინტერვიუებში ამახვილებდნენ ყურადღებას.

კვლევის შედეგად პასუხი გაეცა შეკითხვას - ექსპერტების და მედიის წარმომადგენლების შეფასებით, რა მთავარი გამოწვევები არსებობს გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მედიამ გარემოსდაცვითი საკითხები წინა პლანზე წამოსწიოს პრევენციის დონეზეც და არა მხოლოდ მაშინ, როცა სიტუაცია უკიდურესად რთულდება, რისი ნაკლებობაც შეინიშნება ქართულ მედიაში. სპეციალისტების თქმით, გლობალური პრობლემები, როგორცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება, მედიის დღის წესრიგში აქტიურად უნდა ხვდებოდეს. მათივე შეფასებით, აუცილებელია, რომ მედიასთან ერთად სახელმწიფოს მხრიდანაც იდგმებოდეს ნაბიჯები საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ მოქალაქეების ჩართულობა გარემოზე ზრუნვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ პროცესის წარმატებით განხორციელებაში დიდი როლი როგორც სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე მედიასაც ენიჭება. ექსპერტების შეფასებით, სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს ქართული მედია საკმაოდ ოპერატიულად აშუქებს სიახლეებს. დარგის სპეციალისტებმა ყურადღება გაამახვილეს შოვსა და გურიაში მომხდარ სტიქიურ მოვლენებზე. მათი თქმით, ქართული მედია ფაქტებს ძირითადად დაუმახინჯებლად აშუქებდა. თუმცა, მათ იგივეს თქმა გაუჭირდათ კახოვკაში მომხდარი აფეთქების შემდეგ შესაძლო საფრთხეების გაშუქებასთან დაკავშირებით. სპეციალისტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, კერძოდ, ზღვისპირეთს საფრთხე არ ემუქრებოდა, მედიის ნაწილის მხრიდან საკითხის მიმართ სენსაციური გაშუქების

ელემენტები იჩენდა თავს, რამაც საზოგადოებაში შიში და პანიკა გამოიწვია. მნიშვნელოვანია, რომ მედია საზოგადოებაში შიშს არ ნერგავდეს.

მედიის წარმომადგენლების ნაწილის აზრით, მედია გარემოსდაცვით საკითხებს აქტიურად აშუქებს, თუმცა მეორე ნაწილის შეფასებით, გაშუქების სიხშირე არც თუ ისე დიდია, ვინაიდან საზოგადოების დაინტერესება თემის მიმართ ნაკლებია. ინტერვიუებიდან ისიც გამოიკვეთა, რომ ყველა ჟურნალისტი იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მედიამ გარემოსდაცვითი საკითხები უფრო ხშირად და სიღრმისეულად უნდა გააშუქოს. მათი თქმით, საკმაოდ რთულია გარემოსდაცვით პრობლემებზე რელევანტური რესპონდენტების მოძიება და მათთან ინტერვიუების ჩატარება. რთულია ასევე, მოქალაქეების ინტერვიუებზე დათანხმება. მაგალითად კი მათ ის შემთხვევები გაიხსენეს, როდესაც ბუნებრივი კატასტროფებისა თუ გარემოსდაცვითი სხვა გამოწვევების დროს, ადამიანებს უწევთ საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვება, თუმცა, ამაზე საჯაროდ საუბარი არ სურთ.

მედიის წარმომადგენლები ასევე საუბრობენ ჟურნალისტების სპეციფიკურ ეკიპირებაზე სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს. მათი თქმით, აუცილებელია რესპონდენტები შესაბამისად იყვნენ მომზადებულნი და აღჭურვილნი. მედიის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს კორესპონდენტების ემოციური მდგრადობის მნიშვნელობაზე. მათ გაიხსენეს შოვში მომხდარი ტრაგედია და აღნიშნეს, რომ ადგილიდან სიახლეების გაშუქება საკმაოდ დიდ სტრესთან იყო დაკავშირებული. საკმაოდ სტრესულ გარემოზე საუბრობდა უკრაინელი ჟურნალისტი ოლგა ჩაიკოვ, რომელსაც ომის პირობებში უწევდა კახოვკაში მომხდარი აფეთქების გაშუქება. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტები ხაზს უსვამენ მათი ფსიქოლოგიური გადამზადების საჭიროებას როგორც პრევენციულ ეტაპზე, ასევე სტიქიური მოვლენის გაშუქების შემდეგ. მათი თქმით, მნიშვნელოვანია, დაინერგოს პრაქტიკა, როდესაც კორესპონდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ შესაბამისი ფსიქოლოგიური, თუ სხვა სახის ტრენინგები ბუნებრივი კატასტროფების გაშუქების შემდეგ. ჟურნალისტები, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ უშუალოდ გარემოსდაცვითი გამოწვევების საკითხებზე სემინარების ინტენსიურად ჩატარების აუცილებლობაზე. მათ, ასევე, აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მედიასაშუალებებში ცალკე გამოიყოს გარემოსდაცვითი მიმართულება, რომელზეც კონკრეტული ჟურნალისტები იმუშავებენ, რადგან, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მათ სიღრმისეული მასალების მომზადება შეეძლო.

კვლევის შედეგად, ასევე, პასუხი გაეცა შეკითხვას: რა არის საზოგადოების მთავარი დაკვეთა გარემოსდაცვით გამოწვევებთან და ამ საკითხების მედიაში გაშუქებასთან დაკავშირებით. რესპონდენტების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანია მედიამ გარემოსდაცვით საკითხებზე უფრო მეტად იმუშაოს. მათ სურთ მიიღონ დამატებითი ცნობები გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევებზე, როგორცაა ე. წ. გლობალური დათბობა, ჰაერის დაბინძურება, ოზონის ფენის რღვევა. რესპონდენტთა უმეტესობა გარემოსდაცვით გამოწვევებზე სიახლეების მიღებას ტელევიზიიდან ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან და ონლაინ მედიიდან იღებენ. თუმცა, გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებით ცნობების მიღებისას უფრო მეტად ტელევიზიებს ენდობიან. თუმცა, ღია პასუხების ნაწილში აფიქსირებდნენ მოსაზრებას, რომ უმჯობესი იქნებოდა, ინფორმაცია უფრო მეტად დეტალური და ამომწურავი იყოს.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებისას მედია, სტიქიური მოვლენის პირველ ეტაპზე, ყურადღებას, ძირითადად, ტრაგედიაზე ამახვილებს, ხოლო პრობლემის პრევენციას ნაკლებად უთმობს დროს. სწორედ ამ საკითხს აღნიშნავდნენ დარგის სპეციალისტები სიღრმისეულ ინტერვიუების დროს. ასევე, ეს თემა გამოიკვეთა გამოკითხულ რესპონდენტთა ღია პასუხებშიც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას,

რომ ქართული მედია გარემოსდაცვითი პრობლემების გაშუქებისას უმეტესად აქცენტს აკეთებს სტიქიური მოვლენების პირველ ეტაპზე, ვიდრე პრევენციაზე.

კვლევის შედეგად შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები:

- მედია გარემოსდაცვით პრობლემებს აქტიურად და სიღრმისეულად უნდა აშუქებდეს;
- მედია სტიქიური მოვლენების გაშუქების დროს ოპერატიულობასთან ერთად ამბის სიზუსტეს უნდა ინარჩუნებს;
- გარემოსდაცვით პრობლემებს მედია არა მხოლოდ კატასტროფის დროს, არამედ პრევენციის ეტაპზეც უნდა აშუქებდეს;
- გარემოსდაცვით პრობლემებზე მომუშავე კორესპონდენტები ინტერვიუებს უნდა იღებდნენ რელევანტური რესპონდენტებისგან;
- მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ჩართულობა, მათი ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა, რაშიც დიდი როლი უნდა მიენიჭოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე მედიას.
- სტიქიური მოვლენების დროს ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ჩაცმულობა და აღჭურვილობა (საჭიროების შემთხვევაში);
- ჟურნალისტებს ტრენინგები და ფსიქოლოგიური მომზადება უნდა უტარდებოდეთ არა მხოლოდ სტიქიური მოვლენების წინ, არამედ მისი გაშუქების დასრულების შემდეგ.

ბიბლიოგრაფია

1. იზორია, თინათინ, გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში, მედიის განვითარების ფონდი, 2012, https://mdfgeorgia.ge/geo/view_research/97 [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
2. კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები, 2021, https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_ee_climate-change_publication-for-media_2021_geo.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
3. კლიმატის ცვლილება, ზემოქმედება, ადაპტაცია, UNDP საქართველო, 2021, <https://www.undp.org/ka/georgia/publications/klimatis-tsvlileba-zegavlina-adaptatsia> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
4. მედია გარემოსთვის, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, თავი 2, 2016, <https://www.eiec.gov.ge/News.aspx/Documents/ViewFile/119> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
5. მდგრადი განვითარების მიზნები, გაერო საქართველოში, https://ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
6. ხატიაშვილი, თამარ, კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობის საფრთხე, თსუ, 2020;
7. Adam, Barbara, Allan, Stuart, Carter, Cynthia, Environmental risks and the media, London: UCL, 2000, https://api.pageplace.de/preview/DT0400.9781134610938_A24508027/preview-9781134610938_A24508027.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
8. Bellard, Céline, Bertelsmeier, Cleo, Leadley, Paul, Thuiller, Wilfried, Courchamp, Franck, Impacts of climate change on the future of biodiversity”, Ecology Letters 15, 2012, <https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/j.1461-0248.2011.01736.x> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
9. Botkin, Daniel B., Saxe, Henrik, Araújo, Miguel B., Betts, Richard, Bradshaw, Richard H. W., Cedhagen, Tomas, Chesson, Peter, Dawson, Terry P., Etterson, Julie R., Faith, Daniel P., Ferrier, Simon, Guisan, Antoine, Hansen, Anja Skjoldborg, Hilbert, David W., Loehle, Craig, Margules, Chris, New, Mark, Sobel, Matthew J., Stockwell David R. B., Forecasting the Effects of Global Warming on Biodiversity, 2007, <https://academic.oup.com/bioscience/article/57/3/227/268444> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
10. Beck, Ulrich., Risk Society: Towards a New Modernity, London, 1992;
11. Boykoff, Maxwell T., We Speak for the Trees: Media Reporting on the Environment, 2009;
12. Boykoff, Maxwell T., Roberts J. Timmons, Media Coverage of Climate Change: Current Trends, Strengths, Weaknesses, 2007, https://www.researchgate.net/publication/228637999_Media_coverage_of_climate_change_Current_trends_strengths_weaknesses [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
13. Boykoff Maxwell T., Boykoff, Jules M., Climate change and journalistic norms: A case-study of US mass-media coverage, 2007;
14. Drake, Frances, “Global Warming”, London, 2014, <https://www.taylorfrancis.com/books/mono/10.4324/9780203785041/global-warming-frances-drake> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];

15. Leskó, Gyula, Katona, Ildikó., Kárász, Imre, “ Role of Media in Students' Life and Their Environmental Education: A Survey of Students Aged 13 to 17“, Journal of teacher, 2008, <https://www.semanticscholar.org/paper/Role-of-Media-in-Students'-Life-and-Their-A-Survey-Katona-K%C3%A1r%C3%A1sz/dd0c1c69d51a9d5ebc3bf63e659816078ba9aed6> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
16. Major, Ann M., Atwood, L. Erwin, Environmental risks in the news: issues, sources, problems, and values, Volume 13, Issue 3, 2004, <https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0963662504044557> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
17. Peterson, Cass, “Experts, OMB spar on global warming: ‘greenhouse effect’ may be accelerating, scientists tell hearing, The Washington Post, 1989, A1 9 May, <https://www.lyellcollection.org/doi/full/10.1144/sp305.3?frame=sidebar> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
18. Saifudin, Mohamad, Saleh, Mohamad, Media and Environmental Non-Governmental Organizations (NGOs) Roles in Environmental Sustainability Communication in Malaysia, vol. 8, no.1, 2017, https://www.researchgate.net/publication/318147966_Media_and_Environmental_Non-Governmental_Organizations_ENGOs_Roles_in_Environmental_Sustainability_Communication_in_Malaysia [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
19. Tol Richard, The Economic Impacts of Climate Change, Volume 23, #2, 2009, <https://pubs.aeaweb.org/doi/pdfplus/10.1257/jep.23.2.29> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
20. Chen, Sibó, Ecological Civilization: A Blindspot in Global Media Coverage of China’s Environmental Governance, 2021;
21. Michael K. Goodman, Spectacular environmentalisms: media, knowledge and the framing of ecological politics, 2016;
22. Sandman, PM, Mass media and environmental risk: Seven principles, 1994, <https://scholars.unh.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1198&context=risk> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
23. Wilkins, Lee, Patterson, Philip, Risk analysis and the construction of news, 1987, <https://psycnet.apa.org/record/1988-32193-001> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024];
24. Singer, Eleanor, Endreny, Phyllis M., Reporting on risk: How the mass media portray accidents, diseases, other hazards, 1993, https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=LAeGAwAAQBAJ&oi=fnd&pg=PR5&dq=singer++1993+media&ots=9D1fwpAwr_&sig=HUDQ3jUxB_4BRFznq6ABybHsLYk&redir_esc=y#v=onepage&q=singer%20%201993%20media&f=false [უკანასკნელად გადამოწმდა 10.10.2024].

პირდაპირი ეთერები

გიორგი აფციაური

დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია მასობრივი კომუნიკაციის პირდაპირი გამტარები და პირდაპირი აქტები, გზავნილისა და დემკოდირებლის რეაგირება იმპროვიზაციულ ინფორმაციაზე. ასევე აქცენტი გაკეთებულია პირდაპირი სიგნალების დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენაზე. კვლევაში განხილულია საზოგადოებრივ საზრისებზე ზეგავლენების განსხვავებები და ეფექტიანობა, შედარებითად წინასწარ მომზადებული აუდიოვიზუალური მასალისა და პირდაპირი ინფორმაციულ - შემეცნებით - გასართობი მედია პროდუქტების.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი აქტა, ინფორმაცია, საგანგებო სიტუაციები, სპორტული ტრანსლაციები, კურიოზები, კონცერტები, იმპროვიზაციული გამტარი.

შესავალი

ადამიანების აქტა ფერების, ნიშნების, რიცხვების, გამოსახულებების არ არის ახალი, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებების ვიზუალურსმენადი დაკვირვება იქამდე დაიწყო, ვიდრე მასობრივი მედიასაშუალებები შეიქმნებოდა, თუმცა ვიზუალიზაციის და თვალისმიერი კონტაქტი, ისევე, როგორც ბგერებისა და ყურის ურთიერთ დამოკიდებულობაზე მიჩვევა, სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ხდებოდა. ეტაპობრიობას განსაზღვრავდა, როგორც ადამიანების ტვინის, ასევე ტვინისთვის განკუთვნილი ინფორმაციის განვითარება, გარდა ამისა, მასობრივი საშუალებების შექმნის დღიდან უწყვეტი ტემპი მათი ტექნოლოგიური განვითარებისა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია დაკვირვება მზა აუდიოვიზუალური მასალებისგან განსხვავებულ კავშირზე, საზოგადოებასა და კონტენტს შორის, რომელიც გახლავთ პირდაპირი ეთერები.

1. მასობრივი მედიასაშუალებების პირდაპირ საეთერო კონტენტების აუდიო ვიზუალური აქტები

შეიძლება, თუ არა რასაც ვხედავთ იმის დაჯერება? სქემა, რომელიც ამის შესახებ სვამს კითხვას არის ოპტიკური ილუზია. მას აქვს „ტექნიკური უნარი“ ადამიანურ საზრისებში ახალი აქტის დონეები შექმნას და ამის შედეგად მათ დაანახოს, ხშირ შემთხვევაში, არარსებული რეალობა. აქტული ინფორმაციის შედეგად განისაზღვრება საზოგადოებების შეხედულებები კონკრეტული საკითხების მიმართ. გამოსახულების აქტა, რომელიც ხმოვანი ინფორმაცია არ არის, ინდივიდის საზრისში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ზეგავლენას ახდენს კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაზე. ხმოვანი ინფორმაციის შემთხვევაში, ადამიანების ცნობიერებაზე გამოსახულება რიგით მეორე ძლიერი ზეგავლენა

ხდება და პირველი ხმოვანი იქნება. ვიზუალური აღქმის და აღქმადი ფაქტის დაფიქსირების მიმართ ადამიანის ინტერესი უძველესი დროიდან გვხვდება, რომელსაც ეტაპობრივი ტენდენციები გააჩნია. ეგრეთწოდებული „კამერა ობსკურის“ და ჩაბნელებულ ოთახში კედელზე მოძრავი გამოსახულებების შესახებ ძველი დროიდან გვხვდება ინფორმაცია. ჩვ. წ. 350 წელს არისტოტელეც ერთ - ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ შუქი, რომელიც ბნელ ოთახში ნახვრეტიდან კედელზე ხვდებოდა, გადმოსცემდა გამოსახულებას, რომელიც ოთახის წინ - არსებულ გარემოს პროპორციების შენარჩუნებით, უფრო პატარა ზომებში და შემოტრიალებული სახით ირეკლავდა.²⁵

თუმცა განსხვავებით კადრებისა, რომელიც წინასწარ არის მომზადებული, გნებავთ ძველი საზოგადოებისთვის, გნებავთ ახალი ვიზუალური აღქმებისთვის, გამოირჩევა პირდაპირი ეთერები, რომელიც გვევლინება თანამედროვე საზოგადოებაში, ზოგადად ტელერადიო მაუწყებლობიდან პირდაპირ ეთერებს გააჩნიათ არა მარტო უპირატესობა, არამედ უარყოფითი მხარეებიც. ისინი ხანდახან სპონტანურია, პირდაპირ გვაცნობენ როგორც კარგ, ასევე ცუდ ამბებს ყოველგვარი მომზადების გარეშე, როცა დრო აღარ რჩება კეთილგანწყობილი და სათანადო იმიჯის შესაქმნელად. ასე მაგ: 2001 წელს 11 სექტემბერს ნიუ - იორკის ტერორისტული აქტები - ტყუპი ცათამჯენების დანგრევა ამერიკულმა ტელეკომპანიამ სი - ენ - ენმა ოპერატიულად, პირდაპირ ეთერში აჩვენა მთელ მსოფლიოს. მსოფლიო საზოგადოება გაოგნებული დარჩა როგორც სი - ენ - ენის ოპერატიულობით, ასევე პირდაპირ ეთერში ნანახით, (ადამიანები საკუთარ თავლებს არ უჯერებდნენ) როცა ხედავდნენ, როგორ ცვიოდნენ სასოწარკვეთილი ადამიანები 300 მეტრის სიმაღლიდან.²⁶ საქართველოში შესაძლებელია პირდაპირი ეთერით გადაიცეს ინფორმაცია, რომელიც ვერ გაკონტროლდება, თუმცა ინფორმაციის გამტარიანობა მასობრივი მედიასაშუალებების ვალდებულებაა. მსგავსი სიტუაციები, როგორც შეერთებულ შტატებსა და სხვა სახელმწიფოების მსგავსად საქართველოში წარმოადგენს საგანგებო სიტუაციებს. შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო და სპეციალური კადრების პირდაპირ ეთერში ნახვა არ იყოს სასიამოვნო და გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს, როგორც საზრისზე, ასევე განწყობაზე, თუმცა გარდა ზემოთხსენებული სიტუაციებისა არსებობს უამრავი პოზიტიური გზავნილი ადამიანებისთვის, თუნდაც პირდაპირი ეთერების საშუალებით და ეს დაიწყო უბრალო წინასწარ მომზადებული გამოსახულებით.

ევკლიდე (490-430) ფიქრობდა, რომ განსხვავებული ნაწილების აღქმით ყალიბდებოდა აზროვნება, რომელიც მოცემულობის არასიღრმისეული დაკვირვებით, ხვდებოდა ინდივიდის მხედველობის არეში. პლატონიც (427 - 347 ჩვ. წ. აღ) ეთანხმებოდა ზემოაღნიშნულს, მაგრამ ფიქრობდა, რომ თვალი მოცემულობას სიბნელეში კი არა მხოლოდ შუქის წყაროს არსებობის დროს ხედავდა. მისი განმარტებით: “ჩვენში არსებობს განსაკუთრებით სუფთა ცეცხლი, დღის სინათლესთან მონათესავე და მათ აიძულეს, რომ გადმოიფრქვან ბრტყელი და მყარი ნაწილებით მხედველობის არედან, ეს ნაწილები დღის შუქთან შერწყმისგან ქმნიან განსაკუთრებულ მატერიას, რომელიც სხვადასხვა ფორმაციაში მოხვედრისას გადაეცემა ჩვენს შინაგან სამყაროს და აღწევს სულამდე”²⁷

²⁵ კიკაბიძე, მ., ტელევიზიის ზეგავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაყურებელთან. დისერტაცია. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2015.
²⁶ ჯიჯეიშვილი, ქ., ჩხიკვიშვილი, გ., პოლიტიკური პიარის ანატომია. თბილისი. 2011.
²⁷ კიკაბიძე, ივ. სქოლიო 1.

2. მედია გამტარების დაგეგმილი და დაუგეგმავი იმპროვიზაციული ინფორმაცია

თანამედროვე სამყაროსთვის პირდაპირი ეთერების გამტარიანობით ხშირია პოლიტიკური გზავნილები, ორმხრივი და ამავედროულად ოპონირების რეჟიმში მყოფი პოლიტიკური პლატფორმების ან პერსონების დებატების დროს. ერთი შეხედვით გამოუცდელ მაყურებელს ჰგონია, რომ ტელედებატების დროს ყველაფერი სპონტანურად, იმპროვიზირებულად ხდება. სინამდვილეში, თითოეული კანდიდატის გუნდი შეიმუშავებს ტელესცენარს და ცდილობს მოწინააღმდეგე თავისი გეგმით წაიყვანოს და შეიტყუოს წინასწარ დაგეგმულ მახეში.²⁸

პირდაპირი ეთერით დებატებში შეიძლება არჩევნების ბედი გადაწყდეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალით, მაგალითად გამოგვადგება დებატები კენედისა და ნიქსონს შორის, როდესაც ოპონენტებმა გადაწყვიტეს გრიმის გარეშე დამსხდარიყვნენ დებატებში, კენედიმ საჭიროებისამებრ გარეთ გასვლა მოითხოვა სტუდიიდან რამდენიმე წუთით და სახეზე გრიმ წასმული დაბრუნდა, იმ დღეს, დებატების გამო, კენედიმ რეიტინგში მოიგო, რადგან სტუდიებში მხურვალე განათება ისე აცხუნებს ხოლმე, რომ ადამიანის სახეზე წამოსული სისველე, მაყურებლის თვალში, შესაძლებელია განერვიულებულ კაცს წარმოაჩენდეს და ეს ემოციური კაცი ნიქსონი იყო, რომლის ვირტუალური ნერვიულობა ტყუილების მთქმელ პოლიტიკოსად აღიქმებოდა.

ასევე, მიმზიდველია პირდაპირი ეთერით გადაცემული სპორტი, რადგან მნიშვნელოვანი სფეროა სპორტული ჟურნალისტიკა ნებისმიერი მასობრივი მედიისთვის. კონტენტი შემდეგნაირია: პროფესიონალთა და დამწყებთა ლიგები, ზოგადი სპორტული ღონისძიებები და თამაშები, სიუჟეტები - სპორტულ პერსონალზე, მოთამაშეებზე და მწვრთნელებზე, კლუბების მარკეტინგზე და მათი გავლენის შესახებ ეკონომიკაზე. ძველ საბერძნეთთან არის დაკავშირებული სპორტული ჟურნალისტიკის შექმნა, ცნობებში გვხვდება ჰომეროსის დაწერილი ინფორმაცია ოდისევსაა და აიაქსს შორის პირველი ჭადრაკის გათამაშების შესახებ ძვ. წ 850წ. ასევე, სპორტული თამაშების შესახებ ხშირად წერდნენ ბერძნები ინფორმაციას: სროლაზე, რბოლაზე, კრივზე და ჭიდაობაზე. მოქალაქეების ინტერესს იწვევდა სპორტულ თამაშებზე დასწრება, რასაც მოწმობს ძვ. წ. 776 წ. ოლიმპიური თამაშები, რაც იყო ერთგვარი ინტერესის კულმინაცია თანამედროვე ეპოქამდე, რომელიც ინფორმაციულად იწყება 1790 წლის ბენჯამენ ფრანკლინის ციტატით ცურვის შესახებ, იმ დროისთვის The New York Magazine - ში იყო სპორტზე დაწერილი სტატიები; ისევე, როგორც 1800 - იან წლებში the New York Post - შიც.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სპორტული მაუწყებლობის შექმნის დასაწყისს ხელი შეუწყო კალათბურთის დაბადებამ და ბოულინგის კონგრესის შექმნამ, ასევე ბეიზბოლის გამო სპორტულმა ჟურნალისტებმა დაიწყეს ექსკლუზიური ინფორმაციის წერა, რასაც იმ დროისთვის ეწოდებოდა სპორტული მწერლობა. მას შემდეგ, რაც მაყურებლებს საშუალება მიეცათ ბეისბოლისა და ფეხბურთისთვის თვალი სახლიდან ედევნებინათ, საგრძნობლად გაიზარდა სპორტულ ინფორმაციაზე მოთხოვნა მაგალითად, სპორტული ამბების რეგულარული გამოქვეყნება დაიწყეს („the Spirit of the Times“ და “The New York Herald”)²⁹ როდესაც დიდი აუდიტორიისთვის განკუთვნილი ფორმატები მსმენელთა გარკვეული ჯგუფებისთვის განკუთვნილებით შეიცვალა 1950 - იან წლებში რადიო დემასობრივი გახდა,

²⁸ ჯიჯეიშვილი, ჩხიკვიშვილი, იხ. სქოლიო 2.

²⁹ ტაბატაძე, ნ., სპორტული ჟურნალისტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2020-2021.

ასევე მოხდა გაზეთის შემთხვევაში 1960 - 1970 - იან წლებში.³⁰ თუ რომელიმე სპორტის სახეობის თამაშზე დასწრება ერთადერთი საშუალება იყო ემოციის გაზიარების, მდგომარეობა შეიცვალა რადიოს შექმნის შემდეგ, რადგან მას ჰქონდა სპორტული თამაშებისა და სიუჟეტების პირდაპირ ეთერში გადაცემის უპირატესობა, ბეჭდური მედიისგან განსხვავებით. 1921 წლის 4 აპრილს პიტსბურგში კრივის მატჩი რადიოს საშუალებით გადაიცა, კერძოდ, KDKA - ს მიერ. ჯეკ დემპსსა და ჯორჯ კარპენტერს შორის ჩატარებული კრივის მატჩი კი ნიუ - იორკიდან (WJY და WJ2) - ის მიერ გადაიცა პირდაპირ ეთერში იმავე წლის 2 ივლისს. Dempsey - Sharkey- ის ბრძოლის პირდაპირ გადაცემა მოისმინა დაახლოებით ორმოცმა მილიონმა ამერიკელმა 1927 წელს.³¹ ისტორიაში ერთადერთი მასობრივი კომუნიკაციის საშუალება, რომელთანაც ადამიანები მთელი ცხოვრება ურთიერთქმედებენ უკანასკნელ დღემდე არის ტელევიზია.³² ტელევიზია არის სპორტული ტრანსლაციების საუკეთესო გამტარი მაყურებლამდე. რადიოსთან ერთად, თავის დროზე, ტელევიზიითაც შესაძლებლობა მიეცა მედიამომხმარებელს წვდომა ჰქონოდა სპორტულ რეპორტაჟებზე, თუმცა ტელევიზორის მაყურებლისთვის ეფექტური, ხმოვან სიგნალზე უფრო, გამოსახულება და ვიზუალური აღქმა იყო, რომელიც ფეხბურთის შემთხვევაში სტადიონზე ყოფნის შეგრძნებას იწვევდა. შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზიის გამოგონების დღიდან სპორტული ღონისძიებების თვალის დევნება სახლიდან გახდა შესაძლებელი, რაც ცხადყოფდა მილიონობით მაყურებლების საგულშემმატკივრო ემოციებს ლოკალურად იმ ადგილიდან სადაც მედიაგამტარები გადასცემდნენ სიგნალს. ბერლინის 1936 წლის საზაფხულო ოლიმპიადას გადასცემდა სატელევიზიო პროგრამა, რომელიც შექმნეს ახალი მედიასაშუალებების დასატესტად, ასევე ბრიტანულმა BBC - იმ იმავე წლის ბოლოს პირველი მსგავსი პროგრამა გაუშვა პირდაპირ ეთერში, რომელიც გახლდათ ჩოგბურთის მატჩი, რომლის ქრონომეტრაჟი იყო 25 წუთი.

ბრიტანელი მაყურებლის ინტერესს იწვევდა პირდაპირ ეთერში რაგბისა და ფეხბურთის მატჩების ხილვა, ამიტომ 1938 წელს გაშუქებული რაგბის მატჩი ინგლისსა და შოტლანდიას შორის არ იყო გასაკვირი, ასევე იგივე ნაკრებების დაპირისპირება ფეხბურთში გამოდგა ძალიან საინტერესო იმავე წელს. ამერიკელი ქომაგისთვის კი, გასაკვირი არ არის, რომ ემოციური იყო 1939 წლის 19 მაისის პირველი პირდაპირი ეთერი ბეისბოლის მატჩის.³³

თვალსაჩინოა, რომ XIX ს. - ში ადამიანებს მოუწიათ წერა - კითხვის სწავლა, რადგან გაზეთები წაეკითხათ და ინფორმაციას გაცნობოდნენ, თუმცა დღეს, რომ ინფორმაციული საზოგადოების ნაწილი გახდეს ინდივიდი, მან აუცილებლად უნდა შეისწავლოს კომპიუტერი, რომელიც არის კომუნიკაციის და ინფორმაციის გამტარი უახლესი საშუალება.³⁴

თანამედროვე ვიზუალური აღქმის ეპოქაში, არამხოლოდ ტელევიზიით, არამედ დაახლოებით 90 - იანი წლებიდან სპორტული პირდაპირი ეთერების გადაცემა ინტერნეტის გამტარიანობითაც გახდა შესაძლებელი, თუმცა საწყის ეტაპზე დიდი სიხშირით ვერ ხორციელდებოდა ზემოაღნიშნული სპორტული მაუწყებლობა, ციფრული მონაცემების დადგენილი ლიმიტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმედია სპორტის მოყვარული

³⁰ აფციაური, გ., მედიასაშუალებების მენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში. თბილისი. 2018.

³¹ ტაბატაძე, იხ სქოლიო 5.

³² აფციაური, იხ სქოლიო 6.

³³ ტაბატაძე, იხ სქოლიო 5.

³⁴ აფციაური, იხ სქოლიო 6.

მედია მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი კონტენტით გამოირჩევა, არამარტო სპორტის შესახებ ინფორმაციის გამტარობით, არამედ კლუბების, ნაკრებებისა და სპორტსმენების ინდივიდუალური მარკეტინგული შეფუთვების გზავნილებისთვის, მაინც ტელევიზია მაუწყებლობისთვის ლიდერი მასკომუნიკაციური საშუალებაა.³⁵ პირდაპირი ეთერის განსხვავებულობა და მიმზიდველობა ვლინდება სპორტული ტრანსლაციების ცოცხალ კომენტარებში, რადგან კარგი კომენტარით (რომელიც მოიცავს: სპორტის წესების კარგ ცოდნას, ინფორმაციულობას და მონაწილეების ზუსტ დახასიათებას) მაყურებელში აღიძვრება სპორტული ემოცია, რაც შინაგანად აგრძნობინებს ლოკალურ განცდას, რომ ის თავად არის სპორტულ შეჯიბრზე. სპორტული თამაშების პირდაპირი ეთერებისთვის მნიშვნელოვანია ცარიელი წუთების შევსება, როდესაც ვინმე ტრამვირებულია ან რაიმე სხვა მიზეზი აჩერებს შეჯიბრის მიმდინარეობას, ამიტომ ცარიელი წუთების შევსების ხერხებია: მოთამაშებზე ინფორმაცია, სტატისტიკა შეჯიბრებების, ტრანსფერები, ასევე გარკვეული ისტორიები და მოვლენები სპორტსმენების შესახებ.³⁶

3. სპონტანური სახალისო - შემოქმედებითი ინფორმაციების, ტრაგედიების, წარსულ კადრებზე დაფუძნებული ასოციაციურ - ფსიქოლოგიური უარყოფითი და დადებითი ზეგავლენები.

პირდაპირმა ეთერმა კონცერტის დროს შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული გაუთვალისწინებელი პრობლემები, განსხვავებით აუდიოვიზუალური ჩანაწერისგან. ჩვენ გვაქვს ამის უამრავი მაგალითი:

„მასთან მუშაობა კოშმარია“- ადელის კონცერტი ბოლო მომენტში, მისი არარეალური მოთხოვნების გამო გადაიდო.



მომდერალი ადელის კონცერტი Caesars Palace - ის ეგიდით უნდა გამართულიყო, რომელიც წარმოადგენს მუსიკალურ ცენტრს, ამ ცენტრის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ბრიტანელ მომდერალს საოცრად რთული ხასიათი აქვს და მასთან მუშაობა კოშმარია. ადელის სიმღერები არ ქონდა მოსმენილი ჟურნალისტს, რომელიც სამსახურიდან გაუშვეს, სავარაუდოდ ეხლა

მეტი დრო ექნება მისი სიმღერების მოსასმენად, როცა ის კოშმარულ ხასიათზე იქნება, რომ კარგ ხასიათზე მოვიდეს, რადგან ზოგიერთი მისი შემოქმედება პოზიტიური მელანქოლიაა. პირდაპირი ეთერით დაგეგმილი კონცერტი ბოლო მომენტში გადაიდო, მას ახალი აპარატურის დაყენება სურდა სცენაზე. მოგვიანებით ადელმა განცხადება გააკეთა - „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ შოუ კარგი გამოსულიყო, მაგრამ ჩვენ გვიღალატეს, საბოლოოდ კონცერტი გადაიდო“, - აცხადებს ადელი.³⁷

³⁵ ტაბატაძე, იხ სქოლიო 5.

³⁶ იქვე.

³⁷ ფორტუნა, ვიდეო: „მასთან მუშაობა კოშმარია“ - ადელის კონცერტი ბოლო მომენტში, მისი არარეალური მოთხოვნების გამო გადაიდო, <https://fortuna.ge/video-mastan-mushaoba-koshmaria-adelis-koncerti-bolo-momentshimi-ararealuri-motkhovnebis-gamo-gadaido/> [უ.გ. 30.04.2024].



2018 წლის 22 ივლისს პირდაპირი ეთერით გადაიკემოდა ცნობილი ბრიტანელი მომღერლის კონცერტი, რომ უჩვეულო მიზეზის გამო ლოკაციის შეცვლა არ გადაწყვეტილიყო. მომღერლის გერმანიაში გასამართი კონცერტი იმ მიზეზით გადაიდო, რომ ტოროლების პოპულაციაზე უარყოფითად არ ემოქმედა ღონისძიებას, რადგან ესენის აეროპორტში ამ ფრინველის რვა წყვილი ცხოვრობს, რომლებიც იშვიათ ჯიშს

განეკუთვნებიან, ამიტომ გერმანიის ხელისუფლებას მათი დაცვა და კომფორტი ევალება, მიუხედავად იმისა, რომ ედ შირანის შემოქმედება წყვილებისთვისაც არის განკუთვნილი, მაინც კონცერტის ჩატარება დიუსელდორფში გადაწყდა.³⁸



კონცერტზე ჰარი სტაილს ცნობილი „ლენი კრავიცისეული მომენტი“ შეემთხვა, რაც მაყურებლის თვალწინ უხერხულად გილას შარვლის გახევის გულისხმობს. მიუხედავად ამ უხერხული მომენტისა, ჰარი სტაილმა სიმღერა Music for a Sushi Restaurant - ბოლომდე იმღერა. თუმცა ფაქტის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მომენტს ათასობით გულშემატკივარი იღებდა.³⁹



ტრევის სკოტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე Astroworld მოხდა ჭყლეტა, რასაც 14 - 27 წლამდე 9 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რაც აშშ - ში კერძოდ ჰიუნსტონში ადგილობრივმა

³⁸ იმედი ნიუსი, ტაბლოიდი, ედ შირანის კონცერტის ლოკაცია ტოროლების გამო შეიცვალა <https://imednews.ge/ge/tabloidi/51849/ed-shiranis-kontsertis-lokatsia-torolebis-gamo-sheitsvala> [უ.გ. 30.04.2024].

³⁹ ეს მომენტი ჰარი სტაილის გულშემატკივრებს არ გამოჰპარვიათ და ვიდეოზეც აღბეჭდეს. https://billboard.com.ge/2023/01/29/harry_styles_konzertis_dros_sharvali_shemoekha/ [უ.გ. 30.04.2024].

საზოგადოებამ და არამარტო, სხვა ქალაქებშიც ტრანსლაციის აღმქმელმა მაყურებელმა პირდაპირ ეთერში ნახა.

ვუდსტოკი 1999 - გამოცემა Sun Francisco Chronicle - მა მუსიკალურ ღონისძიებას " დღე, როდესაც მუსიკა მოკვდა" უწოდა. ზემოდსენებული ფესტივალი ტრაგიკულად დასრულდა, კონცერტებზე მონაწილეობდნენ Metallica და Red Hot Chili Peppers , ასევე Limp Bizkit - ი. ფესტივალის ტერიტორიაზე მოხდა: დამსწრეების დაყაჩაღება, ჩხუბი, შენობების მიმართ ვანდალიზმი და დანგრევა, ბანკომატების ძარცვა და ჯგუფური გაუპატიურება, საერთო ჯამში ფესტივალზე ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა.

ალტამონტის ტრაგედია - 1969 წლის 6 დეკემბერს ჯგუფმა Rolling Stones ორი შეცდომა დაუშვა, მათ გადაწყვიტეს უფასო კონცერტის ჩატარება, სადაც კონცერტის უსაფრთხოებას ნასვამი ბაიკერების ბანდა უზრუნველყოფდა, რომლებიც წესრიგის დასაცავად ძალას იყენებდნენ, კონცერტის მსვლელობის დროს 18 წლის მერიდით ჰანთერი სასიკვდილოდ დაჭრეს, მკვლეელი დაცვის თანამშრომელი ნასვამი ბაიკერი აღმოჩნდა, მკვლელობის კადრები უამრავმა მედიამომხმარებელმა ნახა.

Pearl Jam - ის კონცერტი 2000 წელს დანიის ქალაქ როსკილდეში როკ ფესტივალი გაიმართა, რომლის ჰედლაინერი ამერიკული გრანჟ ბენდი Pearl Jam იყო. როკ ბენდის კონცერტზე გარდაიცვალა 8 და დაშავდა რამდენიმე ათეული ადამიანი.

Damageplan-ის კონცერტი Damageplan ამერიკული ჰევი მეტალ ბენდია, რომელმაც კონცერტზე მომხდარი საშინელი ინციდენტის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 2004 წელს კოლამბუსში ჯგუფმა ერთადერთი ალბომის მხარდამჭერი ღონისძიება ჩაატარა. სცენაზე ყოფილი სამხედრო, ნათან გილი ამოვიდა და Damageplan-ის გიტარისტს (Panthera - ს ყოფილი გიტარისტი) დაიმბეგ დარელს თავში რამდენჯერმე ესროლა.

ტერაქტი არიანა გრანდეს კონცერტზე 2017 წლის 22 მაისს, მანჩესტერში, არიანა გრანდეს კონცერტზე, თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ტერაქტის შედეგად გარდაიცვალა 22 და დაშავდა 800 ადამიანი.⁴⁰

ტრაგედიებიდან შესაძლებელია გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილი, რომელის კადრებიც შემონახულია და დღემდე ვხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ მან წარმოქმნა ქართული საზოგადოების საზრისში უარყოფითი დალექილი ინფორმაცია. სწორედ ამიტომ, ვიდეო გადაღების ორი წერტილი - თბილისის საკანონმდებლო ორგანოს მარჯვენა და მარცხენა, როგორი საზეიმო ღონისძიებაც არ უნდა შუქდებოდეს არის ლოკაცია, რაზეც დალექილი ინფორმაციის ზეგავლენით, იშვიათია საზეიმო განწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული ეხება მხოლოდ კადრებს მედიაგამტარებიდან, ხოლო სახალხო სეირნობა მემორიალთან, არ წარმოქმნის ცუდ განწყობებს. ქართული სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე 9 აპრილის ძველი აუდიოვიზუალური მასალა უნდა გადიოდეს მედიასაშუალებებში, თუმცა არსებული კადრების ლოკაციაში აღარ უნდა გადაიცემოდეს პირდაპირი ეთერით და არამარტო საზეიმო ღონისძიებები. მაგალითად მინდა მოვიყვანო ლიუკ ბესონის საინტერესო ფილმი - „ნატალი პორტმანისა და ჟან რენოს მონაწილეობით - Leon: The Professional - სადაც პორტმანის გმირი მატლდა ხშირად ხედავს სახლს, რომელ სახლშიც ძვირფასი ადამიანები დაუხოცეს, რამდენად მარტივი აღსაქმელი იქნებოდა

⁴⁰ ტაბულა, 10 კონცერტი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა. <https://tabula.ge/en/news/676164-10-kontserti-romelits-tragikulad-dasrulda> [უ.გ. 30.04.2024].

მატილდასთვის იმ სახლში წვეულება ნებისმიერი სტუმრებით?.”
<https://www.youtube.com/watch?v=QK-Z1K67uaA>; ⁴¹

"მოგესალმებით დედამიწაზე მცხოვრებნო" - ყველაზე ცნობილი კურიოზები პირდაპირ ეთერში.



2016 წელს შვედეთის პარლამენტში დისკუსიის დროს, რა დროსაც ქვეყნის საჭირობოტო საკითხებს განიხილავდნენ, შემთხვევით დაედო საბავშვო გადაცემის სუბტიტრები. "მოგესალმებით დედამიწაზე მცხოვრებნო" - ასე დაიწყო პირდაპირ ეთერში გამოსვლა შვედეთის გარემოს დაცვის მინისტრმა, ხოლო განათლების მინისტრი მოსახლეობას შეპირდა რომ "ააშენებდა გალაქტიკაში საუკეთესო ქვიშის ციხე-სიმაგრეს", პრემიერ - მინისტრმა სტეფან ლევენმა კი ისაუბრა ახალ გამოგონებაზე: "ფანტასტიკური მატარებელი - სუბმარინი დინოზავრებისთვის.



⁴¹ კადრი ფილმიდან "Leon: The Professional".



"რომელი წავიღო თან? ვკითხავ ჩემს თოჯინას"(ოზა რომსონი, გარემოს დაცვის მინისტრი)

როგორც მოგვიანებით გაირკვა, დებატები SVT2 - ზე გადიოდა, ამ დროს პარალელურად SVT1 ზე გადიოდა მულტფილმი, რა დროსაც ტექნიკური ხარვეზის გამო სუბტიტრები SVT2 დაიღო. 2. ისევ შვედეთი - 2013 წლის 7 იანვარს, დილით 10 საათზე შვედურ ტელეკომპანია TV4 News - ის პირდაპირ ეთერში, როდესაც წამყვანი მოსკოველ კორესპონდენტს სირიის თემაზე ესაუბრებოდა, უკან მონიტორზე პორნო-ფილმის კადრები გამოჩნდა. მოგვიანებით TV4 News - ის რედაქტორმა განმარტა, რომ მონიტორზე შემთხვევით ჩაირთო ვიდეო ჰოლდინგი "More Entertainment", რომელიც მათ ეკუთვნით. არხის ხელმძღვანელობამ ბოდიში მოიხადა და დაარწმუნა მომხმარებელი, რომ მომავალში ეს აღარასდროს გამეორდებოდა.⁴²

შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიციის ყველა ელემენტს მხატვარი უმორჩილებს ჩვენს მიერ გარესამყაროს აღქმის კანონებს. ჩვენი თვალები სინათლის სხივების შესვლის შედეგად გამოსახულებებს და სივრცეს იმეორებს (აირეკლავს, იმახსოვრებს) თვალის ბადურაზე. ამასთან საგნები, მცირდება რა თვალიდან დაშორების შედეგად, ექვემდებარება ხაზოვანი პერსპექტივის კანონებს. თვალის ბადურაზე გამოსახულება მით მცირე ზომებში აისახება, რაც უფრო შორს მდებარეობს საგანი თვალიდან. აღსანიშნავია, რომ მხატვრის სამუშაო - შექმნასთან ჭეშმარიტი პერსპექტივა - გაცილებით რთულია. ფოტოგრაფები კი საბედნიეროდ გათავისუფლებულნი არიან ამ ურთულესი სამუშაოსგან, მათ ეხმარებათ ოპტიკა. ყველა საგანი ემორჩილება რა ხაზოვანი პერსპექტივის კანონებს, მცირდება ამ წერტილის მიმართულებით. როგორც კი კამერა იწყებს პანორამირებას მარჯვნივ ან მარცხნივ, მაშინვე იცვლება ჰორიზონტზე ამ წერტილის მდებარეობა, შესაბამისად იცვლება კადრის ხაზოვანი - გეომეტრიული აგებულების მთელი სისტემა. კამერის სივრცობრივი მდებარეობის ცვლილება გამუდმებით ცვლის პერსპექტივის კონსტრუქციის აგებულებას გადაღების თითოეულ მომენტში, რადგან შეკრების წერტილი და შეკრების ხაზები მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. უფრო მეტიც, თუ კამერა მოთავსებულია ამწეზე, ანუ

⁴²ინტერმედია,"მოგესალმებით დედამიწაზე მცხოვრებნო" – ყველაზე ცნობილი კურიოზები პირდაპირ ეთერში. <https://intermedia.ge/> [უ.გ. 30.04.2024].

ვერტიკალურადც გადაადგილდება, კადრში მდებარეობას იცვლის თავად ჰორიზონტის ხაზიც, რაზეც არის განთავსებული შეერთების წერტილი. ამრიგად, წამოიქმნება პერსპექტივის აღქმის ახალი სახეობა - მაყურებელს საშუალება ეძლევა, დაინახოს მოქმედება სხვადასხვა სივრცობრივი მდებარეობიდან ანუ დინამიური პერსპექტივის ეფექტი, იგი ხელს უწყობს გამოსახულების სიღრმის ილუზიის წარმოქმნას.⁴³

დასკვნა

აღნიშნული თემის გაანალიზების შედეგად ვასკვნით, რომ პირდაპირი ეთერით გადაცემული ინფორმაცია, წინასწარ მომზადებულ მედიაპროდუქტებზე უფრო მეტად ახდენს ფსიქოემოციურ განწყობებზე ზეგავლენას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის გამომწვევი მიზეზი ადამიანებში შიშის, სტრესის, აღფრთოვანების, გაკვირვების, მხიარულების და სტრესის დაძლევის. ხშირ შემთხვევებში პირდაპირ ეთერში მიღებული ინფორმაციით, თავს გრძნობენ ლოკალურად არა იქ, სადაც ინფორმაციას იღებენ, არამედ იქ, საიდანაც ინფორმაცია გადაიცემა, მაგალითად: სტადიონებზე, მოედნებზე, სპორტულ დარბაზებში, ღია ცის ქვეშ კონცერტებზე, დარბაზებში, პოლიტიკურ აქციებზე, სტიქიური უბედურებების ადგილებზე და საზეიმო ღონისძიებებზე. შეიძლება ითქვას, რომ ვიდეო კამერების ჯვარედინი განლაგებისა, ზედხედისა და ქვედხედის პირდაპირი კადრებით, შესაძლოა ადამიანებმა საკუთარი თავი წარმოიდგინონ არა მხოლოდ ლოკალურად იქ, საიდანაც ინფორმაცია გადმოიცემა, არამედ სტადიონის სხვადასხვა იარუსზე და სექტორში, თავად მოედანზე და ზედხედის შემთხვევაში სტადიონის ზემოთ განათებების გვერდით. ხოლო საკონცერტო დარბაზებში და ღონისძიებებზე ყველა სავარძელზე მათი ბილეთის ნომერი ემთხვეოდეს. პოლიტიკურ აქციებზე გამოდიოდეს და თან თავის თავს ტაშს უკრავდეს, ასევე ალუმზე ხედავდეს რამდენიმე თვითმფრინავის ტრიუკებს და ყველა მათგანში თვითონ იჯდეს.

⁴³ ტაბულა, 10 კონცერტი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა <https://tabula.ge/en/news/676164-10-kontserti-romelits-tragikulad-dasrulda> [უ.გ. 30.04.2024].

ბიბლიოგრაფია

1. აფციაური, გიორგი, მედიასაშუალებების მენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში. თბილისი, 2018;
2. კიკაბიძე, მაია, ტელევიზიის ზეგავლენა და ინტერაქტიული ურთიერთობა მაყურებელთან. დისერტაცია. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2015;
3. ტაბატაძე, ნიკოლოზი, სპორტული ჟურნალისტიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2020-2021;
4. ჯიჯეიშვილი, ქეთი, ჩხიკვიშვილი, გიორგი, პოლიტიკური პიარის ანატომია. თბილისი, 2011;
5. ვიდეო: „მასთან მუშაობა კომმარია“- ადელის კონცერტი ბოლო მომენტში, მისი არარეალური მოთხოვნების გამო გადაიდო. <https://fortuna.ge/video-mastan-mushaoba-koshmaria-adelis-koncerti-bolo-momentshi-misi-ararealuri-motkhovnebis-gamo-gadaido/> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024];
6. ედ შირანის კონცერტის ლოკაცია ტოროლების გამო შეიცვალა <https://imedinews.ge/ge/tabloidi/51849/ed-shiranis-kontsertis-lokatsia-torolebis-gamo-sheitsvala> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024];
7. ჰარი სტილს კონცერტის დროს შარვალი შემოეხა https://billboard.com.ge/2023/01/29/harry_styles_koncertis_dros_sharvali_shemoekha/ [უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024];
8. ტაბულა, 10 კონცერტი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა <https://tabula.ge/en/news/676164-10-kontserti-romelits-tragikulad-dasrulda> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024];
9. ინტერმედია, "მოგესალმებით დედამიწაზე მცხოვრებნო" – ყველაზე ცნობილი კურიოზები პირდაპირ ეთერში <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/113975-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0-/132/> [უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024];
10. პერსპექტივები. ნიკა სომხიშვილი <https://www.facebook.com/notes/%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%97%E1>

%83%90-

%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9E%E1%83%94
%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98
%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/439420169591476/?_rdr

[უკანასკნელად გადამოწმდა 30.04.2024].